




MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK



სამართლიანი მშენებ ტრანზიციის გამოწვევები ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში

კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკული სიღარიბე
და სოციალური ჩართულობა



კვლევა მომზადებულია „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) მიერ პროექტ „მწვანე მომავალი: უფლებები და სტაბილურობის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და, შეიძლება, არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა და დანიის მთავრობის პოზიციას.

კვლევის კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

კლიმატის ცვლილების და ენერგეტიკული სიღარიბის ექსპერტი: თუთანა კვარაცხელია

გენდერის და სოციალური ჩართულობის ექსპერტი: ლიკა ჯალაღანია

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნა	4
კვლევის მეთოდოლოგია.....	7
რაოდენობრივი კვლევა	7
თვისებრივი კვლევა.....	7
ძირითადი მიგნებები	10
კვლევის ძირითადი შედეგები	23
1. ოჯახის პერსონალური მონაცემები, დასაქმება.....	23
2. საბინაო პირობები	39
3. სერვისების ხელმისაწვდომობა	42
4. ინდივიდუალური ქცევები და განწყობები	54
5. კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა.....	74
6. განათლება და გადაწყვეტილებებში ჩართულობა.....	88
7. მწვანე ეკონომიკა.....	106
რეკომენდაციები	Error! Bookmark not defined.
დანართი	125

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში, სამართლიანი მწვანე ტრანზიციის პროცესში ენერგეტიკული სიღარიბის, გენდერული და სოციალური ჩართულობის შეფასება. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, ჩატარდა ექვსი ფოკუს-ჯგუფი ხობისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილებთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებთან და ხანდაზმულებთან (60+ ასაკი) და პირისპირი მეთოდით გამოიკითხა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 390 ინდივიდი.

ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების რაოდენობრივი კვლევის შედეგები მკაფიოდ ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პროფილის მსგავსებებსა და განსხვავებებს. ორივე მუნიციპალიტეტში დომინირებს მცირე ზომის - ორწევრიანი ოჯახები, სადაც ქალთა წილი მცირედით აღემატება კაცებისას. ამასთან, კვლევა ადასტურებს დასაქმების დაბალ მაჩვენებელს: ორივე მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტი ბოლო კვირის განმავლობაში არ იყო ჩართული ანაზღაურებად საქმიანობაში და უმეტეს შემთხვევებში არც ცდილობდა სამსახურის პოვნას. უმუშევრობის მთავარი მიზეზებია პენსიონერობა, სწავლა ან საოჯახო ზრუნვის შრომა, რაც მიუთითებს ასაკობრივი და გენდერული განსხვავებების გავლენაზე შრომის ბაზარზე.

ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა ოჯახის წევრები უმეტესად კერძო სექტორში მუშაობენ. განსხვავებისთვის უნდა ითქვას, რომ ფოთში შედარებით მაღალია სახელმწიფო სამსახურში დასაქმების წილი, ხოლო ხობში - სოფლის მეურნეობის დარგში, რაც რეგიონულ ეკონომიკურ პროფილს ასახავს. რაც შეეხება ოჯახების ფინანსური მდგომარეობას, სამიზნე მუნიციპალიტეტების დონეზე წლიურ შემოსავლებს შორის მკვეთრი სხვაობა არ ფიქსირდება: ფოთი - საშუალოდ 13 726 ლარი, ხობი - საშუალოდ 12 324 ლარი. ოჯახის წევრთა შემოსავლის ძირითადი წყარო ხელფასია, რასაც მოსდევს პენსია და მცირე კერძო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. მუნიციპალიტეტების საშუალო წლიური შემოსავლის ოდენობა ჩამორჩება სამეგრელოს რეგიონის ჯამურ წლიურ შედეგს (საშუალოდ 17 190 ლარი), რაც შესაძლო გამოწვეული იყოს დანარჩენ 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ფინანსური მდგომარეობით.

ფოკუს ჯგუფების მონაცემებით, იძულებით გადაადგილებული და შშმ პირები კვლავ აწყდებიან დასაქმების, განათლებისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის სერიოზულ ბარიერებს. მაღალი სამედიცინო ხარჯები და ბიუროკრატიული პროცედურები მათ სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობას აძლიერებს.

ამასთან, ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების შედარებითი ანალიზი მკაფიოდ გამოკვეთს ურბანულ და ნახევრადაგრარულ სივრცეებში მცხოვრებთა სოციალურ და ეკონომიკურ განსხვავებებს. მართალია, ორივე მუნიციპალიტეტში კერძო სახლებში ცხოვრების გამოცდილებაა დომინანტური, თუმცა ფოთს, ხობთან შედარებით, უფრო მეტად ახასიათებს მრავალბინიან საცხოვრებლებში კონცენტრირებული ურბანული ცხოვრება.

ადნიშნულ მუნიციპალიტეტებში საცხოვრისების ენერგოეფექტურობა სისტემურად სუსტია და მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს, უჭირთ ენერგო და სხვა კომუნალურების გადახდა. თბოიზოლაციის ნაკლებობა და ტენიანობის პრობლემები მიაწინებს ენერგეტიკული სიღარიბის სტრუქტურულ რისკზე - როცა საკუთრება აღარ არის კეთილდღეობის მატერიალური გარანტია. ფოკუს-ჯგუფებით დადასტურდა, რომ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს - იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებსა და ხანდაზმულებს - ენერგო და სხვა კომუნალურ ხარჯებთან

გამკლავება უჭირთ. ტარიფების ზრდა ზრდის ეკონომიკურ მოწყვლადობას და პირდაპირ მოქმედებს ქცევაზე: მოსახლეობა ზამთარში მხოლოდ ერთ ოთახს ათბობს, ზაფხულში კი სიცხისგან თავდასაცავად მხოლოდ ჩრდილს ან ელემენტარულ გაგრილებას (მაგალითად, წყლის ხშირად მიღებას) იყენებს.

სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ფოთი გამოირჩევა გამართული კომუნალური ქსელით, ხოლო ხობში სერვისების მიწოდება ხარვეზიანია. ფაქტი, რომ ხობის მოსახლეობის ნაწილს ინტერნეტზე, გაზომომარაგებასა და წყალმომარაგებაზე ჯერ კიდევ არ მიუწვდება ხელი, არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის გამოვლინებაცაა. ამასთან, თვისებრივი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფები კვლავ განიცდიან დაბალ ხელმისაწვდომობას და ხშირად ვერ სარგებლობენ იმ მომსახურებით, რომელიც ფორმალურად არსებობს.

ზემოთქმულთან ერთად, ფოთსა და ხობში გავრცელებული გათბობისა და გაგრილების პრაქტიკა მიუთითებს მუნიციპალიტეტებს შორის არსებულ განსხვავებაზე. კერძოდ, ფოთში გაგრილებისა და გათბობის შედარებით უფრო თანამედროვე, ენერგოეფექტური სისტემები დომინირებს, მაშინ როდესაც ხობში შემის გამოყენება კვლავ გავრცელებულია, რაც ენერგოეფექტურობის დაბალ დონესთან ერთად, ტყეზე ზეწოლის, ჰაერის დაბინძურების და ჯანმრთელობის რისკებსაც ქმნის.

ორივე მუნიციპალიტეტში, ოჯახებში შრომის განაწილება მკვეთრად ტრადიციულია: ქალები აგრძელებენ საოჯახო ეკონომიკის მართვასა და ზრუნვის შრომას, კაცები კი - ფიზიკურ და ენერგო-მომარაგების საქმეებს. ეს გენდერული დინამიკა აძლიერებს ზრუნვის შრომის ფემინიზაციას და ასახავს სოციალურ სტრუქტურას, სადაც ფორმალური სტაბილურობა თანაარსებობს გენდერულ და ეკონომიკურ ასიმეტრიებთან. ფოკუს ჯგუფების მონაცემებით, უფრო მეტად ქალები - განსაკუთრებით კი მარტონა ან უფროსი ასაკის - ყველაზე მეტად განიცდიან ენერგეტიკულ ხარჯებსა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

ქცევითი თვალსაზრისით, მოსახლეობა თანდათანობით იძენს ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ნიშნებს, თუმცა ქცევის მთავარი მოტივაცია კვლავ ეკონომიკურია და არა ეკოლოგიური. ენერგიის დაზოგვა და ნივთების ხელახალი გამოყენება ფინანსური დაზოგვის სტრატეგიად აღიქმება, მაშინ როცა გარემოზე ზრუნვა ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი მოტივია. ამ ფონზე, მავნე პრაქტიკები, მაგალითად, ნარჩენების დაწვა, კვლავ აქტიურია. ფოკუს ჯგუფების მიხედვით, მსგავსი ქცევები ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია სერვისების (მაგ., ნარჩენების გატანის) არასაკმარისად ეფექტურ მუშაობასთან და არა მხოლოდ ცნობიერების ნაკლებობასთან.

ორივე მუნიციპალიტეტში, გადაადგილების მთავარი საშუალება/ფორმა კერძო მანქანაა. ველოსიპედის გამოყენება იშვიათია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი ფოთში შედარებით უფრო აქტიურად მუშაობს და ხშირადაც გამოიყენება. ამასთან, ორივე გეოგრაფიულ ერთეულში შეინიშნება მოსახლეობის მზაობა ქვეითად და ველოსიპედით მობილობის გაზრდასთან მიმართებით, თუმცა აღნიშნულის აუცილებელ წინაპირობად მოსახლეობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვს.

კლიმატის ცვლილების საკითხები ფოთსა და ხობში განსხვავებულად, თუმცა, მკვეთრად აღიქმება. ფოთის მოსახლეობა უფრო მეტად ფოკუსირდება ჰაერის დაბინძურებასა და მის მავნე გავლენაზე ჯანმრთელობაზე, მაშინ როცა ხობში კლიმატის ცვლილება პირდაპირ ეკონომიკურ პრობლემებთან - განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების სირთულესთან და შემოსავლების შემცირებასთან ასოცირდება. ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ ხობში ტყის ქრა,

მოსავლიანობის კლება და სარწყავი წყლის დეფიციტი მოსახლეობისთვის ყოველდღიურ გამოწვევად იქცა. ფოთში კი კლიმატის ცვლილება უკავშირდება სიცხეს, ტენიანობას, სანაპიროს ეროზიას და წყლის ხარისხის გაუარესებას. ორივეგან ფიქსირდება სტიქიებზე რეაგირების პერსონალიზებული მიდგომა - მოსახლეობა საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობს და არა ინსტიტუციური მითითებებით, რაც მიუთითებს ადაპტაციის პოლიტიკის სისუსტეზე.

ორივე მუნიციპალიტეტებში, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და განათლება ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი და უმეტესად სკოლამდელ და სასკოლო საფეხურებზე ხორციელდება. პროფესიულ და საუნივერსიტეტო დონეზე თემის სისტემური ინტეგრაცია პრაქტიკულად არ არსებობს, რაც ქმნის ცოდნის სტრუქტურულ დეფიციტს და ზღუდავს მდგრადი ქვეყნის ჩამოყალიბებას. გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო მოსახლეობის უმრავლესობისთვის ტელევიზიაა, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ჯგუფში, მაშინ როცა ახალგაზრდები ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებენ, თუმცა მიღებული ინფორმაციის შინაარსი ხშირად ზედაპირულია და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას არ იძლევა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ინფორმაციის წყაროებს შორის არსებული განსხვავებები მიუთითებს კომუნიკაციის სტრატეგიების სეგმენტაციის საჭიროებაზე: ახალგაზრდებისთვის - ონლაინ პლატფორმები და სოციალური მედია, უფროსებისთვის - სატელევიზიო ფორმატი. ამასთან, ფოკუს ჯგუფების შედეგების მიხედვით, მოსახლეობა საჭიროებს უფრო სანდო, ადგილობრივ და პრაქტიკულ საინფორმაციო არხებს, როგორებიცაა შეხვედრები ან ტრენინგები.

გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში მონაწილეობა ორივე მუნიციპალიტეტში დაბალია. ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ხობში, აშკარად შეინიშნება ცოდნის გაღრმავების სურვილი და სწავლისადმი მზაობა. ამავდროულად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა მონაწილეობა პრაქტიკულად არ ფიქსირდება. მიზეზებად სახელდება ინფორმაციის ნაკლებობა და ინტერესის დეფიციტი.

მწვანე ეკონომიკის მიმართულებით ცნობიერება დაბალია. ტერმინები „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე ტრანზიცი“ უმრავლესობისთვის უცნობია, თუმცა განმარტების შემდეგ ისინი დადებითად აღიქმება და ეკოლოგიურ და სოციალურ სარგებელს უკავშირდება. ფოთში მოსახლეობა მწვანე ტრანზიციას უკავშირებს ენერგოეფექტურობას, ინდუსტრიის ეკოლოგიზაციასა და ტურიზმს, ხოლო ხობში - ორგანულ სოფლის მეურნეობასა და ეკოტურიზმს. ამასთან, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მწვანე ტრანზიციის განხორციელება რეალობაში სირთულეებთანაა დაკავშირებული - სახელმწიფოს პოლიტიკური ნების, ფინანსური ხელმისაწვდომობის, ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო.

დასაქმების ფაქტობრივი გამოცდილება მწვანე სექტორში მინიმალურია, თუმცა ახალგაზრდებში შეინიშნება ინტერესი და ჩართულობის მზარდი ტენდენცია. განათლებისა და პროფესიული ცოდნის ნაკლებობა რჩება მთავარ ბარიერად, რასაც მოსდევს მწვანე სამუშაოების სიმცირე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა ოპტიმისტურად უყურებს სექტორების გამწვანების ან მწვანე სექტორის განვითარებას, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობის წყაროს.

საერთო ჯამში, მწვანე ეკონომიკა რეგიონებში ჯერ კიდევ უფრო მეტად იღეა, ვიდრე რეალობა, მაგრამ არსებობს მზაობა და ინტერესის პოტენციალი. ამ პოტენციალის რეალიზება მოითხოვს გარემოსდაცვითი განათლების განვითარებას, პროფესიულ გადამზადებას და მუნიციპალურ ინიციატივებს, რომლებიც მწვანე ეკონომიკას რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობად გარდაქმნის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში სამართლიანი მწვანე ტრანზიციის პროცესში ენერგეტიკული სიღარიბის, გენდერული და სოციალური ჩართულობის შეფასება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემუშავებულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- რესპონდენტისა და მისი ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის გაანალიზება
- რესპონდენტთა საბინაო პირობების შეფასება, რათა განისაზღვროს გამოკითხულთა და მათი ოჯახების წინაშე არსებული საყოფაცხოვრებო ბარიერები
- ადგილობრივად, მწვანე ტრანზიციასთან დაკავშირებული სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეფასება, მათ შორის რესურსების მდგრადად გამოყენების პრაქტიკების შესწავლა
- გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობის შესწავლა
- მწვანე ტრანზიციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნის/ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა
- მწვანე ტრანზიციის მიმართულებით არსებული სტრუქტურული და სისტემური ბარიერების იდენტიფიცირება

მიღებული შედეგების საფუძველზე კი შემუშავდა საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციები. ზემოაღნიშნული საკითხის დეტალურად შესასწავლად გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევა

სამიზნე მუნიციპალიტეტების სრულწლოვან მაცხოვრებელთა გამოცდილებები და შეხედულებები პირისპირი გამოკითხვის მეთოდით შეფასდა. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 390-მა რესპონდენტმა - ფოთსა (N=195) და ხობში (N=195) თანაბარი რაოდენობის ინდივიდი გამოიკითხა. აღნიშნულმა რაოდენობამ უზრუნველყო საერთო შერჩევითი სტატისტიკურად სანდო მონაცემები 5% ცდომილებით (95%-იანი სანდოობის დონეზე). რესპონდენტთა შერჩევა დაეფუძნა არაალბათურ მოდელს, კერძოდ, კლასტერული შერჩევის მეთოდს პირველადი სტრატეგიული საფუძვლით. სტრატებს წარმოადგენდა სამიზნე მუნიციპალიტეტები.

კლასტერიზაციის პროცესში პირველადი, მეორეული და საბოლოო შერჩევის წერტილები გამოიყო, კერძოდ:

- **პირველადი შერჩევის წერტილი (PSU):** სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული საარჩევნო უბნები
- **მეორეული შერჩევის წერტილი (SSU):** შინამეურნეობები
- **საბოლოო შერჩევის წერტილი (FSU):** 18 წლის ან მეტი ასაკის ინდივიდი (რესპონდენტი)

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზებულია როგორც მუნიციპალიტეტების დონეზე, ისე მუნიციპალიტეტებს შიგნით ასაკისა და სქესის ჭრილში.

საველე სამუშაოები ჩატარდა 2025 წლის 29 აგვისტო - 5 სექტემბერის პერიოდში.

თვისებრივი კვლევა

მწვანე ტრანზიციის პროცესში სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართულობის და მათზე გავლენის შესწავლით მიზნით ჩატარდა ექვსი ფოკუს ჯგუფი ხობისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილებთან, შშმ პირებთან და ხანდაზმულებთან - 60+-ს ადამიანებთან. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიხედვით თითო-თითო ფოკუს ჯგუფი ჩატარდა თითოეულ ჯგუფთან.

ფოკუს ჯგუფების ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვებისგან შედგენილი სადისკუსიო გეგმა. ფოკუს ჯგუფებმა დაფარა შემდეგი საკითხები: მწვანე ტრანზიციის მნიშვნელობა, მწვანე ტრანზიციის ჩართვის შესაძლებლობები და ბარიერები, მწვანე დასაქმებაში ჩართვის მზაობა და შესაძლებლობები, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია, ზოგადი ცნობიერება ენერგორესურსების გამოყენების შესახებ და ა.შ. ხანდაზმულებთან ასევე დამატებითი ყურადღება დაეთმო ენერგეტიკული სიღარიბის საკითხების განხილვას, რადგან ისინი ენერგეტიკული სიღარიბისადმი განსაკუთრებულად მოწყვლად რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ.

თითოეული ფოკუს ჯგუფი გაგრძელდა დაახლოებით 1.5 საათი და ჩატარდა „ზუმის“ პლატფორმის გამოყენებით. ჯამში კვლევაში მონაწილეებმა 45 რესპონდენტი. მათ შორის 29 ქალი და 16 კაცი. ქალები უმრავლესობით წარმოდგენილები იყვნენ იმის გამო, რომ შშმ პირების ფოკუს ჯგუფებში არასრულწლოვანი შშმ შვილების მშობლებს დედები წარმოადგენდნენ. ფოკუს ჯგუფები ჩაიწერა როგორც აუდიო, ასევე ვიდეო ფორმატით. დისკუსიების დაწყებამდე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ჩანაწერების კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. შესაბამისად, წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მითითებული რესპონდენტების პირადობის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, როგორებიცაა სახელი, გვარი, მისამართი და სხვა. ფოკუს ჯგუფების ჩანაწერების საფუძველზე მომზადდა ტრანსკრიპტები, რის შემდგომაც მონაცემები დამუშავდა და გამოყენებულ იქნა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტების სოციალური და დემოგრაფიული პროფილი

იძულებით გადაადგილებული პირების ფოკუს ჯგუფები

ფოტოში გამართული ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა უმეტესობა აფხაზეთიდან არის დევნილი. ახალგაზრდებს შორის იყვნენ სტუდენტები და დასაქმებული პირები კერძო და საჯარო სექტორში, საშუალო ასაკის მონაწილეებს შორის აღსანიშნავია პედაგოგები და სხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლები, ხოლო ხანდაზმულთა შორის, პენსიონერები და ყოფილი მასწავლებლები.

ხობში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა და შუა ხნის რესპონდენტები, მათ შორის უმეტესობა არის დევნილი გალიდან. ჯგუფში შედიოდნენ როგორც დასაქმებული, ასევე დროებით უმუშევარი პირები, ახალგაზრდა დედები და სხვადასხვა სოფელში მცხოვრები ხობელები.

60+ ასაკის პირების ფოკუს ჯგუფები

ფოტოში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ 60-დან 72 წლამდე ასაკის ხანდაზმულები, რომელთა უმრავლესობა იყო პენსიონერი. მონაწილეებს შორის იყვნენ ყოფილი სამედიცინო მუშაკები, მასწავლებლები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც წლების განმავლობაში ადგილობრივ საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

ხობში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა ასაკი 62-დან 73 წლამდე მერყეობდა. მათი ძირითადი საქმიანობა მოიცავს სოფლის მეურნეობას, მცირე ბიზნესს, ღიასახლისობასა და საჯარო სექტორში დასაქმებას. მიუხედავად ასაკისა, რამდენიმე მონაწილე კვლავ დასაქმებულია და აქტიურად მუშაობს სკოლასა და მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში.

მუხტოდული შესაძლებლობის მქონე პირების ფოკუს ჯგუფები

ფოთში ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ისე შშმ პირთა მშობლები. მონაწილეთა ნაწილს სხვადასხვა ფიზიკური შეზღუდვა აქვს – გადაადგილების სირთულეები, მხედველობის პრობლემები, ოპერაციების შემდგომი მდგომარეობა ან ქრონიკული დაავადებები, მაგალითად, დიაბეტი.

ხობში გამართულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ განვითარების სირთულეები მქონე ბავშვების მშობლები და ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირები.

ძირითადი მიგნებები

ოჯახის პერსონალური მონაცემები, დასაქმება

- სულ რაოდენობრივ კვლევაში 390-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, მათგან 195 ფოთის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა, 195 კი - ხობის მუნიციპალიტეტში. ფოთის შემთხვევაში რესპონდენტებისგან შეგროვდა ოჯახის 509 წევრზე ინფორმაცია, ხოლო ხობში - ოჯახის 558 წევრზე. ორივე სამიზნე ლოკაციაზე დომინანტურია 2-წევრიანი ოჯახები: ფოთი - 34%, ხობი - 31%.
- ოჯახის წევრთა უმრავლესობა ქალია: ფოთი - 53%, ხობი - 51% (კაცები: ფოთი - 47%, ხობი - 49%). ამასთან, ოჯახის წევრთა ძირითადი ნაწილი დაქორწინებულია: ფოთი - 45%, ხობი - 50%. მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი (ფოთი - 100%, ხობი - 100%) და მართლმადიდებელი ქრისტიანია (ფოთი - 99%, ხობი - 99%). ოჯახის წევრთა ძირითად ნაწილს საშუალო განათლება (ფოთი - 38%, ხობი - 46%) აქვს მიღებული, თითქმის თანაბარ ოდენობას კი - პროფესიული განათლება (ფოთი - 16%, ხობი - 18%).
- გამოკითხულთა ოჯახის წევრების დიდ უმრავლესობას არც დევნილის სტატუსი აქვს (ფოთი - 82%, ხობი - 89%) და არც შშმ პირის სტატუსი (ფოთი - 99%, ხობი - 99%).
- ფოთსა (60%) და ხობში (62%) გამოკითხულთა ოჯახის წევრების ნახევარზე მეტს ბოლო კვირის განმავლობაში არანაირი ანაზღაურებადი საქმიანობა არ შეუსრულებია, მეტიც, მათ უმრავლესობას არც უცდია ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნა (ფოთი - 92%, ხობი - 93%), რის ძირითად მიზეზებადაც დასახელდა, რომ პირი პენსიონერია (ფოთი - 22%, 23%), სწავლობს (ფოთი - 35%, ხობი - 29%) ან საოჯახო ზრუნვის შრომაშია ჩართული (ფოთი - 6%, ხობი - 18%).
- ბოლო კვირის განმავლობაში დასაქმებული წევრების ძირითადი ნაწილი კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში მუშაობს/მუშაობდა: ფოთი - 55%, ხობი - 37%. ფოთში შედარებით ხშირი პრაქტიკაა (24%) სახელმწიფო დაწესებულებაში დასაქმება (ხობი - 19%), ხოლო ხობის მუნიციპალიტეტში გაცილებით მაღალია მათი წილი (18%), ვინც საკუთარ მიწაზე მუშაობს ან პირუტყვს, ფრინველს უვლის/უვლიდა (ფოთი - 1%).
- რესპონდენტთა ოჯახის წევრების უმრავლესობას არც ფოთში (91%) და არც ხობში (94%) ბოლო 12 თვის განმავლობაში არცერთი სახის სოციალური დახმარება არ მიუღია, ასაკობრივი პენსიის გარდა. პოზიტიური გამოცდილების შემთხვევაში, შედარებით ჭარბობს საარსებო შემწეობითა (ფოთი - 50%, ხობი - 74%) და სოციალური პაკეტი (ფოთი - 44%, ხობი - 26%) სარგებლობა.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში ოჯახის სხვადასხვა წყაროდან მიღებული ჯამური ფულადი შემოსავალი¹ ფოთში საშუალოდ უტოლდება 13 483 ლარს, ხოლო ხობში - 12 157 ლარს. შემოსავალი, ძირითადად, ეყრდნობა ხელფასს (ფოთი - საშუალოდ 15332 ლარი, მედიანა - 12000 ლარი (N=93), ხობი - საშუალოდ 10772 ლარი, მედიანა - 10560 ლარი (N=66)), პენსიასა (ფოთი - საშუალოდ 4959 ლარი, მედიანა - 4550 ლარი (N=104), ხობი - საშუალოდ 5750 ლარი, მედიანა - 5400 ლარი (N=128)) და კერძო საქმიანობიდან/ბიზნესიდან შემოსავალს (ფოთი - საშუალოდ 6234 ლარი, მედიანა - 5000 (N=21), ხობი - საშუალოდ 12085 ლარი, მედიანა - 6500 ლარი (N=26)). ოჯახების საშუალო წლიური შემოსავლის ოდენობა როგორც ფოთში, ისე ხობში ჩამორჩება მთლიანად სამეგრელოს რეგიონულ მონაცემს (საშუალოდ 17190.41 ლარი).

¹ თითოეული წყაროდან მიღებული შემოსავლის საშუალო ოდენობისა თუ მედიანის დათვლისას გათვალისწინებულია მხოლოდ იმ რესპონდენტთა მონაცემები, ვინც მიუთითა, რომ ოჯახს ამა თუ იმ კონკრეტული წყაროდან ბოლო 12 თვის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი მიუღია („0“ ლარი ამორთულია/არ არის გათვალისწინებული ანალიზში).

ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ სამეგრელოს საშუალო მაჩვენებელი აღნიშნული ორი მუნიციპალიტეტის გარდა მოიცავს დანარჩენი 6 მუნიციპალიტეტის შედეგებსაც. ამდენად, ლოგიკურია, რომ რეგიონული მაჩვენებელი ცალკეული მუნიციპალიტეტის შედეგს აჭარბებს.

- რაც შეეხება ენერჯიაზე ოჯახის დანახარჯებს, ზამთრის/შემოდგომის სეზონზე ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში თვითრად, ძირითადად, ოჯახის შემოსავლის 0-5% იხარჯება: ფოთში ამაზე მიუთითებს გამოკითხულთა 23%, ხოლო ხობში - 32%. აღნიშნული პროცენტული დიაპაზონია დომინანტური ზაფხული/გაზაფხულის სეზონზეც, თანაც, გაცილებით მეტი რესპონდენტი უთითებს ამ კატეგორიას, რადგან შეშის და სხვა გათბობის საშუალებების მოხმარება წელიწადის ამ დროს მკვეთრად შემცირებულია (პასუხის კატეგორია „0-5%“): ფოთი - 45%, ხობი - 53%.
- ამასთან, რესპონდენტებს ოჯახების შედარებით დიდ ნაწილს კომუნალური გადასახდელების გადახდა არ უჭირთ: ფოთი - 39%, ხობი - 40%. მეორე მხრივ, საშუალოდ მეხუთედს ძალიან უჭირს აღნიშნული ხარჯის გაწევა, რადგან იძულებული ხდება თანხა კვებას ან სხვა აუცილებელ საჭიროებებს მოაკლოს: ფოთი - 21%, ხობი - 20%. ამას ემატება ისიც, რომ ოჯახები, ძირითადად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან ენერგორესურსების უზრუნველყოფის კუთხით, არანაირ დახმარებას არ იღებენ: ფოთი - 100%, ხობი - 98%.
- ფოკუს ჯგუფების შედეგები ცხადყოფს,² რომ როგორც იძულებით გადაადგილებული, ისე შშმ პირები კვლავ მრავალი სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული სირთულის წინაშე დგანან იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში განხორციელებულმა სახელმწიფო ინიციატივებმა ნაწილობრივ გააუმჯობესა საცხოვრებელი პირობები და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა.
- შშმ პირებისთვის და დევნილებისთვის უმთავრეს გამოწვევებად რჩება დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, განათლებისა და ინფრასტრუქტურის არასახარბიელო მდგომარეობა.
- შშმ პირები ყურადღებას ამახვილებენ ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მაღალ ხარჯებზე, ინფრასტრუქტურის მიუწვდომლობაზე და სერვისების მისაღებად არსებულ ბიუროკრატიულ ბარიერებზე.

საბინაო პირობები

- ფოთში გამოკითხულთა საშუალოდ მეხუთედის შეფასებით, ოჯახის საცხოვრისში, სააბაზანოს, საკუჭნაოს, სხვა სათავსოების გარდა, 2 (22%) ან 3 (19%) ოთახია, ხობის მუნიციპალიტეტში კი 4 (27%) ან 5-ოთახიანი (20%) საცხოვრისები ჭარბობს.
- საცხოვრებლის ფართი ფოთში 16-200 კვ.მ.-ის ფარგლებში მერყეობს, ხობში კი - 30-300 კვ.მ.-ის ფარგლებში. საშუალო მონაცემების მიხედვით, ხობის საცხოვრებლების საშუალო ფართობი (115 კვ.მ.) აღემატება ფოთის მაჩვენებელს (95 კვ.მ.).
- საცხოვრისი, უმრავლეს შემთხვევაში, კერძო სახლია (ფოთი - 65%, ხობი - 96%), რომელიც ერთ-ერთი წევრის მფლობელობაშია (ფოთი - 93%, ხობი - 97%). მეორე მხრივ, ფოთში გამოკითხულთა მესამედზე მეტი (34%) მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობს, ხობში კი მსგავსი გამოცდილებით მხოლოდ 4% ხასიათდება.

² თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექვსი ფოკუს ჯგუფი ხობსა და ფოთში მცხოვრებ დევნილებთან, შშმ პირებთან და ხანდაზმულებთან - 60+-ს ადამიანებთან. ჯამში კვლევაში მონაწილებდა 45 რესპონდენტი. მათ შორის 29 ქალი იყო, ხოლო 16 კაცი.

- ორივე სამიზნე ლოკაციაზე იმპიათია სახლში თბოიზოლირებული გარე კედლების, იატაკის, ქერის ან გამავალი ფანჯრების არსებობა - ძირითადი ნაწილი ამ ინფრასტრუქტურის არარსებობაზე მიუთითებს: ფოთი - 44%, ხობი - 52%. მეორე მხრივ, შედარებით ხშირი პრაქტიკაა თბოიზოლირებული გამავალი ფანჯრების ქონა: ფოთი - 55%, ხობი - 47%.
- ოჯახებს, როგორც წესი, არ აქვთ ისეთი ინფრასტრუქტურული პრობლემები, როგორებიცაა: დაზიანებული სახურავი, საიდანაც წყალი ჩამოდის (ფოთი - 92%, ხობი - 87%), დაზიანებული იატაკი და კედლები (ფოთი - 92%, ხობი - 94%), გაუმართავი შიდა ელექტროქსელი (ფოთი - 93%, ხობი - 98%), ბინის კვადრატულობა (სახლი/ბინა ძალიან პატარაა ოჯახისთვის) (ფოთი - 94%, ხობი - 90%). შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, ვისთვისაც თბოიზოლაციის არარსებობა (ფოთი - 27%, ხობი - 28%) და ნესტი (ფოთი - 36%, ხობი - 41%) წარმოადგენს პრობლემას; თუმცა, ძირითადად შემთხვევებში, საცხოვრებელ სახლებს მსგავსი ინფრასტრუქტურული პრობლემები არ აქვს.

სერვისების ხელმისაწვდომობა

- ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მაღალია შემდეგ სერვისებზე ხელმისაწვდომობა: ცენტრალური წყალმომარაგება (ფოთი - 100%, ხობი - 78%), ცხელი წყალი (ფოთი - 96%, ხობი - 81%), ელექტროენერჯია (ფოთი - 100%, ხობი - 100%), გაზმომარაგება (ფოთი - 100%, ხობი - 68%), ფიქსირებული ინტერნეტი (ფოთი - 81%, ხობი - 63%), მობილური ინტერნეტი (ფოთი - 90%, ხობი - 87%), ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები (ფოთი - 100%, ხობი - 96%). შედარებით პრობლემურია კონდიციონერისა (ფოთი - 66%, ხობი - 82%) და ცენტრალური კანალიზაციის სისტემაზე (ფოთი - 54%, ხობი - 90%) ხელმისაწვდომობა, რადგან უმრავლესობა აღნიშნული მომსახურებით არ სარგებლობს.
- ამასთან, ფოთში წყალი უწყვეტად, 24 საათის განმავლობაში, მიეწოდება მაცხოვრებლებს (100%), რასაც ხობში გამოკითხულთა 95%-იც ადასტურებს. რაც შეეხება ნარჩენების გატანის მუნიციპალურ სერვისებს, ფოთში დომინანტური პრაქტიკაა ნარჩენების ყოველდღიურად გატანა (55%), ხობში ასეთ პრაქტიკაზე 37% მიუთითებს. იმას, რომ ფოთში უკეთ მუშაობს ნარჩენების გატანის სერვისი ისიც მოწმობს, რომ, დაახლოებით 40%-ის შეფასებით, აღნიშნული სერვისი 2-3 დღეში ერთხელ ხორციელდება, რასაც ხობში გამოკითხულთა მხოლოდ 11% იზიარებს.
- ზოგადი მდგომარეობის აღსაწერად უნდა ითქვას, რომ ორივე მუნიციპალიტეტში ზემოაღნიშნული სერვისების შეფასებისას პოზიტიური გამოცდილებები ჭარბობს - ამა თუ იმ სერვისით მოსარგებლე პირთა უმრავლესობა სერვისების მუშაობის ხარისხს აფასებს, როგორც „კარგს“: ფოთი - საშუალოდ 91%, ხობი - საშუალოდ 85%. შედარებით ნეგატიური შეფასებებით ხასიათდება გაგრილების სისტემა, რაც დაკავშირებულია იმასთანაც, რომ, ძირითადად, მასზე ხელმისაწვდომობა დაბალია.
- გასულ ზამთარს სახლის გათბობის გამოცდილება გამოკვეთს, რომ ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა უმრავლესობა მხოლოდ ერთ ოთახს ათბობდა: ფოთი - 67%, ხობი - 83%. ამასთან, ფოთში უფრო გავრცელებული პრაქტიკაა მთელი სახლის (ფოთი - 16%, ხობი - 9%) ან ზოგიერთი ოთახის (ფოთი - 15%, ხობი - 8%) გათბობა. ზოგადი შეფასებისთვის უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას 2024-2025 წლის პერიოდში 6 თვის განმავლობაში დასჭირდა ბინის/სახლის გათბობა: ფოთი - 58%, ხობი - 59%. მთელი ბინის გათბობის შესაძლებლობების არქონა უმრავლეს შემთხვევაში ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული: ფოთი - 73%, ხობი - 60%.

- რაც შეეხება გათბობის საშუალებებს, ფოთში მასობრივად გავრცელებულია ბუნებრივ გაზზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობელი („კარმა“, „ნიკალა“ და ა.შ.) (77%), ხობში კი - ღუმელი (შემის, ნახშირის, ღიზელის, ნახერხის და ა.შ.) (68%). ორივე სამიზნე ლოკაციაზე განსაკუთრებით დაბალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა ოჯახებიც გასულ ზამთარს ელექტროენერგიაზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობლით ათბობდა სახლს/ბინას: ფოთი - 3%, ხობი - 1%.
- სახლის/ბინის გათბობის გამოცდილება, ფოთში გამოკითხულთა 51%-სთვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ანუ გათბობის დონე ოჯახისთვის საკმარისი იყო, ხოლო ხობში ნეგატიური შეფასებები ჭარბობს - რესპონდენტთა 60%-სთვის გათბობის დონე არ იყო საკმარისი.
- ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში ენერჯის ძირითად წყაროებად ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია გამოიყენება, თუმცა ხობში, სადაც გაზმომარაგება ყველა სოფელს არ ფარავს, მოსახლეობის ნაწილი კვლავ შემას იყენებს გათბობისა და საჭმლის მოსამზადებლად.
- ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გაზისა და ღვინის მაღალი ტარიფები აჩენს ეკონომიკური მოწყვლადობის ნიშნებს და აიძულებს ხანდაზმულების ცხოვრების წესის შეცვლას. კერძოდ, ზამთარში მხოლოდ ერთ ოთახს ათბობენ მოხმარების შემცირების მიზნით.
- რაც შეეხება გაგრილების გამოცდილებას, რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, თუკი ფოთში გამოკითხულთა 45%-მა 2025 წლის ზაფხულში ერთი ოთახის გაგრილება შეძლო, ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა 45%-მა ბინა ფაქტიურად ვერ გააგრილა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება ჰქონდათ.
- ორივე მუნიციპალიტეტში გასაგრილებლად, ძირითადად, ვენტილატორს იყენებდნენ: ფოთი - 60%, ხობი - 53%. მეორე მხრივ, ფოთის მუნიციპალიტეტში (28%), ხობთან შედარებით (14%), ხშირია კონდიციონერის გამოყენების პრაქტიკა. რაც შეეხება სახლის/ბინის გარეთ გაგრილების საშუალებებს, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა უმრავლესობა ცივი წყლით გრილდებოდა (ფოთი - 66%, ხობი - 67%) ან თავს აფარებდა ჩრდილიან ადგილებს (ფოთი - 70%, ხობი - 68%).
- ფოკუს ჯგუფების შედეგები ცხადყოფს, რომ სიცხიან სეზონზე ფოთში მცხოვრები ხანდაზმულები ძირითადად კონდიციონერებს ან ვენტილატორებს იყენებს, ხოლო ხობში, სადაც ტექნიკური შესაძლებლობები ნაკლებად აქვთ, გავრცელებულია ბუნებრივი გაგრილების სტრატეგიები, როგორებიცაა ჩრდილში ყოფნა და ფიზიკური აქტივობის შემცირება.
- სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებული გამოცდილებაა ღუმელების ფლობის თვალსაზრისით. თუკი, ხობში გამოკითხულთა 63%-ს სტანდარტული ღუმელი (ე.წ. „ფეჩი“) აქვს, ფოთში მცხოვრებთა 72% საერთოდ არ ფლობს ღუმელს. ამასთან, ღუმელის ფუნქციონირებისთვის ფოთში, ძირითადად, გაზს იყენებენ (65%), ხოლო ხობში - შემას (83%).
- ორივე ლოკაციაზე გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს არც მზის წყალგამაცხელებელი (ფოთი - 98%, ხობი - 99%) და არც ელექტროენერჯის მისაღებად საჭირო მზის პანელები (ფოთი - 100%, ხობი - 100%). რაც შეეხება ბინის/სახლის განათებას, რესპონდენტები, ძირითადად ღირდურ ნათურებს (LED) იყენებენ: ფოთი - 73%, ხობი - 69%.
- ხობის მუნიციპალიტეტში (41%), ფოთთან (39%) შედარებით, უფრო მაღალია მუშა მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანის მფლობელ ოჯახთა წილი. ორივე სამიზნე ლოკაციაზე, როგორც წესი, 1 ავტომანქანას ფლობენ: ფოთი - 88%, ხობი - 90%. რაც შეეხება ოჯახის თვიურ დანახარჯებს საწვავზე, იკვეთება, რომ ორივე მუნიციპალიტეტში, ძირითადად, 151-200

ლარის ხარჯი აქვთ: ფოთი - 36%, ხობი - 30%; შემდეგ პოზიციას კი 251-300 ლარის ოდენობის ხარჯი იკავებს: ფოთი - 21%, ხობი - 22%.

- რაოდენობრივ კვლევაში ტრანსპორტის/გადაადგილების ხარჯის შეფასებისას (აქ არ იგულისხმება საკუთარი კერძო მანქანისთვის საწვავის ხარჯი) გამოიკვეთა, რომ თუკი ფოთის მაცხოვრებელთა მეხუთედის (20%) ოჯახს ტრანსპორტზე თვის განმავლობაში 21-30 ლარის დანახარჯი აქვს, ხობის შემთხვევაში ხარჯი, ძირითადად, 11-20 ლარის (18%) ან 41-50 ლარის (18%) შუალედში მერყეობს. მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება ყველაზე კარგად შემდეგ კატეგორიებში ჩანს: თუკი ხობში გამოკითხულთა 15.7%-ის ოჯახს თვითრად ტრანსპორტზე/გადაადგილებაზე დანახარჯი არ აქვს (0 ლარი), ამ პოზიციას ფოთის მაცხოვრებელთა მხოლოდ 5% იზიარებს. მეორე მხრივ, ფოთში (12%), ხობთან შედარებით (6%), 2-ჯერ მეტია მათი წილი, ვისი ოჯახის გადაადგილების თვიური ხარჯიც 81-100 ლარს უტოლდება. ამასთან, არცერთ მუნიციპალიტეტში არ იჩენს თავს აუცილებელი საჭიროებებისთვის ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემები: ფოთი - 84%, ხობი - 66%.
- ოჯახური მდგომარეობის გაანალიზებისას, განისაზღვრა სხვადასხვა საქმიანობაზე (სასმელი/არასასმელი წყლის შეგროვება, შეშის ან სხვა საწვავის შეგროვება, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა და ა.შ.) პასუხისმგებელი პირი. საწყის ეტაპზე უნდა ითქვას, რომ მაღალია მათი წილი, ვინც მიუთითებს, რომ ამა თუ იმ საქმიანობის შესრულება სპეციფიკურად არავის ევალდება - ოჯახის ზრდასრული წევრები ასრულებენ: ფოთი - საშუალოდ 26%, ხობი - საშუალოდ 29%. მეორე მხრივ, გამოვლინდა, რომ ასაკობრივი ჯგუფების დონეზე აქტივობებს შორის განსხვავებები, ძირითადად, არ იკვეთება - თითოეულ განხილულ საქმიანობას, როგორც წესი, 30 წლის ან მეტი ასაკის პირები ასრულებენ: ფოთი - საშუალოდ 57%, ხობი - საშუალოდ 60%; სქესის მხრივ, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსხვავებული გამოცდილებები დაფიქსირდა. მაგალითად, სასმელი წყლის შეგროვება (ფოთი - 27%, ხობი - 23%), არასასმელი წყლის შეგროვება (ფოთი - 27%, ხობი - 22%), შეშის ან სხვა საწვავის/ნედლეულის შეგროვება (ფოთი - 21%, ხობი - 44%) - ძირითადად, კაცებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა საკვები პროდუქტების შეძენა (47%, ხობი - 43%), საჭმლის მომზადება (ფოთი - 73%, ხობი - 82%), კომუნალური გადასახადების მართვა/გადახდა (ფოთი - 33%, ხობი - 41%) - ძირითადად, ქალები ასრულებენ.

ინდივიდუალური ქცევები და განწყობები

- გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ფოთსა და ხობში მოსახლეობა მწვანე ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოზიტიური ქცევითი თავისებურებებით ხასიათდება, რაც დასტურდება იმით, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ენერჯის დაზოგვის მიზნით აქრობს სინათლეს ოთახიდან გასვლისას (ფოთი - 86%; ხობი - 90%), ცივ ამინდებში გამათბობლის გამოყენების ნაცვლად თბილ ტანსაცმელს ატარებს (ფოთი - 51%; ხობი - 54%) და უპირატესობას ანიჭებს ენერგოეფექტურ მოწყობილობებს/ტექნიკას (ფოთი - 41%, ხობი - 42%). ამასთან, ხშირია ისეთი ქცევითი პრაქტიკები, როგორებიცაა: საყიდლებზე საკუთარი ჩანთის ტარება (ფოთი - 48%; ხობი - 45%), საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა (ფოთი - 45%; ხობი - 58%) და დაზიანებული ნივთების შეკეთება ახლის შეძენის ნაცვლად (ფოთი - 53%; ხობი - 60%).
- მიუხედავად იმისა, რომ ფოთსა და ხობში მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკოლოგიურად პოზიტიური ქცევებით ხასიათდება, კვლევის შედეგები პრობლემურ პრაქტიკებზეც მიუთითებს. კერძოდ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გარემოზე მავნე ზემოქმედების ისეთ ქცევას ახორციელებს, როგორიცაა ფოთლებისა/სხვა მსგავსი ნარჩენების დაწვა (ფოთი - 36%;

ხობი - 42%); ასევე, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ავტომობილის გამართულობას ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით (ფოთი - 23%; ხობი - 25%). გარდა ამისა, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (ფოთი - 58%; ხობი - 53%) ბუნებრივი და ენერგო რესურსების დაზოგვას უფრო ეკონომიის გაწევის მოტივით ახორციელებს, ვიდრე გარემოზე ზრუნვის მიზნით.

- რესპონდენტთა ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფოთში ახალგაზრდებსა და 30+ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ჯგუფებში თანაბარია/თითქმის თანაბარია ისეთი დადებითი პრაქტიკის გამზიარებული რესპონდენტების წილი, რომლებიც ხშირად/თითქმის ყოველთვის ა) იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს მანქანის/ტაქსის ნაცვლად (18-29 წლის - 41%; 30+ წლის - 46%), ბ) ავტომობილის შეძენისას/გამოყენებისას მნიშვნელობას ანიჭებენ მის გამართულობას ჰაერის დაბინძურების კუთხით (18-29 წლის - 24%; 30+ წლის 24%) და გ) თითქმის არასდროს/იშვიათად წვავენ ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავს ნარჩენებს მათი თავიდან მოშორების მიზნით (18-29 წლის - 32%; 30+ წლის 37%). ამისგან განსხვავებით, ხობში ისეთი ქმედებები და განწყობები, როგორებიცაა თითქმის ყოველთვის/ხშირად ა) მანქანის ან ტაქსის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება (18-29 წლის - 75%; 30+ წლის - 52%) და ბ) მოკლე დისტანციებზე ველოსიპედით ან ქვეითად გადაადგილება (18-29 წლის - 56%; 30+ წლის - 42%) უფრო მეტად 30 წლის ან მეტი ასაკის მოსახლეობას ახასიათებს, ვიდრე ახალგაზრდებს.
- ფოთში კაცებს უფრო მეტად ახასიათებთ ისეთი ენერგოეფექტური ქცევები, როგორებიცაა - ცივ ამინდში თბილი ტანსაცმლის ჩაცმა გამათბობლის ჩართვის ნაცვლად (კაცი - 63% ქალი - 41%) და ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით ავტომობილის გამართულობაზე ზრუნვა (კაცი - 32%; ქალი - 17%), მაშინ როცა ქალები უფრო ხშირად იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს მანქანის/ტაქსის ნაცვლად (ქალი - 47%; კაცი - 43%). ასევე, ქალების ჯგუფში უფრო იშვიათია ფოთლებისა და სხვა ნარჩენების დაწვა მათი თავიდან მოშორების მიზნით და ურნების ნაკლებობის გამო ქუჩაში ნაგვის დაყრა. რაც შეეხება ხობის მუნიციპალიტეტს, ქალები უფრო აქტიურად ახორციელებენ ეკოლოგიურად პოზიტიურ ქცევებს. კერძოდ, ისინი უფრო მეტად იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს მანქანის/ტაქსის ნაცვლად (ქალი - 70%; კაცი - 46%) და ახალი ნივთების ყიდვას, ძველი ნივთების შეკეთებას ამჯობინებენ (ქალი - 73%; კაცი - 46%). აქვე, გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ენერგო და ბუნებრივი რესურსების დაზოგვისას, ქალების მოტივაცია უფრო მეტადაა პირად ბიუჯეტის/ფინანსების დაზოგვაზე ფიქრით განპირობებული, ვიდრე კაცების (ქალი - 67%; კაცი - 39%).
- ფოთსა და ხობში მოსახლეობის მობილობის/გადაადგილების მთავარი ფორმა კვლავ კერძო მანქანაა, თუმცა მისი “დღეში ერთხელ მაინც” გამოყენების სიხშირე ფოთში უფრო მაღალია, ვიდრე ხობში (ფოთი - 23%; ხობი - 16%). საზოგადოებრივ ტრანსპორტს ფოთში რესპონდენტთა შედარებით დიდი ნაწილი (19%) იყენებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ხობში კი კვირაში 3 ან 4-ჯერ (24%). ორივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ არ იყენებს ველოსიპედს (ფოთი - 32%, ხობი - 29%). ფოთში კვირაში 5-ჯერ ან მეტჯერ (მაგრამ არა ყოველდღე) ქვეითად გადაადგილდება გამოკითხულთა 16%, ხობში კი - 19%.
- ფოთსა და ხობში მოსახლეობის გადაადგილების გამოცდილება ასაკისა და სქესის მიხედვით განსხვავებულია. ფოთში 30+ ასაკის რესპონდენტებს შორის უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც დღეში ერთხელ მაინც იყენებენ კერძო მანქანას (25%), ვიდრე ახალგაზრდების სეგმენტში (18%). ახალგაზრდების 29% კვირაში 1-2-ჯერ იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს. იგივე სიხშირით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების წილი 30 წლის ან მეტი ასაკის მოსახლეობაში 15%-ს არ აღემატება. ხობში ახალგაზრდების 21% არასდროს იყენებს კერძო მანქანას, ხოლო 30+ ასაკის ჯგუფში ეს მაჩვენებელი მცირდება და 11%-ს არ

აღმატება. ახალგაზრდებში შედარებით გავრცელებულია დღეში 5-ჯერ ან მეტჯერ (მაგრამ არა ყოველდღე) ქვეითად გადაადგილება (28%) და დღეში ერთხელ მაინც ველოსიპედის გამოყენება (27%), მაშინ როდესაც 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა 35% ველოსიპედს არასდროს იყენებს. ფოთში ქალების 40% არასდროს მოძრაობს ველოსიპედით, რაც თითქმის ორჯერ აღმატება კაცთა ანალოგიურ მაჩვენებელს (22%). მსგავსად ფოთისა, ხობშიც საკმაოდ მაღალია ისეთი ქალებისა (38%) და კაცების (21%) წილი, რომლებიც არასდროს იყენებენ ველოსიპედს მობილობისთვის. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების სიხშირის კუთხით, ხობში, როგორც ქალების, ასევე, კაცების ჯგუფში ყველაზე მაღალია მათი წილი, რომლებიც კვირაში 3 ან 4-ჯერ იყენებენ მას (ქალი - 24%; კაცი - 23%).

- ფოთსა და ხობში მოსახლეობას გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით განსხვავებული ქცევითი პატერნები და აღქმები გააჩნია. ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმრავლესობა აცნობიერებს კლიმატის გავლენას ჯანმრთელობაზე: ა) ფოთში გამოკითხულთა 66% , ხობში კი 54% თვლის, რომ ტემპერატურის უკიდურესი ცვლილებები დაავადებებს ამძაფრებს; ბ) ფოთში 63% და ხობში 69% მიიჩნევს, რომ სიცხე და სიცივე განსხვავებულად მოქმედებს ბავშვებსა და მოხუცებზე. მიუხედავად ენერგოეფექტურობისადმი ინტერესის ზრდისა (ფოთი - 63%; ხობი - 52%), მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს ცოდნას ენერჯის დაზოგვის პრაქტიკული გზების შესახებ, რაც ეკოლოგიურად მოტივირებულ ქცევას ზღუდავს.
- ტრანსპორტისა და მობილობის მიმართულებით, ფოთში უფრო მაღალია ისეთთა წილი, ვინც ყოველდღიურად იყენებს მანქანას (ფოთი - 46%; ხობი - 40%), თუმცა ფოთში უფრო მეტად გამოხატავენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით (38%) და ველოსიპედით (34%) გადაადგილების მზადყოფნას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში, ვიდრე ხობში. ორივე მუნიციპალიტეტში თითქმის თანაბარია მათი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ უსაფრთხო და მოწესრიგებული საფენმავლო ბილიკების არსებობის შემთხვევაში ქვეითად მეტს იმოძრაებდნენ (ფოთი - 36%; ხობი - 38%).
- ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და გამოყენების სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებების მიხედვით. კერძოდ, ადგილობრივებს ფოთში გადაადგილება შედარებით მარტივად შეუძლიათ, რადგან ქალაქში მოქმედებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის რამდენიმე ფორმა (ავტობუსი, მიკროავტობუსი, ტაქსი). ხობში ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა დაბალია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხი კი - არაადამაკმაყოფილებელი. კერძოდ, ავტობუსები და მიკროავტობუსები მოძველებულია, მოუხერხებელი და ხშირად ვერ უზრუნველყოფს კომფორტულ გადაადგილებას, განსაკუთრებით ზაფხულის სიცხეში.
- ხობში აშკარაა კლიმატის ცვლილების ნეგატიური გავლენა მოსახლეობაზე; კერძოდ, 38%-ს მიაჩნია, რომ მაღალი ტემპერატურა ხელს უშლის მათ პროფესიულ საქმიანობაში, 47% კი მიუთითებს, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვადასხვა ნეგატიური ეფექტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ართულებს.
- ფოთში შედარებით მაღალია ცნობიერება ჰაერის დაბინძურების რისკებზე (ფოთი - 49% ხობი - 41%) და მზაობა ციფრული უნარების განვითარების კუთხით (ფოთი - 44% ხობი - 33%), თუმცა შესაბამისი შესაძლებლობები მოსახლეობას არ გააჩნია.
- ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ფოთში 30+ ასაკის მოსახლეობა უფრო მეტად უკავშირებს ტემპერატურულ ცვლილებებს ჯანმრთელობის პრობლემებს (18-29 წლის - 60%; 30+ წლის - 68%), მაშინ როცა ახალგაზრდები უფრო მეტად მიუთითებენ ბავშვებისა და მოხუცების მგრძობელობაზე (18-29 წლის - 68%; 30+ წლის - 60%).

- ხობში ახალგაზრდები უფრო მეტად გამოხატავენ მზაობას ქვევითი პრაქტიკების ცვლილების მიმართ - იქნება ეს საჯარო ტრანსპორტით (18-29 წლის - 48%; 30+ წლის - 27%) თუ ქვეითად (18-29 წლის - 50%; 30+ წლის - 33.9%) გადაადგილება. აქვე, ახალგაზრდა (56%) და 30+ ასაკის (57%) რესპონდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ველობილიკების მოწესრიგება და უსაფრთხოების ნორმების დაცვა მათთვის ველოსიპედით მოძილობის გადაწყვეტილების მიღების სტიმული იქნებოდა.
- ფოთსა და ხობში გამოკითხულთა უმრავლესობა ელექტრონული მოწყობილობების ხანგრძლივი გამოყენებისკენაა მიდრეკილი - ისინი ტექნიკას მხოლოდ მაშინ ცვლიან, როცა მისი შეკეთება შეუძლებელი ხდება (ფოთი - 79%; ხობი - 78%). თუმცა, ნარჩენების მართვის პრაქტიკა ეკოლოგიურად არამდგრადია: მოსახლეობის დიდი ნაწილი გაფუჭებულ ელექტრომოწყობილობებს (ფოთი - 65%; ხობი - 72%) და დაცლილ ბატარეებს საერთო ნარჩენების ურნაში ყრის (ფოთი - 81%; ხობი - 90%).
- ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ნარჩენების დახარისხების პრაქტიკის დანერგვას დადებითად აფასებს და მას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევს (ფოთი - 94%, ხობში 93%).

კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა

- გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გარემოს დეგრადაციის გამომწვევი ესა თუ ის ეკოლოგიური ცვლილება ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უფრო მეტად შესამჩნევია, ვიდრე ფოთის მოსახლეობისთვის. ისეთთა წილი, რომლებსაც ასეთი ცვლილებები არ შეუნიშნავთ ფოთში 48%-ს უტოლდება, ხობში კი 35%-ს. ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში ძირითად ეკოლოგიურ პრობლემებად ინვაზიური ახალი სახეობების (მაგ. ფაროსანა) გაჩენა (ფოთი - 33%, ხობი - 53%) და ბუნებრივი კატასტროფების განხიზვება (ფოთი - 28%, ხობი - 41%) იკვეთება. ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც ფოთში, ასევე, ხობში („არ შემიშინავს“: ფოთი - 54%; ხობი - 49%) ახალგაზრდების ჯგუფში უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომელთა ყურადღების მიღმა რჩება ეკოლოგიური ცვლილებები/პრობლემები, ვიდრე 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა სეგმენტში („არ შემიშინავს“: ფოთი - 45.6%; ხობი - 30.4%). ამასთან, ორივე მუნიციპალიტეტში ორივე სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის ეკოლოგიური ცვლილებებიდან ყველაზე შესამჩნევი ინვაზიური ახალი სახეობების გაჩენა აღმოჩნდა.
- ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა დიდი ნაწილის შეფასებით, ეკოლოგიური ცვლილებები ყველზე ნეგატიურად მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, რაც გამოიხატება შემოსავლების შემცირებით (ფოთი - 55%; ხობი - 78%) და მოსავლის კლებით (ფოთი - 30%; ხობი - 77%). ამასთან, ხობის მოსახლეობა ეკოლოგიური ცვლილებების გავლენას გაცილებით მწვავედ აღიქვამს: ფოთში 26%-მა აღნიშნა, რომ ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე ცხოვრება უფრო სტრესული გახდა, მაშინ როცა ხობში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია - 8%. სქესის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ეკოლოგიური ცვლილებების ეკონომიკური შედეგები უფრო მეტად კაცებისათვისაა პრობლემური; მაგალითად, მოსავლის შემცირებაზე ქალების მხოლოდ 18%, ხოლო კაცების 44% მიუთითებს, ხოლო შემოსავლების შემცირებაზე - ქალების 44% და კაცების 69%.

- ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ქალებსა და კაცებზე თანაბრად აისახება (ფოთი - 99%; ხობი - 98%).
- კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ფოთისა და ხობის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით მართებული პოზიციები/მიმართებები გააჩნია. ორივე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ ა) „საქართველოში მცხოვრები ადამიანები უკვე გრძნობენ კლიმატის ცვლილების შედეგებს“ (ფოთი - 76%; ხობი - 70); ბ) კლიმატის ცვლილება რეალური და ობიექტური მოვლენაა (ფოთი - 74%; ხობი - 74%); გ) კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ამდლებით არის შესაძლებელი (ფოთი - 65%; ხობი - 60%). რაც შეეხება კლიმატის ცვლილების შეჩერება/შეუქცევადობის საკითხს ფოთსა და ხობში გამოკითხულთაგან ყოველი მეორე რესპონდენტი ემხრობა თეზისის იმის შესახებ, რომ კლიმატის ცვლილება შეუქცევადი პროცესია (ფოთი - 50%; ხობი - 52%), ისეთთა წილი კი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მისი შეჩერება კაცობრიობის ძალისხმევით შესაძლებელია ფოთში 38%-ს, ხობში კი 41%-ს უტოლდება.
- ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია საკუთარი საცხოვრებელი გარემოთი და ძირითადი ინფრასტრუქტურული პირობებით. კმაყოფილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სასმელი წყლის ხარისხთან (ფოთი - 90%; ხობი 86%) და უსაფრთხოების დონესთან (ფოთი - 76%; ხობი - 70%) მიმართებით. ისეთი საკითხებით კმაყოფილი რესპონდენტების წილი, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო წყლის ხარისხი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა და განათლების შესაძლებლობები - ფოთში 60-67%-ს შორის მერყეობს, ხობში კი 45-65%-ს შორის. ორივე მუნიციპალიტეტში შედარებით დაბალია შემოსავლებით კმაყოფილება (ფოთი - 27%, ხობი - 29%). საკუთარი ამჟამინდელი ცხოვრებით ფოთში კმაყოფილია რესპონდენტთა 47%, ხობში კი 46%.
- ასაკის ჭრილში მონაცემების დამუშავება აჩვენებს, რომ ფოთში, ა) როგორც ახალგაზრდების, ისე 30+ ასაკის უმრავლესობა კმაყოფილია სასოფლო-სამეურნეო წყლის ხარისხით, ბ) უსაფრთხოებით, განათლების შესაძლებლობებით და შემოსავლებით უფრო მეტად კმაყოფილნი არიან უფროსი ასაკის წარმომადგენლები, გ) დასაქმების შესაძლებლობით კმაყოფილთა წილი ასაკობრივ ჯგუფებში დიდად არ განსხვავდება (18-29 წლის - 39%; 30+ წლის - 35%), დ) ამჟამინდელი ცხოვრებით კმაყოფილება კი მაღალია ორივე ჯგუფში (18-29 წლის - 91%; 30+ წლის - 86%). ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტში ან რეგიონში დასაქმების შესაძლებლობებით კმაყოფილების შეფასებისას მნიშვნელოვანი ნაწილი (18-29 წლის - 44%, 30+ ასაკის - 45%) ნეიტრალურ პოზიციას იკავებს, ხოლო დაახლოებით თანაბარი ნაწილი კი უკმაყოფილებას გამოთქვამს: 18-29 წლის - 17%, 30+ ასაკის - 18%. ხობში, ორივე ასაკობრივ ჯგუფში დომინირებს სასმელი (18-29 წლის - 79%; 30+ წლის - 90%) და სასოფლო-სამეურნეო წყლის (18-29 წლის - 74%; 30+ წლის - 62%) ხარისხით კმაყოფილება. უსაფრთხოების დონით კმაყოფილება უფრო მაღალია 30+ ასაკის მოსახლეობაში (75%), ვიდრე ახალგაზრდებში (58%).
- ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში დევნილებთან, ხანდაზმულებთან და შშმ პირებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილება ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე თვალსაჩინო რეალობად იქცა და უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც გარემოზე, ისე ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

- ფოკუს ჯგუფების თანახმად, ფოთში ყველაზე მძაფრად განიცდიან ტემპერატურის მატებას, ტენიანობას, სანაპირო ზოლის ეროზიასა და წყლის დეფიციტს, ხოლო ხობში განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება ტყის ჭრის, მოსავლიანობის შემცირების და სარწყავი წყლის პრობლემები. შშმ პირები კლიმატურ ცვლილებებს უკავშირებენ ტენიანობისა და სიცხის მატებას, რაც აუარესებს მათ ჯანმრთელობას და ზრდის ფინანსურ ტვირთს სამედიცინო საჭიროებების გამო, ხოლო ხანდაზმულები განსაკუთრებით აღნიშნავენ სეზონურობის დაკარგვას და გარემოს ბუნებრივი ბალანსის დარღვევას.
- ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ დევნილები, შშმ პირები და ხანდაზმულები ბუნებრივი კატასტროფების დროს ძირითადად ეყრდნობიან საკუთარ გამოცდილებასა და ინტუიციას, ვიდრე ოფიციალურ ინფორმაციასა და პრევენციულ მექანიზმებს.
- თვისებრივ კვლევაში გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას არ გააჩნია კონკრეტული ცოდნა და უნარები სტიქიური მოვლენების დროს სათანადო რეაგირებისთვის. განსაკუთრებით მოწყვლადად რჩებიან შშმ პირები, რომელთათვის გადაადგილება და უსაფრთხო ადგილის პოვნა შეზღუდული შესაძლებლობის გამო რთულია. ხანდაზმულთა ნაწილი საერთოდ ვერ ასახელებს იმ სტრუქტურებს, რომელთა მიმართაც ასეთ დროს საჭიროა.

გარემოსდაცვითი განათლება და გადაწყვეტილებებში ჩართულობა

- გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ფოთსა და ხობში მოსახლეობას ნაკლებად აქვს გარემოსდაცვითი განათლების მიღების შესაძლებლობა საუნივერსიტეტო, ტექნიკურ-პროფესიული და არაფორმალური განათლების ფარგლებში. ეკოლოგიურ საკითხებზე ცოდნის მიღების შესაძლებლობა შედარებით მაღალია სკოლამდელი (ფოთი - 21%; ხობი - 26%) და სასკოლო (ფოთი - 36%; ხობი - 42.7%) განათლების საფეხურზე.
- ფოთსა და ხობში გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების თემებზე ინფორმაციის/ცოდნის მიღების მთავარ წყაროებად ტელევიზია და ინტერნეტი სახელდება. ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ა) ფოთში ახალგაზრდები უფრო მეტად ინტერნეტს (87%) იყენებენ, ვიდრე ტელევიზიას (51%), 30 წლის ან მეტი ასაკის პირებისთვის კი წამყვან საინფორმაციო საშუალებად ტელევიზია იკვეთება (69%), რასაც მოსდევს ინტერნეტი (52%); ბ) ხობში 18-29 წლის მოსახლეობისთვის თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანი წყაროებია ინტერნეტი (77%) და ტელევიზია (76%), 30 წლის ან მეტი ასაკის მოსახლეობისთვის კი აქაც ტელევიზია რჩება დომინანტურ საინფორმაციო საშუალებად (74%).
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სხვა წყაროებთან შედარებით, უფრო ინტენსიურად (ყოველდღიურად) გამოიყენება ტელევიზია და ინტერნეტი.
- დევნილებთან, შშმ პირებთან და ხანდაზმულებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებშიც აღინიშნა, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროებია ტელევიზია და სოციალური ქსელები. დასახელდა, ასევე, არაფორმალური არხები.
- ფოკუს ჯგუფების შედეგები ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობა ერთ-ერთ მთავარ ბარიერად რჩება, რაც ზღუდავს როგორც მოქალაქეთა ჩართულობას, ისე ინიციატივების განვითარებას ადგილობრივ დონეზე. ეს მასობრივმა გამოკითხვამაც დაადასტურა: ფოთსა და ხობში გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით მათი ცოდნის/ცნობიერების დონე დაბალია - ორივე მუნიციპალიტეტში 80%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ ან საერთოდ არ ფლობს, ან მხოლოდ მწირ ინფორმაციას ფლობს ისეთ თემებზე, როგორებიცაა ამოწურვადი რესურსების გამოყენება,

კლიმატის ცვლილებაზე რეაგირება, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ენერგომომარაგების პასუხისმგებელი აქტორები. ინფორმირებულობის შედარებით მაღალი დონე ფიქსირდება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ბუნების დაცვა, ჰაერის დაბინძურება, კლიმატური საფრთხეები და ნარჩენების მართვა, თუმცა ინფორმირებულთა წილია აქაც დაბალია და 18-29%-ს შორის მერყეობს. ასაკისა და სქესის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ, როგორც ფოთში, ისე ხობში მოსახლეობის უმრავლესობა - განსაკუთრებით უფროსი ასაკის და ქალთა სეგმენტი - გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების საკითხებზე ნაკლებად ინფორმირებულია.

- ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოხატავს ინტერესს გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების საკითხებზე ცოდნის გაღრმავების მიმართ - ფოთში 41%, ხობში კი 49%. ასაკის ჭრილში მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ხობის მუნიციპალიტეტში, ამ კუთხით ახალგაზრდები (64%) უფრო მოტივირებულები არიან, ვიდრე 30 წლისა და უფროს ასაკის პირები (44%).
- როგორც ფოთში, ასევე ხობში გამოკითხულთა უმრავლესობა გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ცოდნისა და ცნობიერების გაღრმავების ყველაზე ეფექტიან გზად სატელევიზიო გადაცემებს მიიჩნევს (ფოთი - 87%; ხობი - 78%). სქესის ჭრილში ტენდენცია ორივე მუნიციპალიტეტში მსგავსია: ფოთში ქალების 91% და კაცების 83%-ს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისთვის სატელევიზიო გადაცემები მიაჩნია ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად. ხობში ტელევიზია დომინანტურ წყაროდ რჩება ქალების აბსოლუტური უმრავლესობისთვის (95%), მაშინ როცა კაცებში ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია (63%).
- ფოთსა და ხობში გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება არ გააჩნია - არც სოფლის/სამეზობლოს, არც ადგილობრივ, არც ცენტრალურ თუ არასამთავრობო დონეზე. მონაწილეობის არმიღების მთავარ მიზეზად მონაწილეობის მიღების წესებსა და პროცედურებზე ინფორმაციის დეფიციტი სახელდება (ფოთი - 62%; ხობი - 60%), რასაც მოსდევს სურვილის ან ინტერესის ნაკლებობა (ფოთი - 26%; ხობი - 26%) და დროის უქონლობა (ფოთი - 22%; ხობი - 20%). ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ორივე მუნიციპალიტეტში, როგორც ახალგაზრდების, ასევე 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ჯგუფებში, მონაწილეობის არმიღების განმარტობებელი ძირითადი ფაქტორები იგივეა.

მწვანე ეკონომიკა

- ტერმინების „მწვანე ეკონომიკა“ (ფოთი - 85%; ხობი - 82%) და „მწვანე სამუშაო ადგილები“ (ფოთი - 85%; ხობი - 85%) შესახებ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ინფორმაციას არ ფლობს. ტერმინების შესახებ ინფორმირებულობის/ცოდნის შეფასება რესპონდენტთა ასაკისა და სქესის ჭრილში ანალოგიურ ტენდენციას ავლენს, როგორც ხობის, ასევე, ფოთის მუნიციპალიტეტებში.
- იგივე შედეგი გამოვლინდა ფოკუს ჯგუფების შედეგადაც. ტერმინი „მწვანე ტრანზიცია“ რესპონდენტებისთვის ახალი და უცნობი ცნება აღმოჩნდა, თუმცა მისი არსის ახსნის შემდეგ, რესპონდენტები პოზიტიურად გამოეხმაურნენ მწვანე ტრანზიციის ეკოლოგიურ და სოციალურ მიზნებს.
- მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების კუთხით ყველაზე პერსპექტიულ ეკონომიკურ სექტორებად, როგორც ხობში, ასევე ფოთში სოფლის მეურნეობის/თევზჭერის (ფოთი - 33%; ხობი - 49%) და ნარჩენების გადამამუშავების (ფოთი - 31%; ხობი - 33%) სექტორები გამოიკვეთა.

სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სექტორი პოზიციონირებს ხობში გამოკითხული ქალებისა და კაცების ჯგუფებშიც.

- ფოკუს ჯგუფების შედეგების მიხედვით, „მწვანე სამუშაოების“ კონცეფცია ადგილობრივ მოსახლეობაში აღიქმება როგორც ეკონომიკური განვითარების და ეკოლოგიური კეთილდღეობის ახალი შესაძლებლობა, თუმცა მისი განხორციელება მოითხოვს შესაბამის ინფრასტრუქტურას, ფინანსურ ხელმისაწვდომობასა და კვალიფიციური კადრების მომზადებას.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ფოთში ხედავენ პოტენციალს ინდუსტრიული სექტორის გადართვაში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე, ხოლო ტურიზმის სექტორში - ენერგოეფექტურ ინიციატივებზე; ხობში გამოკვეთეს ორგანული სოფლის მეურნეობისა და ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები.
- თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში 5%-ს არ აღემატება ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე მათი ან მათი ოჯახის წევრების დასაქმების პრაქტიკაზე მიუთითეს. ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი ანალოგიურ ტენდენციას ავლენს, თუმცა საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტად აღმოაჩნდათ ასეთი სამუშაოების შესრულების გამოცდილება, ვიდრე 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებს.
- ფოთსა და ხობში გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას არ ჰყავს თემში/სამეზობლოში/სანათესაოში ისეთი ადამიანი - არც ქალი (ფოთი 84%; ხობი 91%) და არც კაცი (ფოთი 85%; ხობი 88%) - რომელიც „მწვანე სამუშაოზე“ დასაქმებული.
- „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებაში ხელისშემშლელ წამყვან საკვანძო ფაქტორად შესაბამისი განათლების ნაკლებობა (ფოთი - 44%; ხობი - 48%) გამოიკვეთა, რასაც „მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა მოსდევს (ფოთი - 22%; ხობი - 27%). ანალოგიურად, ხობის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები და 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტები პირველი რიგის შემაფერხებელ მიზეზად შესაბამისი განათლების ნაკლებობას ასახელებენ (18-29 წლის - 52%; 30 წლის ან უფროსი ასაკის - 47%). იგივე ტენდენცია ფიქსირდება რესპონდენტთა სქესის ჭრილში; კერძოდ, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში, როგორც ქალების, ასევე კაცების სეგმენტში რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის აზრით, „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას ყველაზე მეტად შესაბამისი განათლების ნაკლებობა ართულებს;
- მწვანე სამუშაო ადგილებზე დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორები, ფოთსა და ხობში გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით, თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის (ხობი - 80%; ფოთი - 74%). იგივე განწყობა დომინირებს ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა ასაკისა და სქესის ჭრილში დამუშავებულ შედეგებშიც (ასაკის ჭრილი - ფოთი: 18-29 წლის - 84%, 30+ წლის - 80%; ხობი: 18-29 წლის - 66%; 30+ წლის - 77%; სქესის ჭრილი - ფოთი: ქალი - 75%; კაცი - 88.1%; ხობი: ქალი - 66%; კაცი - 83%);
- შშმ პირები ხაზს უსვამენ იმ აუცილებლობას, რომ ახალი სამუშაოები უნდა მოერგოს მათ შესაძლებლობებს და მოიცავდეს დისტანციურ პოზიციებს, ხოლო ხანდაზმულები მიიჩნევენ, რომ „მწვანე“ დასაქმების მთავარი მიზანი ახალგაზრდების ადგილზე შენარჩუნება უნდა იყოს.
- კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა, მომდევნო 5 წელიწადში საქართველოში „მწვანე“ სექტორში სამუშაო ადგილების გაჩენას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას პერსპექტიულად მიიჩნევს (ფოთი - 71.4%; ხობი - 67.5%).
- ფოთსა და ხობში გამოკითხულთა დიდ ნაწილს გაუჭირდა დაესახელებინა კონკრეტული სექტორი, სადაც ისურვებდნენ „მწვანე“ სამუშაოებზე დასაქმებას (“მიჭირს პასუხის გაცემა”:

ფოთი - 33%; ხობი - 30%). სასურველ ეკონომიკურ სექტორად ორივე მუნიციპალიტეტში მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა იკვეთება (ფოთი - 18%; ხობი - 27%). სქესისა და ასაკის ჭრილში მონაცემების გაანალიზება აჩვენებს, რომ კვლევის ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში, როგორც ქალებისა და კაცების, ასევე, ახალგაზრდებისა და 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ჯგუფებში დომინანტურ სექტორად სოფლის მეურნეობა და თევზჭერა რჩება.

- „მწვანე“ გრანტების ან შეღავათიანი სესხების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ფოთში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის პრიორიტეტულ საქმედ სახლის დათბუნება იდენტიფიცირდა (49%), ხობში კი - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა (41%).

კვლევის ძირითადი შედეგები


1. ოჯახის პერსონალური მონაცემები, დასაქმება

გამოკითხვის ფარგლებში სულ 390-მა პირმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა რაოდენობა სამიზნე მუნიციპალიტეტებში თანაბრადაა გადანაწილებული: ფოთი - 195 რესპონდენტი, ხობი - 195 რესპონდენტი. როგორც ფოთში (54.5%), ისე ხობში (50.6%) გამოკითხულთა უმრავლესობა ქალია, კაცების წილი საშუალოდ 47%-ს უტოლდება: ფოთი - 45.5%, ხობი - 49.4%.

რაც შეეხება რესპონდენტთა ასაკს, მონაცემთა დამუშავებისას ორი ასაკობრივი კატეგორია გამოიყო: 18-29 წლის და 30 წლის ან მეტის. ფოთსა (71.6%) და ხობში (73.8%) გამოკითხულთა უმრავლესობა 30 წლის ან მეტი ასაკის ჯგუფში ექვევა, დანარჩენი წილი კი 18-29 წლის კატეგორიაში: ფოთი - 28.4%, ხობი - 26.2%.

როგორც ფოთში (53.4%), ისე ხობში (58.3%) გამოკითხულთა უმრავლესობას საშუალო განათლების საფეხური აქვს დასრულებული, საშუალოდ მეხუთედს კი - უმაღლესი განათლების (ფოთი - 22%, ხობი - 19%) (იხ. დიაგრამა #1.1).

დიაგრამა #1.1



ამასთან, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა ბოლო კვირაში არცერთი საათით არ ყოფილა ანაზღაურებად საქმიანობაში დასაქმებული: ფოთი - 51.8%, ხობი - 54.8%. მათ დიდ უმრავლესობას არც უცდია ბოლო კვირის განმავლობაში ანაზღაურებადი სამსახურის მოძებნა: ფოთი - 89.6%, ხობი - 87%. მიზეზად, ძირითადად, სახელდება რესპონდენტის ასაკი, რომ იგი პენსიონერია (ფოთი - 33%, ხობი - 32.9%), ან ნეგატიური მოლოდინები - ფოთში გამოკითხულთა 20.4%-ს და ხობში გამოკითხულთა 13.9%-ს არ უძებნია სამსახური, რადგან მოლოდინი ჰქონდა, რომ მაინც ვერ იპოვიდა. შედარებით მაღალია იმ პირთა ოდენობაც, ვინც საოჯახო შრომაშია ჩართული და ანაზღაურებადი სამსახურის მოძიების რესურსი არ აქვს: ფოთი - 13.6%, ხობი - 21.5% (იხ. ცხრილი #1.1).

ცხრილი #1.1

ბოლო კვირის განმავლობაში დასაქმების გამოცდილება (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
დიახ	48.2	45.2
არა	51.8	54.8

ცდილობდით თუ არა ანაზღაურებადი (ფულადი ან ნატურით) სამუშაოს მოძებნას/დაწყებას ბოლო კვირის განმავლობაში? (%)	ფოთი (N=112)	ხობი (N=113)
დიახ	10.4	13.0
არა	89.6	87.0
რატომ არ გიცდიათ ბოლო კვირის განმავლობაში ანაზღაურებადი სამსახურის მოძებნა/დაწყება? (%)	ფოთი (N=104)	ხობი (N=103)
სწავლობს	10.7	12.7
საოჯახო ზრუნვის შრომაშია ჩართული	13.6	21.5
პენსიონერია	33.0	32.9
შშმ პირია	1.0	2.5
უვლის ოჯახის ასაკოვან ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრს	1.0	-
არასტაბილური სამუშაო აქვს	1.0	1.3
არ სურს მუშაობა	1.9	3.8
ავადმყოფობის გამო	1.9	1.3
არ ეძებდა, რადგან მაინც ვერ იპოვიდა	20.4	13.9
სხვა მიზეზით	11.7	7.6
უარი პასუხზე	3.9	2.5

იმ რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი კი, ვინც ბოლო კვირის განმავლობაში დასაქმებული იყო, კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში **მუშაობის** გამოცდილებაზე მიუთითებს: ფოთი - 48.6%, ხობი - 37.7%. გამოკითხულთა შორის ხშირია სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის პრაქტიკაც: ფოთი - 27.1%, ხობი - 19.5%. აქვე ხაზგასასმელია, რომ, ერთი მხრივ, ფოთში მცხოვრებთა შორის (17.8%) ინდივიდუალური საქმიანობის წარმოების პრაქტიკა ჭარბობს ხობში გამოკითხულთა მონაცემებს (5.2%), მეორე მხრივ კი, ხობის მაცხოვრებელთა 23.4% საკუთარ მიწაზე მუშაობს, პირუტყვს, ფრინველს უვლის მაშინ, როდესაც ფოთში გამოკითხულთა შორის მსგავსი გამოცდილებით მხოლოდ 0.9% ხასიათდება (იხ. ცხრილი #1.2).

ცხრილი #1.2

რა საქმიანობას ეწეოდით ბოლო კვირაში? (%)	ფოთი (N=83)	ხობი (N=82)
მუშაობდა სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში/ ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე	27.1	19.5
მუშაობდა კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე	48.6	37.7
მუშაობდა საკუთარ მიწაზე/უვლიდა პირუტყვს, ფრინველს	0.9	23.4
მუშაობდა არასასოფლო-სამეურნეო დროებით სამუშაოზე ფულადი ანაზღაურებით (მტვირთავად, ძიძად, მომვლელად და სხვ.)	1.9	1.3
ეწეოდა მიწის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს (ბარვა, თონა და სხვ.) ფულადი ანაზღაურებით	-	10.4
მუშაობდა დროებით სამუშაოზე ფულადი ანაზღაურების გარეშე ნატურით (პროდუქტებით/ნივთებით/კვებით) ანაზღაურებით	0.9	-
ეწეოდა ინდივიდუალურ საქმიანობას (ხელოსნობა, ვაჭრობა, სადალაქო მომსახურება, მგზავრების გადაყვანა, კერვა, ქსოვა და ა.შ.)	17.8	5.2
ეწეოდა კერძო პროფესიულ საქმიანობას (რეპეტიტორობას, კერძო სამედიცინო პრაქტიკას და სხვ.)	-	1.3
აგროვებდა ჯართს, ბოთლებს ან სხვა ნივთებს ჩაბარების მიზნით	2.8	-
ეწეოდა სხვა საქმიანობას	-	1.3

რაც შეეხება რესპონდენტთა ოჯახების მონაცემებს, ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში **ოჯახის წევრთა რაოდენობა** 1-8-მდე მერყეობს. ორივე სამიზნე ლოკაციაზე დომინანტურია 2-წევრიანი

ოჯახები: ფოთი - 33.8%, ხობი - 30.9%. თითქმის თანაბარია 1-წევრიანი და 3-წევრიანი ოჯახების რაოდენობა:

- 1-წევრიანი ოჯახები: ფოთი - 21.9%, ხობი - 20.4%.
- 3-წევრიანი ოჯახები: ფოთი - 19.3%, ხობი - 21.6%

აქვე, ხაზგასასმელია, რომ 7 (1.9%) და 8-წევრიანი (1.2%) ოჯახები მხოლოდ ხობში დაფიქსირდა (იხ. ცხრილი #1.3).

ცხრილი #1.3

ოჯახის წევრთა რაოდენობა (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
1 წევრი	21.9	20.4
2 წევრი	33.8	30.9
3 წევრი	19.3	21.6
4 წევრი	14.5	11.1
5 წევრი	5.7	4.3
6 წევრი	4.8	8.6
7 წევრი	-	1.9
8 წევრი	-	1.2

ოჯახის წევრთა დემოგრაფიული მონაცემების გაანალიზება გამოკვეთს, რომ ორივე სამიზნე ლოკაციაზე დასახლებულ წევრთა ძირითადი რაოდენობა **ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის შვილი**, რძალი ან სიძეა: ფოთი - 39.7%, ხობი - 36.3%. შემდგომ პოზიციებს კი თავად ოჯახის უფროსი (ფოთი - 26.5%, ხობი - 26.3%) და მისი მეუღლე (ფოთი - 16.1%, ხობი - 17.5%) იკავებს. მაღალია ასევე მრავალთაობიანი ოჯახების წილიც - შედარებით ხშირია ოჯახები, სადაც ოჯახის უფროსები/მისი მეუღლეები და შვილიშვილები ერთად ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი ხობში: ფოთი - 12.5%, ხობი - 18.1% (იხ. ცხრილი #1.4).

ცხრილი #1.4

ოჯახის წევრების ოჯახის უფროსთან მიმართება (%) ³	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
ოჯახის უფროსი	26.5	26.3
ოჯახის უფროსის მეუღლე	16.1	17.5
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის შვილი, რძალი, სიძე	39.7	36.3
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის დედა, მამა, ბებია ან ბაბუა	0.3	0.2
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის და ან ძმა	1.0	0.7
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის შვილიშვილი	12.5	18.1
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის ბიძა, დეიდა, მამიდა და მათი შვილები	0.5	-
ოჯახის უფროსის/მისი მეუღლის სხვა ნათესავი	2.8	0.9
არანათესავი	0.5	-

გამოკითხვაში მონაწილეთა ოჯახების წევრთა უმრავლესობა 30 წლის ან მეტი **ასაკის კატეგორიაში** ექცევა: ფოთი - 63.4%, ხობი - 67.7%. ამასთან, საშუალოდ მეხუთედს უტოლდება სკოლამდელი ასაკის პირთა ოდენობა: ფოთი - 21.1%, ხობი - 18.4%. 18-29 წლის ასაკის წევრთა წილი კი ფოთში (14.8%)

³ იმ ცხრილებსა და დიაგრამებზე, სადაც აღწერილია ოჯახის მახასიათებელი ცვლადები, სამიზნე მუნიციპალიტეტებზე მითითებული N (რაოდენობა) გულისხმობს ოჯახების წევრთა საერთო რაოდენობა.

უფრო მაღალია, ვიდრე ხობში (12.6%). მეორე მხრივ, სამიზნე ლოკაციებს შორის თითქმის თანაბარი და თან ყველაზე მცირეა სასკოლო ასაკის ოჯახის წევრთა რაოდენობა: ფოთი - 0.7%, ხობი - 1.3%.

გამოკითხვაში მონაწილეთა ოჯახის წევრთა უმრავლესობა **ქალია**: ფოთი - 52.8%, ხობი - 50.9%. შესაბამისად, გამოკითხვაში მონაწილე **კაცების** რაოდენობა ფოთში 47.2%-ს უტოლდება, ხოლო ხობში - 49.1%-ს.

როგორც ფოთში (44.7%), ისე ხობში (49.7%) ოჯახების წევრთა ძირითადი ნაწილი **დაქორწინებულია**. ამასთან, ფოთში მცირედით აჭარბებს დაუქორწინებულთა რაოდენობა: ფოთი - 31.7%, ხობი - 28.5%. სამიზნე ლოკაციებში თითქმის ყოველი მეათე კი არასაქორწინო ასაკისაა: ფოთი - 10.6%, ხობი - 12.1% (იხ. ცხრილი #1.5).

ცხრილი #1.5

ოჯახის წევრთა ოჯახური მდგომარეობა (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
დაქორწინებული	44.7	49.7
არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი	0.2	0.4
დაუქორწინებელი	31.7	28.5
განქორწინებული	2.6	1.5
ცალკე მცხოვრები (დაქორწინებული)	0.3	-
ქვრივი	9.9	7.7
არასაქორწინო ასაკის	10.6	12.1

ოჯახების წევრთა უმრავლესობა ეროვნებით **ქართველია**: ფოთი - 99.8%, ხობი - 99.6%, ხოლო რელიგიური აღმსარებლობით - **მართლმადიდებელი ქრისტიანი**: ფოთი - 98.7%, ხობი - 99.3% (იხ. ცხრილი #1.6).

ცხრილი #1.6

ოჯახის წევრთა რელიგიური აღმსარებლობა (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
მართლმადიდებელი	98.7	99.3
კათოლიკე	0.2	0.7
გრიგორიანელი	0.7	-
იუდეველი	0.5	-
ოჯახის წევრთა ეროვნება (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
ქართველი	99.8	99.7
აფხაზი	-	0.1
რუსი	0.2	-
აზერბაიჯანელი	-	0.1
სომეხი	-	0.1

კვლევაში მონაწილეთა ოჯახების წევრთა უმრავლესობა ორივე სამიზნე ლოკაციაზე საყოველთაო **ჯანმრთელობის დაზღვევით** სარგებლობს: ფოთი - 92%, ხობი - 92%. მცირეა მათი წილი ვინც კორპორატიულ დაზღვევას იყენებს სამსახურის მიერ სრული (ფოთი - 3.4%, ხობი - 2.4%) ან ნაწილობრივი (ფოთი - 2.1%, ხობი - 3.1%) გადახდის პირობით (იხ. ცხრილი #1.7).

ცხრილი #1.7

ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზღვევის ტიპი (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
საყოველთაო დაზღვევა	92.0	92.0
კორპორატიული დაზღვევა/სრული გადახდით სამსახურის მიერ	3.4	2.4
კორპორატიული დაზღვევა/ნაწილობრივი გადახდით სამსახურის მიერ	2.1	3.1
სხვა	0.2	0.4
არ მაქვს/აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა	2.0	0.4
მიჭირს პასუხის გაცემა	0.2	1.5
უარი პასუხზე	0.2	-

როგორც ფოთში (38.2%), ისე ხობში (46%) გამოკითხულთა ოჯახების წევრთა ძირითად ნაწილს საშუალო განათლება აქვს მიღებული; თითქმის თანაბარია საშუალო პროფესიული განათლების მქონეთა წილი: ფოთი - 16%, ხობი - 17.6%. გამოკითხულთა ოჯახის წევრთა საშუალოდ 15% სკოლის მოსწავლეა: ფოთი - 16.8%, ხობი - 13.7%. ამასთან, ფოთში, ხობთან შედარებით, ისეთი ოჯახები ჭარბობენ, რომელთა წევრებსაც უმაღლესი განათლების საფეხური აქვთ დასრულებული: ფოთი - 19.6%, ხობი - 13.4% (იხ. ცხრილი #1.8).

ცხრილი #1.8

ოჯახის წევრთა მიერ განათლების მიღწეული დონე (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
წერა-კითხვის უცოდინარი	4.7	5.3
არასრული საშუალო	1.6	0.7
სკოლის მოსწავლე	16.8	13.7
საშუალო	38.2	46.0
საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)	16.0	17.6
არასრული საშუალო (მეწყვეტილი განათლება)	0.8	-
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი	2.3	2.9
უმაღლესი	19.6	13.4
სამეცნიერო ხარისხი	-	0.4

როგორც ფოთში (60.2%), ისე ხობში (62.2%) გამოკითხულთა ოჯახების წევრთა ნახევარზე მეტს ბოლო კვირის განმავლობაში არანაირი ანაზღაურებადი საქმიანობა არ შეუსრულებია, თუნდაც ერთი საათით. მათგან დიდ უმრავლესობას არც უცდია ამ პერიოდში ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნა/დაწყება: ფოთი - 92.1%, ხობი - 92.5%. ამ გადაწყვეტილების მიზეზად კი, ძირითადად, სახელდება, რომ პირი პენსიონერია (ფოთი - 22.4%, ხობი - 22.7%) ან სწავლობს (ფოთი - 34.5%, ხობი - 28.5%). ხობის მუნიციპალიტეტში (18.1%), ფოთთან (6.2%) შედარებით, თითქმის გასამმაგებულია ოჯახის ისეთ წევრთა წილი, ვინც საოჯახო ზრუნვის შრომაშია ჩართული და, ამდენად, ანაზღაურებადი სამსახურისთვის დრო და რესურსი აღარ აქვს. ორივე სამიზნე ლოკაციაზე გამოკითხულთა ოჯახების წევრთა საშუალოდ მეათედს ნეგატიური მოლოდინების გამო არ უცდია სამსახურის მოძიება, რადგან მიაჩნდა, რომ მაინც ვერ იპოვიდა: ფოთი - 10.9%, ხობი - 9.2% (იხ. ცხრილი #1.9).

ცხრილი #1.9

ბოლო კვირის განმავლობაში ოჯახის წევრთა დასაქმების გამოცდილება (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
დაიხ	39.8	37.8

არა	60.2	62.2
ცდილობდა თუ არა ანაზღაურებადი (ფულადი ან ნატურით) სამუშაოს მოძებნას/დაწყებას ბოლო კვირის განმავლობაში? (%)	ფოთი (N=291)	ხობი (N=354)
დიახ	7.9	7.5
არა	92.1	92.5
რატომ არ უცდია ბოლო კვირის განმავლობაში ანაზღაურებადი სამსახურის მოძებნა/დაწყება? (%)	ფოთი (N=271)	ხობი (N=334)
სწავლობს	34.5	28.5
საოჯახო ზრუნვის შრომაშია ჩართული	6.2	18.1
პენსიონერია	22.4	22.7
შშმ პირია	1.8	1.2
უვლის ოჯახის ასაკოვან ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრს	0.6	1.5
არასტაბილური სამუშაო აქვს	1.2	1.2
არ სურს მუშაობა	1.5	1.2
ავადმყოფობის გამო	4.1	1.5
არ ეძებდა, რადგან მაინც ვერ იპოვიდა	10.9	9.2
სხვა მიზეზით	9.1	9.2
მიჭირს პასუხის გაცემა	0.6	0.8
უარი პასუხზე	7.1	5.0

მეორე მხრივ, იკვეთება, რომ, როგორც ფოთში (39.8%), ხობში (37.8%) გამოკითხულთა ოჯახის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო კვირის განმავლობაში **დასაქმებული** იყო, თუნდაც ერთი საათით. კერძოდ, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში ჭარბობს **კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში** მუშაობის გამოცდილება: ფოთი - 55.3%, ხობი - 36.4%. ფოთში, ასევე, უფრო მეტად გავრცელებული პრაქტიკაა სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმება: ფოთი - 24.2%, ხობი - 19.1%. მეორე მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტში გაცილებით მაღალია მათი წილი, ვინც საკუთარ მიწაზე მუშაობდა ან პირუტყვს, ფრინველს უვლიდა: ხობი - 17.9%, ფოთი - 0.8%. სამიზნე მუნიციპალიტეტების დონეზე, თანაბარია ინდივიდუალური საქმიანობის (ხელოსნობა, ვაჭრობა, მგზავრების გადაყვანა, კერვა, ქსოვა და ა.შ.) განმახორციელებელთა ოდენობა: ფოთი - 15.6%, ხობი - 15.6% (იხ. ცხრილი #1.10).

ცხრილი #1.10

რა საქმიანობას ეწეოდა ბოლო კვირაში? (%)	ფოთი (N=218)	ხობი (N=204)
მუშაობდა სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში/ ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე	24.2	19.1
მუშაობდა კერძო დაწესებულებაში/ორგანიზაციაში ხელფასზე ან გამომუშავებაზე	55.3	36.4
მუშაობდა საკუთარ მიწაზე/უვლიდა პირუტყვს, ფრინველს	0.8	17.9
მუშაობდა არასასოფლო-სამეურნეო დროებით სამუშაოზე ფულადი ანაზღაურებით (მტვირთავად, ძიძად, მომვლელად და სხვ.)	1.2	1.7
ეწეოდა მიწის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს (ბარვა, თოხნა და სხვ.) ფულადი ანაზღაურებით	-	5.2
მუშაობდა დროებით სამუშაოზე ფულადი ანაზღაურების გარეშე ნატურით (პროდუქტებით/ნივთებით/კვებით) ანაზღაურებით	0.4	1.2
ეწეოდა ინდივიდუალურ საქმიანობას (ხელოსნობა, ვაჭრობა, სადალაქო მომსახურება, მგზავრების გადაყვანა, კერვა, ქსოვა და ა.შ.)	15.6	15.6
ეწეოდა კერძო პროფესიულ საქმიანობას (რეპეტიტორობას, კერძო სამედიცინო პრაქტიკას და სხვ.)	-	0.6

რა საქმიანობას ეწეოდა ბოლო კვირაში? (%)	ფოთი (N=218)	ხობი (N=204)
ნადირობდა/თევზაობდა, აგროვებდა სოკოს, კენკროვნებს, წაბლს და ტყის ხილს ოჯახში მოხმარებისთვის/გასაყიდად	1.2	0.6
აგროვებდა ჯართს, ბოთლებს ან სხვა ნივთებს ჩაბარების მიზნით	0.8	-
ეწეოდა სხვა საქმიანობას	0.4	1.7

ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობასა და მათი ოჯახის წევრებს არ აქვთ არც **ღევნილის სტატუსი** (ფოთი - 82.4%, ხობი - 89%) და არც **შშპ პირის სტატუსი** (ფოთი - 98.4%, ხობი - 99.3%).

გამოკითხულთა ოჯახის წევრთა უმრავლესობა **გასულ აკადემიურ (2024-25) წელს რაიმე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეპეტიტორთან ან წრეზე** არ დადიოდა: ფოთი - 79.7%, ხობი - 82.3%. ძირითადად **მიზეზად** კი პირის ასაკი (პასუხის კატეგორია „სწავლის ასაკს გადაცილებულია“) (ფოთი - 57.2%, ხობი - 66.1%) ან მისი დასაქმების სტატუსი (პასუხის კატეგორია „მუშაობს“) (ფოთი - 25.3%, ხობი - 13%) სახელდება (იხ. ცხრილი #1.11).

ცხრილი #1.11

დადიოდა/დადიოდა თუ არა რაიმე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეპეტიტორთან ან წრეზე გასულ აკადემიურ (2024-25) წელს? (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
დიახ	20.2	17.2
არა	79.7	82.3
უარი პასუხზე	0.2	0.4
რატომ არ დადიოდა/დადიოდა? (%)	ფოთი (N=446)	ხობი (N=475)
საბოლოო ახლოს შესაბამისი დაწესებულება არ არის	0.3	0.2
არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა	2.4	2.7
მუშაობა	25.3	13.0
დრო არ აქვს, ვერ ასწრებს	4.5	7.4
სწავლის ასაკს გადაცილებულია	57.2	66.1
სხვა	3.0	5.5
მიჭირს პასუხის გაცემა	1.2	2.3
უარი პასუხზე	6.61	2.7

მეორე მხრივ, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა ოჯახების წევრთა საშუალოდ მეხუთედს **პოზიტიური გამოცდილება აქვს**, ანუ გასულ აკადემიურ (2024-25) წელს რაიმე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეპეტიტორთან ან წრეზე უვლია: ფოთი - 20.2%, ხობი - 17.2%. კონკრეტულად კი, ძირითადად, **საჯარო სკოლაში** (ფოთი - 75.8%, ხობი - 70.1%) ან **სახელმწიფო საბავშვო ბაღში** (ფოთი - 14.5%, ხობი - 13%) დადიოდნენ (იხ. ცხრილი #1.12).

ცხრილი #1.12

რომელ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადიოდა? (%)	ფოთი (N=62)	ხობი (N=79)
სახელმწიფო საბავშვო ბაღში	14.5	13.0
კერძო სკოლაში	1.6	6.5
საჯარო სკოლაში	75.8	70.1
უმაღლეს სასწავლებელში	8.1	9.1
კვალიფიკაციის ასამაღლებელ/გადასამზადებელ კურსებზე	-	1.3

გამოკითხვის ფარგლებში დამატებით შეფასდა, **ჰქონდათ თუ არა რესპონდენტთა ოჯახის წევრებს სურვილი, ევლოთ რომელიმე ზემოთ განხილულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუმცა ვერ ახერხებდნენ/არ დადიოდნენ.** უმრავლეს შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ასეთი დაწესებულება/წრე არ არსებობს: ფოთი - 82.2%, ხობი- 78.7%. მხოლოდ ერთეული შემთხვევები გამოვლინდა სახელოვნებო წრეზე (ფოთი - 1%, ხობი - 2.5%), კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე (ფოთი - 0.7%, ხობი - 0.7%), პროფესიულ სასწავლებელსა (ფოთი - 0.5%, ხობი - 0.6%) თუ სახელმწიფო საბავშვო ბაღში (ფოთი - 0.3%, ხობი - 1%) სიარულის სურვილის. აქვე ხაზგასასმელია, რომ ფოთსა (13.9%) და ხობში (14.5%) გამოკითხულთა თითქმის თანაბარ წილს გაუჭირდა პასუხის გაცემა ან პასუხზე უარი განაცხადა (იხ. ცხრილი #1.13).

ცხრილი #1.13

ჩამოთვლილი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, გასულ (2024-25) წელს რომელში სურდა ევლო და არ დადიოდა? (%)	ფოთი (N=509)	ხობი (N=558)
სახელმწიფო საბავშვო ბაღში	0.3	1.0
კერძო სკოლაში	-	0.4
პროფესიულ სასწავლებელში	0.5	0.6
უმადლეს სასწავლებელში	-	1.4
დღის ცენტრში	0.8	-
კვალიფიკაციის ასამაღლებელ/გადასამზადებელ კურსებზე	0.7	0.7
სახელოვნებო წრეზე	1.0	2.5
რეპეტიტორთან	0.6	-
არცერთზე	82.2	78.7
მიჭირს პასუხის გაცემა	0.6	1.5
უარი პასუხზე	13.3	13.1

დომინანტური მიზეზები იმისა, თუ რატომ არ დადიოდა გასული აკადემიური (2024-25) წლის განმავლობაში გამოკითხულთა ოჯახის რომელიმე წევრი იმ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რეპეტიტორთან ან წრეზე, რომელზეც სურდა სიარული, სამიზნე მუნიციპალიტეტების დონეზე შემდეგნაირად ნაწილდება. ფოთში მეხუთედს აჭარბებს (21.3%) მათი წილი, ვინც მუშაობს და შესაბამისად სასწავლო დაწესებულებებში არ დადიოდა, ხობში კი მაჩვენებელი 8.7%-მდეა შემცირებული. სამიზნე ლოკაციებზე თითქმის თანაბარია რესპონდენტთა ოჯახის იმ წევრთა რაოდენობა, ვისაც დრო არ აქვს და ვერ ასწრებს საგანმანათლებლო სივრცეებში სიარულს: ფოთი - 17.2%, ხობი - 16.7%. ამასთან, მეათედს აჭარბებს სწავლის ასაკს გადაცილებულთა წილი: ფოთი - 13.2%, ხობი - 16.7% (იხ. ცხრილი #1.14).

ცხრილი #1.14

რატომ არ/ვერ დადიოდა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში გასულ აკადემიურ (2024-25) წელს? (%)	ფოთი (N=88)	ხობი (N=113)
სახლთან ახლოს შესაბამისი დაწესებულება არაა	0.5	3.8
არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა	10.8	8.5
მუშაობს	21.3	8.7
დრო არ აქვს, ვერ ასწრებს	17.2	16.7
სწავლის ასაკს გადაცილებულია	13.2	16.7
სხვა	7.3	25.3
მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	3.4
უარი პასუხზე	28.6	16.8

სხვა სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებზე მსჯელობა გამოკვეთს, რომ ფოთსა (90.8%) და ხობში (93.8%) გამოკითხულ პირთა დიდი უმრავლესობის ოჯახს ბოლო 12 თვის განმავლობაში არცერთი სახის **სოციალური დახმარება** (ასაკობრივი პენსიის გარდა) არ მიუღია. სოციალური დახმარების მიღების გამოცდილების მქონეთა შორის ჭარბობს საარსებო შემწეობა (ფოთი - 50%, ხობი - 74.4%) და სოციალური პაკეტი (ფოთი - 44.4%, ხობი - 25.6%). დამატებით, ფოთში ფიქსირდება სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ფაქტი (5.6%).

ოჯახების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები დამატებით მოიცავს მათ ფინანსურ რესურსსაც. კვლევის ფარგლებში შეფასდა **ბოლო 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლის ოდენობა**. საწყის ეტაპზე გაანალიზდა სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლის საშუალო (Mean) რაოდენობა და მედიანური მნიშვნელობა.⁴ იმ ოჯახების საშუალო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რომლებიც ამა თუ იმ წყაროდან იღებენ შემოსავალს, გამოიკვეთა, რომ ძირითადი შემოსავალი ეყრდნობა ხელფასს (ფოთი - საშუალოდ 15331.83 ლარი, მედიანა - 12000 ლარი (N=93), ხობი - საშუალოდ 10772.12 ლარი, მედიანა - 10560 ლარი (N=66)), პენსიასა (ფოთი - საშუალოდ 4958.56 ლარი, მედიანა - 4550 ლარი (N=104), ხობი - საშუალოდ 5749.92 ლარი, მედიანა - 5400 ლარი (N=128)) და კერძო საქმიანობიდან/ბიზნესიდან შემოსავალს (ფოთი - საშუალოდ 6234.29 ლარი, მედიანა - 5000 (N=21), ხობი - საშუალოდ 12084.62 ლარი, მედიანა - 6500 ლარი (N=26)). ამასთან, შესაძლოა ითქვას, რომ ხობის მაცხოვრებლებისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, რადგან შინაური ცხოველების, ფრინველებისა და მათი პროდუქციის გაყიდვიდან ან თუნდაც სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამუშავების პროდუქტების გაყიდვიდან შემოსავლის მიღებაზე უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებს. კერძოდ, ხობში შინაური ცხოველებისა თუ ფრინველებისა და მათი პროდუქციის გაყიდვიდან შემოსავალს 27 რესპონდენტი იღებს, რაც საშუალოდ 2111.11 ლარს (მედიანა - 1000 ლარი) უტოლდება, ხოლო ფოთის მაჩვენებელი საშუალოდ 791.67 ლარის (მედიანა - 85 ლარი) ტოლია (N=3). აგრეთვე, თუკი ხობში გამოკითხულთაგან 32 რესპონდენტი მიუთითებს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან მათი გადამუშავების პროდუქტების გაყიდვიდან საშუალოდ 806.25 ლარი (მედიანა - 500 ლარი) შემოსავლის მიღებაზე, ფოთში მსგავსი გამოცდილება მხოლოდ 1 რესპონდენტს აქვს.

ამა თუ იმ წყაროდან კონკრეტული ოდენობის (არა ნულის ტოლი) შემოსავლის მქონე პირთა მონაცემებზე დაყრდნობით, ოჯახების ზოგად ფინანსურ მახასიათებლებზე მსჯელობა გამოკვეთს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ჯამური საშუალო შემოსავალი ფოთში უფრო მაღალია, ვიდრე ხობში: ფოთი - საშუალოდ 13483.05 ლარი, ხობი - საშუალოდ 12157.11 ლარი (იხ. ცხრილი #1.15). აქვე ხაზგასასმელია, რომ ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების დონეზე დადგენილი წლიური შემოსავლის საშუალო ოდენობა ჩამორჩება სამეგრელოს რეგიონის ჯამურ მონაცემს (საშუალოდ 17190.41 ლარი).⁵ აღნიშნული, სავარაუდოა, უკავშირდება სამეგრელოს რეგიონში შემავალ დანარჩენ 6 მუნიციპალიტეტში (აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) მცხოვრები ოჯახების წლიური შემოსავლის ოდენობას, რაც, შესაძლოა, აჭარბებდეს ფოთისა და ხობის შედეგებს.

⁴ თითოეული წყაროდან მიღებული შემოსავლის საშუალო ოდენობისა თუ მედიანის დათვლისას გათვალისწინებულია მხოლოდ იმ რესპონდენტთა მონაცემები, ვინც მიუთითა, რომ ოჯახს ამა თუ იმ კონკრეტული წყაროდან ბოლო 12 თვის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი მიუღია („0“ ლარი ამორთულია/არ არის გათვალისწინებული ანალიზში).

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *შინამეურნეობების შემოსავალი*, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>


ცალკეული წყაროდან მიღებული ოჯახის შემოსავლის დასახელებული ოდენობების კატეგორიზირებული დახასიათება წარმოდგენილია [დანართში](#).

ცხრილი #1.15

	ფოთი						ხობი					
	გამოპასუხების რაოდენობა (N)	საშუალო მონაცემი	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმალური ოდენობა	მაქსიმალური ოდენობა	გამოპასუხების რაოდენობა (N)	საშუალო მონაცემი	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმალური ოდენობა	მაქსიმალური ოდენობა
ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავალი ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან გასულ 12 თვეში (ლარი)												
ხელფასი (ყველა - როგორც საჯარო, ისე კერძო - წყაროდან)	93	15331.83	9732.314	12000	500	60000	66	10772.12	7449.333	10560	300	34800
შემოსავალი კერძო საქმიანობიდან/ბიზნესიდან	21	6234.29	5623.583	5000	100	20000	26	12084.62	12517.113	6500	100	40000
პენსია	104	4958.56	3187.829	4550	320	15000	128	5749.92	3550.535	5400	320	14000
ყველა ტიპის სოციალური დახმარება (უმწეოთა, დევნილთა, შშმ პირთა და ა.შ. დახმარებები)	31	1993.55	1986.988	1200	135	8400	31	2652.71	3380.003	1080	250	10800
შინაური ცხოველების, ფრინველებისა და მათი პროდუქციის (რძის, კვერცხის, ხორცის, ყველის, კარაქის, მატყლის და ა.შ.) გაყიდვიდან	3	791.67	1289.480	85	10	2280	27	2111.11	13355.245	1000	300	10000
სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამუშავების პროდუქტების (ღვინის, არყის, ზეთის, ფქვილის, ჩირის და ა.შ.) გაყიდვიდან	1	5000.00		5000	5000	5000	32	806.25	1088.251	500	200	6000
ქონების (ბინის, აგარაკის, მანქანის და ა.შ.) გაქირავებიდან	-	-	-	-	-	-	1	1000.00	0.000	1000	1000	1000
ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრებისგან/ ნათესავებისგან/არანათესავებისგან	4	6250.00	4500.000	7000	1000	10000	2	5500.00	776.200	5500	5000	6000
ფულადი დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრებისგან/ ნათესავებისგან/არანათესავებისგან	13	6084.62	3692.751	5000	500	12000	8	7025.00	4599.245	6500	2000	14400
ოჯახის წევრების სხვა არარეგულარული ჯამური ფულადი შემოსავალი (სეზონური, ერთჯერადი და სხვ.)	2	2900.00	141.421	2900	2800	3000	6	2100.00	1450.548	2050	500	4000
ოჯახის წლიური ფულადი შემოსავალი	146	13483.05	10204.58	11700	350	60000	130	12157.11	10122.508	10450	320	52200

შემოსავლების გაანალიზების მიღმა, შეფასდა ხარჯების პროცენტული ოდენობაც, უფრო კონკრეტულად, განისაზღვრა ოჯახის შემოსავლის რამდენი პროცენტი იხარჯება საშუალოდ თვეში ენერჯიაზე (ელექტროენერჯია, გაზი, შეშა და სხვ.). **ზამთრის/შემოდგომის სეზონზე** ორივე სამიზნე ლოკაციაზე გამოკითხულთა ოჯახების ძირითადი ნაწილი თვიურად შემოსავლის 0-5%-ს ხარჯავს ენერჯიაზე: ფოთი - 23.1%, ხობი - 31.8%. აღნიშნული პროცენტული დიაპაზონია დომინანტური **ზაფხულის/გაზაფხულის სეზონზეც**, თანაც, გაცილებით მეტი რესპონდენტი უთითებს ამ კატეგორიას, რადგან შეშის და სხვა გათბობის საშუალებების მოხმარება წელიწადის ამ დროს მკვეთრად შემცირებულია (პასუხის კატეგორია „0-5%“): ფოთი - 44.6%, ხობი - 53.1%. ამასთან, თუკი ფოთსა (15.9%) და ხობში (15.4%) გამოკითხულთა თანაბარი წილი მიუთითებს, რომ ზამთრის/შემოდგომის სეზონზე თვიურად ოჯახის შემოსავლის 11-20% იხარჯება ენერჯიაზე, ზაფხულის/გაზაფხულის სეზონზე ხარჯების შეფასებისას ამ პროცენტულ დიაპაზონში ფოთში გამოკითხულთა მხოლოდ 4.1% ექცევა, ხობში კი პასუხის ეს კატეგორია არც კი ფიქსირდება (0%) (იხ. დიაგრამა #1.2).

დიაგრამა #1.2



სამიზნე ლოკაციების დონეზე თანაბარია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა შეფასებითაც ოჯახს **კომუნალური გადასახდელების (დენი, გაზი, წყალი და ა.შ.) გადახდა** არ უჭირთ: ფოთი - 39%, ხობი - 39.8%. მეტიც, ხობის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ერთეული შემთხვევები, როდესაც კომუნალური გადასახდელები ოჯახის ბიუჯეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია და, ამდენად, გადახდა საერთოდ არ უჭირთ (1.1%). რესპონდენტთა საშუალოდ მეხუთედს კი ძალიან უჭირს აღნიშნული ხარჯის გაწევა, რადგან იძულებული ხდება თანხა კვებას ან სხვა აუცილებელ საჭიროებებს მოაკლოს და კომუნალურები ისე გადაიხადოს: ფოთი - 21%, ხობი - 20.4% (იხ. ცხრილი #1.16).

ცხრილი #1.16

ზოგადად, როგორ შეაფასებდით კომუნალური გადასახდელების (დენი, გაზი, წყალი და ა.შ.) გადახდის საკითხებს? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ძალიან გვიჭირს - იძულებული ვართ კვებას ან სხვა აუცილებელ საჭიროებებს მოვაკლოთ და კომუნალურები გადავიხადოთ	21.0	20.4
მეტ-ნაკლებად გვიჭირს - ჩვენი ოჯახის ბიუჯეტს ტვირთად აწვება, მაგრამ სხვა აუცილებელ საჭიროებებს (კვება და სხვ.) ხარჯზე არ ვიხდით	39.5	38.8

ზოგადად, როგორ შეაფასებდით კომუნალური გადასახდელების (დენი, გაზი, წყალი და ა.შ.) გადახდის საკითხებს? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
არ გვიჭირს გადახდა	39.0	39.8
საერთოდ არ გვიჭირს - კომუნალური გადასახადები ჩვენი ოჯახის ბიუჯეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია	-	1.1
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5	-

აღნიშნული საკითხის შეფასების მხრივ გამოვლენილი სხვაობები საინტერესოა ისეთი ოჯახების ღონეზე, სადაც ოჯახის უფროსი არის ა) დასაქმებული კაცი, ბ) დასაქმებული ქალი. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ისეთი ოჯახების წევრების უმრავლესობა (61.5%), სადაც ოჯახის უფროსი დასაქმებული ქალია, მიუთითებს, რომ კომუნალური გადასახდელების გადახდა მეტ-ნაკლებად უჭირთ. ოჯახის უფროსად დასაქმებული კაცის შემთხვევაში კი აღნიშნული მაჩვენებელი 36.5%-მდე მცირდება. ასეთ ოჯახებში დომინანტურია პოზიცია, რომ კომუნალური გადასახდელების გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს (58.1%, ოჯახის უფროსი დასაქმებული ქალი - 30.8%).

ხობში ოჯახის უფროსის ქრილში განხილვა დაახლოებით იდენტურ შედეგებს გამოკვეთს შემდეგ კატეგორიებში: ა) მეტ-ნაკლებად გვიჭირს: დასაქმებული კაცი - 41.8%, დასაქმებული ქალი - 37.5%, ბ) არ გვიჭირს: დასაქმებული კაცი - 49.1%, დასაქმებული ქალი - 50%. შედარებით დიდი განსვლა ჯგუფებს შორის უკიდურესად მეჭირვებულ კატეგორიაში იკვეთება - თუკი იმ რესპონდენტთა მეთაღზე მეტი (12.5%), ვისი ოჯახის უფროსიც დასაქმებული ქალია მიუთითებს, რომ კომუნალური გადასახდელების გადახდა მათთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მსგავს პოზიციას იმ პირთა მხოლოდ 7.3% იზიარებს, რომელთა ოჯახის უფროსიც დასაქმებული კაცია (იხ. ცხრილი #).

ცხრილი #1.17

ზოგადად, როგორ შეაფასებდით კომუნალური გადასახდელების (დენი, გაზი, წყალი და ა.შ.) გადახდის საკითხებს? (%)	ფოთი (N=74)		ხობი (N=67)	
	ოჯახის უფროსი დასაქმებული კაცი	ოჯახის უფროსი დასაქმებული ქალი	ოჯახის უფროსი დასაქმებული კაცი	ოჯახის უფროსი დასაქმებული ქალი
ძალიან გვიჭირს - იძულებული ვართ კვებას ან სხვა აუცილებელ საჭიროებებს მოვაკლოთ და კომუნალურები გადავიხადოთ	5.4	7.7	7.3	12.5
მეტ-ნაკლებად გვიჭირს - ჩვენი ოჯახის ბიუჯეტს ტვირთად აწვება, მაგრამ სხვა აუცილებელ საჭიროებებს (კვება და სხვ.) ხარჯზე არ ვიხდით	36.5	61.5	41.8	37.5
არ გვიჭირს გადახდა	58.1	30.8	49.1	50.0
საერთოდ არ გვიჭირს - კომუნალური გადასახადები ჩვენი ოჯახის ბიუჯეტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია	-	-	1.8	-

დამატებით იკვეთება, რომ არცერთ სამიზნე ლოკაციაზე გამოკითხულთა ოჯახი ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან ენერგორესურსების უზრუნველყოფის კუთხით არანაირ დახმარებას არ იღებს: ფოთი - 99.5%, ხობი - 97.9%. მეორე მხრივ, ელექტროენერჯის ვაუჩერით სარგებლობის ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა: ფოთი - 0.5%, ხობი - 2.1%.

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ფოკუს ჯგუფების შედეგების თანახმად, **იძულებით გადაადგილებულ პირთა** გამოცდილება ფოთსა და ხობში მსგავს სოციალურ და ეკონომიკურ ტენდენციებს აჩვენებს. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საცხოვრებლისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით, დევნილები არაერთი პრობლემის წინაშე დგანან. დასაქმების შესაძლებლობების სიმცირე, ინფრასტრუქტურის პრობლემები, გარემოს დაბინძურება, განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სახელმწიფო მხარდაჭერის არასისტემური ხასიათი ქმნის ისეთ პირობებს, სადაც დევნილები იძულებული არიან თავად გაუმკლავდნენ სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების უმეტეს ნაწილს.

ფოთში დევნილების უმრავლესობამ ყველაზე მწვავე პრობლემად უმუშევრობა დაასახელა, განსაკუთრებით - ქალებმა.

„ფოთში მთავარი დასაქმების ადგილი პორტია, სადაც ძირითადად კაცები მუშაობენ და ამიტომ ქალებისთვის უფრო მეტი სირთულეა დასაქმება. მაღალანაზღაურებადი სამსახურის ნახვაც რთულია.“ (31 წლის დევნილი ქალი. ფოთი).

ეს მოსაზრება აჩვენებს ადგილობრივი შრომითი ბაზრის სქესობრივ ასიმეტრიას და სამუშაო ადგილების ნაკლებ შესაძლებლობას ქალებისთვის, რაც მათ ეკონომიკურად უფრო მოწყვლადად აქცევს.

ფოთში მცხოვრებმა დევნილებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში ახალგაზრდებისთვის განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია. კერძოდ, ახალგაზრდებს არ აქვთ თავისუფალი დროის ხარისხიანად გატარების შესაძლებლობა. განსაკუთრებით გამოყვეს განათლების მიმართულება, რადგან სასწავლებლების სიმცირე, დასაქმების პრობლემასთან ერთად, ახალგაზრდებს აიძულებს მიგრაციას სხვა ქალაქებში, ძირითადად - თბილისში.

„ფოთში კოლეჯი გაიხსნა და ეს კარგია, მაგრამ მარტო საზღვაო კუთხითაა შესაძლებელი სწავლა, სხვა რამეც რომ დაემატოს, კარგი იქნება, რომ სხვაგან წასვლა არ მოუწიოს ახალგაზრდას.“ (24 წლის სტუდენტი .დევნილი. ფოთი).

აღნიშნული მოსაზრება მიანიშნებს განათლების დეცენტრალიზაციის საჭიროებაზე რეგიონულ დონეზე, რათა ახალგაზრდებმა პროფესიული განვითარება საკუთარი ინტერესების შესაბამისად ადგილზე შეძლონ და არ მოუწიოთ მიგრაცია. ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან გამოკვეთილია გზების დაზიანება, წყალმომარაგების სირთულეები, ურბანული განახლების საჭიროება და ეკოლოგიური გამოწვევები, რომელიც პორტის ინდუსტრიულ საქმიანობას უკავშირდება - ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ხმაური და უსიამოვნო სუნის.

„ჰაერი დაბინძურებულია, ხმაურია, თევზის სუნია საშინელი, პრობლემა ბევრია.“ (ქალი. 54 წლის დევნილი; ფოთი).

ფოთელ დევნილებში საცხოვრებლის მხრივ მდგომარეობა განსხვავებულია: ოჯახების ნაწილმა ფულადი კომპენსაციის შედეგად თავად შეიძინა საცხოვრებელი სახლი, ნაწილი დღემდე

საცხოვრებელი ბინის მიღების მოლოდინის რეჟიმშია, ზოგიერთს კი ახლახან აქვს მიღებული ბინა სახელმწიფოსგან.

ხობლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში იძულებით გადაადგილებულ პირთა მთავარ პრობლემებად დასახელდა გაზისა და კანალიზაციის სისტემის არარსებობა, გაუმართავი სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, წყლის მიწოდების შეფერხებები და გზების არასახარბიელო მდგომარეობა.

*„პრობლემა გვაქვს კანალიზაციის და ასევე გაზის – საერთოდ არ არის გაყვანილობა.“
(29 წლის ქალი. დევნილი აფხაზეთიდან. ხობი)*

ფოთის მსგავსად ხობში მცხოვრებ დევნილებში ახალგაზრდებისთვის და ბავშვებისთვის გასართობი და თავისუფალი დროის სივრცეების ნაკლებობა დამატებით გამოწვევად დასახელდა. საცხოვრებლის კუთხით ხობში არსებული მდგომარეობა ფოთელების მსგავსად არაერთგვაროვანია. დევნილების ნაწილი უკვე დაკმაყოფილდა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ბინით ან ფულადი დახმარებით, ნაწილი კვლავ ბინის მიღების მოლოდინის რეჟიმშია, ზოგიერთს კი საცხოვრებელი დანაზოგის მეშვეობით აქვს შეძენილი.

საერთო სურათი ფოთსა და ხობში აჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული სირთულეები აქვთ, ხოლო საცხოვრებლის საკითხი კვლავ ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად რჩება.

ფოთისა და ხობის შშმ პირების გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ მათი ცხოვრების ძირითადი სირთულეები მრავალმხრივია და ძირითადად ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ და ინსტიტუციურ ბარიერებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას არ აწყდებიან, შშმ პირების სისტემური მხარდაჭერა ჯანდაცვაში, განათლებაში, დასაქმებასა და ინფრასტრუქტურული კუთხით კვლავ არასაკმარისია. შშმ პირები და მათი ოჯახები ხშირად იძულებულნი არიან დამოუკიდებლად მოაგვარონ მათ წინაშე არსებული პრობლემები.

„ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული - რეაბილიტაცია, წამლები, განათლება. დანარჩენი ყველაფერი მეორე პლანზე გადადის.“ (32 წლის არასრულწლოვანი შშმ ბავშვის დედა. ხობი)

ორივე მუნიციპალიტეტში შშმ პირებისთვის დასაქმება რჩება ყველაზე რთულ საკითხად. არსებული სტრუქტურული ბარიერები გამოიხატება სამუშაო ვაკანსიათა სიმცირეში, სამუშაო გარემოს არასაკმარის ადაპტაციაში (განსაკუთრებით ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევაში), დაბალ ანაზღაურებასა და დამსაქმებლების მხრიდან შშმ პირების მიმართ არსებულ სტიგმაში. ამის გათვალისწინებით, შშმ პირებში ხშირია დროებითი დასაქმება, რაც ზრდის მათ ეკონომიკურ არასტაბილურობას.

„ჩემს სივს რომ ხედავენ, დიდი ჩამონათვალა და ალბათ თავიდან ფიქრობენ, რომ ჩვენზე მეტი იცისო. როცა ვუბნები, რომ შშმ პირი ვარ, იკავებენ თავს. გასაუბრებას ატარებენ ზერელედ და შემდეგ აღარ მირეკავენ.“ (48 წლის შშმ კაცი. ფოთი)

ხობელმა შშმ პირებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმება ყველაზე უფრო სოფლის მეურნეობაში არის შესაძლებელი, თუმცა სექტორი საერთოდ არ არის ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე.

„ხობში საოფისე დასაქმება არ არის, ფიზიკური დასაქმება კი დამოკიდებულია მეზღუდვის ტიპზე. ეტლით მოსარგებლე სოფლის მეურნეობაში ვერ დასაქმდება (33 წლის შშმ ქალი. ხობი)

ორივე მუნიციპალიტეტის შშმ პირებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოვლინდა, რომ ყველაზე მძიმე და განმეორებადი სირთულეა ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციის მაღალი ხარჯები. კერძოდ, კერძო კლინიკებში ვიზიტების მაღალი ტარიფები, კონსულტაციების, კვლევებისა და მედიკამენტების ხელმიუწვდომლობა შშმ თემისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

„წამლები და ელემენტარული ყურადღება გვჭირდება. ამბობენ ფასდაკლებათაო წამლებზე, მაგრამ განსხვავება მაქსიმუმ 1 ლარია.“ (40 წლის შშმ ქალი. ხობი).

რეაბილიტაციის სერვისები (ფიზიოთერაპია, მასაჟები, დამატებითი თერაპიები) ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება ან არასაკმარისად ფინანსდება. ამის გათვალისწინებით, მაღალი ერთჯერადი სამედიცინო ჩარევები ოჯახებს მძიმე ვალდებულებებში აგდებს.

„ჩემს გოგოს სჭირდება რეაბილიტაცია, ტალახი, მასაჟი, თერაპიები. ეს ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული და არ ფინანსდება. სომხეთში ოპერაციაზე 800 ევრო გადავიხადეთ. სახელმწიფო არ აფინანსებს ასეთ რამეებს.“ (არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი. 40 წლის ქალი. ხობი)

ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ შშმ სტატუსთან დაკავშირებული შედეგადადებისა და უფლებების სარგებლობის მხრივ შშმ პირები აწყდებიან ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს. კერძოდ, დასახელდა კანონიერი მოთხოვნების გაუთვითცნობიერებლობა უფლებამოსილი პირების მიერ, პროცედურების სირთულე და სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა.

„სასამართლოშიც კი მომიწია იმის მტკიცება, რომ შედეგათი მეკუთვნის. როცა ამდენ ბარიერს აწყდები, თავს დამცირებულად გრძნობ და ზოგჯერ უარსაც ამბობ იმაზე, რაც გეკუთვნის.“ (59 წლის შშმ ქალი. ფოთი)

შშმ პირებმა ისაუბრეს არაადაპტირებულ ფიზიკური გარემოზე. პანდუსები, შესასვლელები და შიდა კარები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. სპეციალიზებული ცენტრების, პროფესიული სასწავლებლების და ახალგაზრდებისთვის ინკლუზიური სივრცეების ნაკლებობა ამცირებს უნარების განვითარებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობებს შშმ ახალგაზრდებისთვის.

„სულ ვფიქრობ, რა იქნება მომავალში. მინდა, ჩემმა 13 წლის ქალიშვილმა რამე ისწავლოს, ხელობა შეისწავლოს, მაგრამ არ მაქვს იმედი, რომ აქ რამე იქნება.“ (შშმ ბავშვის მშობელი. 40 წლის ქალი. ხობი)

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებაში შშმ პირების მიმართ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას იშვიათად აქვს ადგილი და უფრო მეტად ნეიტრალური ან ემპათიურია. მიუხედავად ამისა, თანაგრძნობა ყოველთვის არ ვლინდება პრაქტიკულ მხარდაჭერაში. მაგალითად, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის ადაპტაცია, სერვისების ხელმისაწვდომობა, დასაქმებაში ხელშეწყობა და ა.შ.

ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ შშმ ბავშვების მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს ხშირად უწევთ მოვლის ძირითადი ფუნქციების შეთავსება, როგორებიცაა მაგალითად შშმ შვილების სკოლაში, კლინიკებში და რეაბილიტაციაზე ტარება, ტრანსპორტირების ორგანიზება, ფინანსური რესურსების მოძიება. ამდენად, ქალებს პროფესიული რეალიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ და ამის გამო მზარდია დაღლისა და ემოციური სტრესის რისკები.

2. საბინაო პირობები

ფოთში გამოკითხულთა საშუალოდ მეხუთედის შეფასებით, **ოჯახის საცხოვრისში, სააბაზანოს, საკუჭნაოს, სხვა სათავსოების გარდა, 2 (21.5%) ან 3 (19%)** ოთახია, ხოლო მუნიციპალიტეტში კი 4 (27.2%) ან 5-ოთახიანი (19.5%) საცხოვრისები ქარბობს. ამასთან, ხობში, ფოთისგან განსხვავებით, ფიქსირდება 9 (0.5%) ან 10-ოთახიანი (1%) საცხოვრისების ერთეული შემთხვევები. საშუალო მონაცემების (Mean) მიხედვით, ფოთში საშუალოდ 4-ოთახიანი საცხოვრისებია, ხოლო ხობში - 5-ოთახიანი საცხოვრისები (იხ. ცხრილი #2.1).

ცხრილი #2.1

ოჯახის საცხოვრისში ოთახების რაოდენობა (სააბაზანოს, საკუჭნაოს, სხვა სათავსოების გარდა) (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
1 ოთახი	6.7	5.1
2 ოთახი	21.5	6.7
3 ოთახი	19.0	15.1
4 ოთახი	12.8	19.5
5 ოთახი	17.4	27.2
6 ოთახი	14.9	15.6
7 ოთახი	3.6	7.1
8 ოთახი	3.1	2.1
9 ოთახი	-	0.5
10 ოთახი	-	1.0
უარი პასუხზე	1.0	-

საცხოვრებლის ფართი ფოთში 16-200 კვ.მ.-ის ფარგლებში მერყეობს, ხობში კი - 30-300 კვ.მ.-ის ფარგლებში. საშუალო მონაცემების შედარება გამოკვეთს, რომ ხობის საცხოვრებლების საშუალო ფართობი (115 კვ.მ.) აღემატება ფოთის მაჩვენებელს (95 კვ.მ.). ფოთში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (21%) 121-150 კვ.მ.-ის საცხოვრებელში ცხოვრობს, შედარებით მაღალია ასევე 71-100 კვ.მ.-ის საცხოვრისში მაცხოვრებელთა წილი (18.5%). ხობში კი ცალკეულ შემთხვევებში მეხუთედს აღემატება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა საცხოვრებელი 101-120 კვ.მ. (26.5%), 71-100 კვ.მ. (22.7%) ან 121-150 კვ.მ. (22.4%) ფართობში ექცევა. ამასთან, მხოლოდ ხობში გამოკითხულთა შორის არიან ის პირები, რომელთა ოჯახიც 201-300 კვ.მ. ფართობი ცხოვრობს (1.1%) (იხ. ცხრილი #2.2).


ცხრილი #2.2

ოჯახის საცხოვრებლის ფართობი (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
16-30 კვ.მ.	9.7	1.0
31-50 კვ.მ.	12.8	8.8
51-70 კვ.მ.	16.4	7.0
71-100 კვ.მ.	18.5	22.7
101-120 კვ.მ.	11.8	26.5
121-150 კვ.მ.	21.0	22.4
151-200 კვ.მ.	8.7	10.5
201-300 კვ.მ.	-	1.1
უარი პასუხზე	1.0	-

როგორც ფოთში (92.8%), ისე ხობში (96.9%) გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ **საცხოვრისი ერთ-ერთი წევრის მფლობელობაშია**. გაცილებით მცირეა იმ შემთხვევათა წილი, როდესაც საცხოვრისი ოჯახის მიერაა დაქირავებული (ფოთი - 2.6%) ან უფასო სარგებლობაშია (ფოთი - 4.6%, ხობი - 3.1%).

ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში საცხოვრისი, ძირითადად, **საკუთარი, კერძო სახლია**: ფოთი - 65.1%, ხობი - 95.5%. მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ ფოთში გამოკითხულთა მესამედზე მეტი (34.4%) მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობს; ხობში კი მაჩვენებელი 4%-მდეა შემცირებული (იხ. დიაგრამა #2.1).

დიაგრამა #2.1




სახლის/ბინის აშენების პერიოდი 1950-2024 წლების შუალედში მერყეობს. ხაზგასასმელია, რომ ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობას გაუჭირდა კონკრეტული წლის იდენტიფიცირება (ფოთი - 51.8%, ხობი - 42%) ან პასუხზე უარი განაცხადა (ფოთი - 12.8%, ხობი - 10.8%). მეორე მხრივ, გამოიკვეთა, რომ ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 8.2% 1971-1980 წლებში აშენებულ სახლში ცხოვრობს, რაც დომინანტური კატეგორიაა, ხოლო ხობის შემთხვევაში მაჩვენებელი 12.5%-მდე იზრდება. ამასთან, თუკი ფოთში გამოკითხულთა მხოლოდ 3.1% ცხოვრობს 1981-1990 წლებში აშენებულ საცხოვრისში, ხობში თითქმის ყოველი მეათე (9.8%) რესპონდენტი სწორედ ამ დროით შუალედს უთითებს. მეორე მხრივ, ფოთში მაცხოვრებელთა 6.7% 2011-2020 წლებში აშენებულ საცხოვრისში ცხოვრობს, ამ დროით შუალედს კი ხობში გამოკითხულთა მხოლოდ 1.5% ასახელებს. აქვე, ისიც ხაზგასასმელია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ოჯახი 3.2% 2021-2024 წელს აშენებულ სახლში ბინადრობს (იხ. ცხრილი #2.3).

ცხრილი #2.3

დაახლოებით რომელ წელს არის აშენებული თქვენი სახლი/ბინა? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
1950-1960 წლები	6.2	6.2
1961-1970 წლები	7.2	9.3
1971-1980 წლები	8.2	12.5
1981-1990 წლები	3.1	9.8
1991-2000 წლები	3.1	1.5
2001-2010 წლები	1.0	3.2
2011-2020 წლები	6.7	1.5
2021-2024 წლები	-	3.2
უარი პასუხზე	12.8	10.8
მიჭირს პასუხის გაცემა	51.8	42.0

ორივე სამიზნე ლოკაციაზე იშვიათია სახლში თბოიზოლირებული გარე კედლების, იატაკის, ჭერის ან გამავალი ფანჯრების არსებობა - ძირითადი ნაწილი ამ ინფრასტრუქტურის არარსებობაზე მიუთითებს: ფოთი - 44.1%, ხობი - 51.5%. მეორე მხრივ, შედარებით ხშირი პრაქტიკაა თბოიზოლირებული გამავალი ფანჯრების ქონა: ფოთი - 55.4%, ხობი - 47.4% (იხ. დიაგრამა #2.2).

დიაგრამა #2.2



საბინაო პირობების შესაფასებლად რესპონდენტებს წარედგინათ სხვადასხვა პრობლემური სიტუაცია, რომლებიც რელევანტურობის თვალსაზრისით უნდა შეეფასებინათ. როგორც გამოიკვეთა, უმრავლეს შემთხვევაში ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები არცერთი სამიზნე მუნიციპალიტეტის ოჯახებისთვის პრობლემური არ არის. მათ შორის განსაკუთრებით დიდია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა შეფასებითაც, მათ ოჯახს არ აქვს ისეთი ინფრასტრუქტურული პრობლემები, როგორებიცაა (პასუხის კატეგორია „არ წარმოადგენს ოჯახის პრობლემას“):

- სახურავი დაზიანებულია და წყალი ჩამოდის: ფოთი - 91.8%, ხობი - 87.2%
- იატაკი, კედლები დაზიანებულია: ფოთი - 91.8%, ხობი - 93.9%
- სახლს/ბინას აქვს გაუმართავი შიდა ელექტროქსელი: ფოთი - 93.3%, ხობი - 98%
- სახლი/ბინა ძალიან პატარაა ჩვენი ოჯახისთვის: ფოთი - 94.4%, ხობი - 90.1%

ძირითად შემთხვევებში არც ნესტი და თბოიზოლაცია წარმოადგენს პრობლემას, თუმცა რესპონდენტთა საშუალოდ მესამედი, სწორედ აღნიშნულ საკითხებს გამოკვეთს, როგორც ოჯახისთვის პრობლემურს:

- სახლი/ბინა ნესტიანია: ფოთი - 36.4%, ხობი - 41.1%
- სახლს/ბინას არ აქვს თბოიზოლაცია (ვერ აკავენს ვერც სიცხეს და ვერც სიცივეს): ფოთი - 26.7%, ხობი - 28%

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ, ინფრასტრუქტურული მოწყობის თვალსაზრისით, ძირითადად, არცერთ სამიზნე მუნიციპალიტეტს არ აქვს პრობლემა. ნესტი შეიძლება დასავლეთი საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი ზღვისპირა რეგიონებისთვის, ზოგად პრობლემად ჩაითვალოს (იხ. ცხრილი #2.4).

ცხრილი #2.4

ქვემოთ ჩამოთვლილებიდან რომელი წარმოადგენს პრობლემას ოჯახისთვის? (%)		ოჯახისთვის პრობლემურია	არ წარმოადგენს ოჯახის პრობლემას	უარი პასუხზე
სახურავი დაზიანებულია და წყალი ჩამოდის	ფოთი (N=195)	8.2	91.8	-
	ხობი (N=195)	12.8	87.2	-
იატაკი, კედლები დაზიანებულია	ფოთი (N=195)	8.2	91.8	-
	ხობი (N=195)	6.1	93.9	-
სახლი/ბინა ნესტიანია	ფოთი (N=195)	36.4	63.6	-
	ხობი (N=195)	41.1	58.9	-
სახლს/ბინას არ აქვს თბოიზოლაცია (ვერ აკავენს ვერც სიცხეს და ვერც სიცივეს)	ფოთი (N=195)	26.7	73.3	-
	ხობი (N=195)	28.0	72.0	-
სახლს/ბინას აქვს გაუმართავი შიდა ელექტროქსელი	ფოთი (N=195)	6.7	93.3	-
	ხობი (N=195)	2.0	98.0	-
სახლი/ბინა ძალიან პატარაა ჩვენი ოჯახისთვის	ფოთი (N=195)	5.6	94.4	-
	ხობი (N=195)	9.4	90.1	0.5
სხვა	ფოთი (N=195)	-	59.5	40.5
	ხობი (N=195)	-	63.1	36.9

3. სერვისების ხელმისაწვდომობა

ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით მაღალია ისეთი ოჯახების წილი, ვისაც მიეწოდება ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები:

- ცენტრალური წყალმომარაგება (სასმელი წყალი): ფოთი - 100%, ხობი - 77.9%
- ცხელი წყალი: ფოთი - 96.4%, ხობი - 80.7%
- ელექტროენერგია: ფოთი - 100%, ხობი - 100%
- გაზმომარაგება: ფოთი - 99.5%, ხობი - 67.9%
- ფიქსირებული ინტერნეტი: ფოთი - 80.5%, ხობი - 62.8%
- მობილური ინტერნეტი: ფოთი - 90.3%, ხობი - 86.5%
- ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები: ფოთი - 100%, ხობი - 95.8%

შესამჩნევია, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურები უფრო მეტად ხელმისაწვდომი ფოთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვისაა.

მეორე მხრივ, არის სერვისები, რომლებიც რესპონდენტთა უმრავლესობისთვის არაა ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით კი ხობში. უფრო კონკრეტულად, თუკი ფოთში მცხოვრებთა 65.6% კონდიციონერების (გაგრილების სისტემის) არქონაზე მიუთითებს, მსგავსი გამოცდილებით ხობის მაცხოვრებელთა ოჯახების 81.9% ხასიათდება; ამასთან, ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 53.8%-ის შეფასებით, არაა ხელმისაწვდომი ცენტრალური კანალიზაციის სისტემა, რასაც ხობში მცხოვრებთა 89.6%-იც იზიარებს. აღნიშნული შეფასებებიც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ, მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, ხობში შედარებით უარესი მდგომარეობაა (იხ. ცხრილი #3.1).

ცხრილი #3.1

ხელმისაწვდომია თუ არა თქვენი ოჯახისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები? (%)		დიახ	არა	უარი პასუხზე
ცენტრალური წყალმომარაგება (სასმელი წყალი)	ფოთი (N=195)	100.0	-	-
	ხობი (N=195)	77.9	22.1	-
ცხელი წყალი	ფოთი (N=195)	96.4	3.6	-
	ხობი (N=195)	80.7	19.3	-
ელექტროენერგია	ფოთი (N=195)	100.0	-	-
	ხობი (N=195)	100.0	-	-
გაზმომარაგება	ფოთი (N=195)	99.5	0.5	-
	ხობი (N=195)	67.9	32.1	-
კონდიციონერება (გაგრილების სისტემა)	ფოთი (N=195)	34.4	65.6	-
	ხობი (N=195)	18.1	81.9	-
ფიქსირებული ინტერნეტი	ფოთი (N=195)	80.5	19.5	-
	ხობი (N=195)	62.8	37.2	-
მობილური ინტერნეტი	ფოთი (N=195)	90.3	9.7	-
	ხობი (N=195)	86.5	13.5	-
ცენტრალური კანალიზაცია	ფოთი (N=195)	46.2	53.8	-
	ხობი (N=195)	10.4	89.6	-
ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები	ფოთი (N=195)	100.0	-	-
	ხობი (N=195)	95.8	-	4.2

იმ რესპონდენტებმა, რომელთაც ცენტრალური წყალმომარაგება აქვთ, შეაფასეს დღე-ღამეში რამდენი საათია ხელმისაწვდომი აღნიშნული სერვისი. გამოიკვეთა, რომ ფოთში წყალი უწყვეტად, 24 საათის განმავლობაში, მოდის (100%), რასაც ხობის მაცხოვრებელთა 94.6%-იც იზიარებს. მეორე მხრივ, ხობში გამოკითხულთა 5.4%-ის შეფასებით, ოჯახებს 24 საათზე ნაკლები დროით მიეწოდებათ წყალი, კონკრეტულად კი ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, სასმელი წყალი დღე-ღამეში მხოლოდ 10 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი; მეტიც, წყალი დღის განმავლობაში მოდის არეული გრაფიკით - ხან დილას, ხან საღამოს.

რაც შეეხება ნარჩენების გატანის მუნიციპალურ სერვისებს, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში ღომინანტური პრაქტიკაა ნარჩენების ყოველდღიურად გატანა: ფოთი - 55.4%, ხობი - 36.5%. იმას, რომ ფოთში უკეთ მუშაობს ნარჩენების გატანის სერვისი ისიც მოწმობს, რომ, მესამედზე მეტის (37.9%) შეფასებით, პრაქტიკა 2-3 დღეში ერთხელ ხორციელდება, რასაც ხობში გამოკითხულთა მხოლოდ 11% იზიარებს. ხობში გაცილებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი (23.7%), რომელთა დაკვირვებითაც, ნარჩენები 4-6 დღეში ერთხელ გააქვთ (ფოთი - 4.1%) (იხ. ცხრილი #3.2).

ცხრილი #3.2

რა სიხშირით მუშაობს ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები?	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ყოველ დღე	55.4	36.5
2-3 დღეში ერთხელ	37.9	11.0
4-6 დღეში ერთხელ	4.1	23.7
7 ან მეტ დღეში ერთხელ	0.5	-
არეული გრაფიკით	-	0.5
მიჭირს პასუხის გაცემა	2.1	28.2

ცალკეული სერვისის შეფასებისას ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში პოზიტიური გამოცდილებები ჭარბობს - ამა თუ იმ სერვისით მოსარგებლე პირთა უმრავლესობა სერვისების მუშაობის ხარისხს აფასებს, როგორც „კარგს“: ფოთი - საშუალოდ 91%, ხობი - საშუალოდ 85%. მეორე მხრივ, რესპონდენტთა საშუალოდ 10% ნეგატიური შეფასებებით გამოირჩევა კონდიციების სისტემის განხილვისას - ფოთში გამოკითხულთა მეთედზე მეტი (11.7%) გაგრილების სისტემას აფასებს როგორც „ცუდ“, რასაც ხობის მაცხოვრებელთა 9.5%-იც იზიარებს. ამასთან, ხობში შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი (20.7%), ვინც ნარჩენების გატანის მუნიციპალურ სერვისებს საშუალო დონეზე აფასებს (ფოთი - 9.2%). თითოეული სერვისის დეტალური შეფასება იხილეთ ცხრილში #3.3.

ცხრილი #3.3

როგორ შეაფასებდით ზემოაღნიშნული სერვისების მუშაობის ხარისხს? (%)		კარგი	საშუალო	ცუდი	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
ცენტრალური წყალმომარაგება	ფოთი (N=195)	84.6	15.4	-	-	-
	ხობი (N=153)	73.7	24.3	2.0	-	-
ელექტროენერგია	ფოთი (N=195)	99.5	0.5	-	-	-
	ხობი (N=195)	96.6	3.4	-	-	-
გაზმომარაგება	ფოთი (N=194)	95.9	4.1	-	-	-
	ხობი (N=134)	98.6	1.4	-	-	-
კონდიციონერება (გაგრილების სისტემა)	ფოთი (N=77)	84.4	3.9	11.7	-	-
	ხობი (N=52)	61.3	10.1	9.5	15.0	4.1
ფიქსირებული ინტერნეტი	ფოთი (N=157)	93.6	3.8	-	2.5	-
	ხობი (N=124)	94.4	4.9	-	0.7	-
მობილური ინტერნეტი	ფოთი (N=176)	94.3	5.1	-	0.6	-
	ხობი (N=169)	91.0	7.9	-	1.1	-
ცენტრალური კანალიზაცია	ფოთი (N=90)	87.8	11.1	1.1	-	-
	ხობი (N=36)	94.1	-	5.9	-	-
ნარჩენების გატანის მუნიციპალური სერვისები	ფოთი (N=195)	88.2	9.2	-	2.6	-
	ხობი (N=195)	72.0	20.7	1.6	5.7	-


გასულ წამთარში სახლის გათბობის პრაქტიკა გამოკვეთს, რომ ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმრავლესობა მხოლოდ ერთ ოთახს ათბობდა: ფოთი - 67.2%, ხობი - 82.6%. მეორე მხრივ, საზგასასმელია, რომ ფოთში მაცხოვრებლებს შორის უფრო გავრცელებული პრაქტიკაა მთელი სახლის (ფოთი - 16.4%, ხობი - 8.8%) ან ზოგიერთი ოთახის (ფოთი - 15.4%, ხობი - 8.1%) გათბობა. აღნიშნული შედეგი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ხობის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებლებს ნაკლებად აქვთ ხელმისაწვდომობა გათბობის სისტემებსა და სხვა საშუალებებზე (იხ. ცხრილი #3.4).

ცხრილი #3.4

რამდენად ახერხებდით გაგებოთ ბინა/სახლი გასული ზამთრის განმავლობაში? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ვათბობდით მთელ ბინას/სახლს	16.4	8.8
ვათბობდით ბინის/სახლის მხოლოდ ზოგიერთ ოთახს (მისაღები, საძინებელი და სხვ.)	15.4	8.1
ვათბობდით მხოლოდ ერთ ოთახს	67.2	82.6
ბინას/სახლს ფაქტიურად არ/ვერ ვათბობდით	0.5	0.5
უარი პასუხზე	0.5	-

ამასთან, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა უმრავლესობას 2024-2025 წლის პერიოდში 6 თვის განმავლობაში დასჭირდა ბინის/სახლის გათბობა: ფოთი - 58.4%, ხობი - 58.6%. თანაბარია იმ რესპონდენტთა წილიც, ვინც 5 თვე სარგებლობდა გათბობით: ფოთი - 32.6%, ხობი - 32.2%. მეორე მხრივ, 1 (0.5%) ან 3 თვის (0.5%) პერიოდით სახლის/ბინის გათბობის ერთეული გამოცდილება მხოლოდ ხობის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა #3.1).

დიაგრამა #3.1




რესპონდენტებმა, რომელთაც მიუთითეს, რომ ზამთარში სახლის/ბინის გარკვეულ ნაწილს ათბობდნენ, შეაფასეს რა იყო გათბობის ძირითადი მოწყობილობა/საშუალება. ფოთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დომინანტურ პოზიციაზე ბუნებრივ გაზზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობელი („კარმა“, „ნიკალა“ და ა.შ.) (77.2%) აღმოჩნდა, ხოლო ხობის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - ღუმელი (შეშის, ნახშირის, დიზელის, ნახერხის და ა.შ.) (68.2%). ორივე სამიზნე ლოკაციაზე განსაკუთრებით დაბალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა ოჯახიც გასულ ზამთარს ელექტროენერგიაზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობლით ათბობდა სახლს/ბინას: ფოთი - 3.1%, ხობი - 0.5%. ამასთან, როგორც ფოთის (87.6%), ისე ხობის (83.2%) მაცხოვრებლები, უმეტესწილად, ძირითადი მოწყობილობების გარდა, გათბობის დამატებით საშუალებას ადარ იყენებდნენ (იხ. ცხრილი #3.5).

ცხრილი #3.5

რა ტიპის გასათბობ მოწყობილობას იყენებდით გასულ ზამთარში? რა იყო გათბობის ძირითადი და დამხმარე საშუალება? (%)	გათბობის ძირითადი საშუალება		გათბობის დამატებითი საშუალება	
	ფოთი (N=193)	ხოზი (N=194)	ფოთი (N=193)	ხოზი (N=194)
ბუნებრივ გაზზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა (საცხოვრებლის დონეზე ცენტრალიზებული)	7.8	4.0	1.0	-
ბუნებრივ გაზზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობელი („კარმა“, „ნიკალა“ და ა.შ.)	77.2	26.3	5.2	1.4
ელექტროენერგიაზე მომუშავე ინდივიდუალური გამათბობელი (ელექტროგამათბობელი, რადიატორი და ა.შ.)	3.1	1.0	1.6	4.2
დუმელი (შემის, ნახშირის, დიზელის, ნახერხის და ა.შ.)	10.4	68.2	1.6	4.2
შუაცეცხლი	-	-	0.5	0.5
ბუხარი	-	0.4	-	4.8
გაზქურა	1.6	-	2.6	1.6
არცერთი			87.6	83.2

ფოთში გამოკითხულთა უმრავლესობა (51.3%) **კმაყოფილია სხვადასხვა მოწყობილობით სახლის/ბინის გათბობის** დონით. (ქულები 3 და 4).⁶ ხოზის მუნიციპალიტეტში ნეგატიური გამოცდილების რესპონდენტები ჭარბობენ - 59.6%-ის შეფასებით, გათბობის დონე არ იყო საკმარისი (ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #3.2).

დიაგრამა #3.2



ამასთან, გაანალიზდა **მთელი ბინის გათბობის შესაძლებლობის არქონის მიზეზები**. გამოიკვეთა, რომ ფოთის მუნიციპალიტეტში ძირითადი მიზეზი ფინანსური პრობლემებია - მთელი ბინის/სახლის გათბობა ოჯახს ძვირი უჯდება (72.8%). ამავე მოსაზრებას იზიარებს ხოზის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა 59.8%-იც. ხოზში გამოკითხულთა მეხუთედს აჭარბებს მათი წილი (23%), რომელთა ოჯახსაც გამათბობელი საშუალებების არასაკმარისობის პრობლემა ჰქონდა (ფოთი

⁶ შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა 4-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავდა კატეგორიას „სრულიად არასაკმარისი“, ხოლო ქულა 4 - კატეგორიას „სავსებით საკმარისი“.

- 14.8%). ამასთან, ხობში, რიგ შემთხვევებში, პრობლემურია ისიც, რომ მაცხოვრებლებს გაზი არ აქვთ (4%) (იხ. ცხრილი #3.6).

ცხრილი #3.6

რატომ ვერ ახერხებდით მთელი ბინის/სახლის გათბობას? (%)	ფოთი (N=162)	ხობი (N=177)
ფინანსურად ვერ გავწვდით/სიძვირის გამო	72.8	59.8
არ იყო ამის საჭიროება	11.1	12.7
გამათბობელი საშუალებების არასაკმარისობის გამო	14.8	23.0
გამათბობელი საშუალებების უხარისხობის/ტექნიკური გაუმართაობის გამო	1.2	0.5
გაზის არქონის გამო	-	4.0

გათბობის სისტემების მიღმა, კვლევის ფარგლებში **გაგრილების** გამოცდილებაც შეფასდა. გამოიკვეთა, რომ ფოთში გამოკითხულთა 44.6% 2025 წლის ზაფხულში მხოლოდ ერთი ოთახის გაგრილებას ახერხებდა (ხობი - 42.3%), ხოლო ხობის მუნიციპალიტეტში დომინანტური წილი (45%) ბინას/სახლს ფაქტიურად ვერ აგრილებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროება იყო (ფოთი - 33.8%). აქვე ხაზგასასმელია, რომ ფოთში (12.3%), ხობთან შედარებით (4.9%), დაახლოებით გასამმაგებელია იმ რესპონდენტთა ოდენობა, ვინც გასულ ზაფხულს მთელი სახლის/ბინის გაგრილებას ახერხებდა (იხ. ცხრილი #3.7).

ცხრილი #3.7

რამდენად ახერხებდით გაგვგრილებინათ ბინა/სახლი მიმდინარე (2025 წ.) ზაფხულის განმავლობაში? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ვაგრილებდით მთელ ბინას/სახლს	12.3	4.9
ვაგრილებდით ბინის/სახლის მხოლოდ ზოგიერთ ოთახს (მისაღები, საძინებელი და სხვ.)	6.7	3.1
ვაგრილებდით მხოლოდ ერთ ოთახს	44.6	42.3
ბინას/სახლს ფაქტიურად ვერ ვაგრილებდით, თუმცა ამის საჭიროება იყო	33.8	45.0
ბინას/სახლს არ ვაგრილებდით, რადგან ამის საჭიროება არ იყო	2.6	4.7

მთელი ბინის/სახლის ან მხოლოდ ცალკეული ოთახ(ებ)ის გაგრილების გამოცდილების მქონეთა უმრავლესობა **ვენტილატორს** იყენებდა: ფოთი - 60%, ხობი - 53.3%. ფოთის მუნიციპალიტეტში (28.4%), ხობთან (13.8%) შედარებით, ხშირია **კონდიციონერის** გამოყენების პრაქტიკა. ამასთან, ხობში მეათედს აღემატება მათი წილი (13.5%), ვინც სახლს/ბინას დარაბების გამოყენებით აგრილებდა, ფოთში კი მაჩვენებელი 3.7%-მდეა შემცირებული (იხ. ცხრილი #3.8).

ცხრილი #3.8

რა საშუალებებით ახერხებდით ბინის/სახლის გაგრილებას? (%)	ფოთი (N=190)	ხობი (N=186)
კონდიციონერით	28.4	13.8
ვენტილატორით	60.0	53.3
დარაბების გამოყენებით	3.7	13.5
სქელი ფარდების გამოყენებით	10.0	8.8
სხვა	8.4	12.7
უარი პასუხზე	-	3.3

რაც შეეხება **სახლის/ბინის გარეთ გაგრილების საშუალებებს**, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა უმრავლესობა ცივი წყლით გრილდებოდა (ფოთი - 65.6%, ხობი - 66.6%) ან თავს აფარებდა ჩრდილიან ადგილებს (ფოთი - 70.3%, ხობი - 67.7%). ძალიან მცირეა მათი წილი, ვინც, გაგრილების მიზნით, თავს აფარებდა კონდიციონერიან/გრილ შენობებს (მაღაზია, აფთიაქი, ეკლესია და სხვ.): ფოთი - 2.6%, ხობი - 2.9% (იხ. ცხრილი #3.9).

ცხრილი #3.9

რა ზომებს მიმართავდით იმისათვის, რომ სიცხისგან თავი დაგეცვით სახლის/ბინის გარეთ? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ვიყენებდი მარაოს	11.8	11.3
ვიყენებდი ცივ წყალს	65.6	66.6
თავს ვაფარებდი ჩრდილიან ადგილებს	70.3	67.7
თავს ვაფარებდი კონდიციონერიან/გრილ შენობებს (მაღაზია, აფთიაქი, ეკლესია და სხვ.)	2.6	2.9
არ ვიყენებდი არანაირ ზომას	2.6	2.1

სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავებული გამოცდილებაა **ღუმელების ფლობის** თვალსაზრისით. თუკი, ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა 63.3%-ს სტანდარტული ღუმელი (ე.წ. „ფეჩი“) აქვს, ფოთში გამოკითხულთა უმრავლესობა (71.8%) საერთოდ არ ფლობს ღუმელს. ეს შედეგები უკავშირდება გათბობის სისტემების განხილვის შედეგებსაც, სადაც გამოიკვეთა, რომ ფოთში, ძირითადად, ბუნებრივ გაზზე მომუშავე საშუალებებით თბებიან.

ფოთის მუნიციპალიტეტში ნებისმიერი ტიპის ღუმელის მქონეთა უმრავლესობა (65%) ღუმელის ფუნქციონირებისთვის გაზს იყენებს, ხოლო ხობის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი უმრავლესობა (83%) შეშის მომხმარებელია.

ამასთან, ხობში ღუმელის გამოყენების ძირითადი მიზეზი გათბობაა (94.9%), ფოთში კი ღუმელს უფრო ხშირად საკვების მოსამზადებლად (83.3%) იყენებენ, ვიდრე - გასათბობად (55%) (იხ. ცხრილი #3.10).

ცხრილი #3.10

რა ტიპის ღუმელს/ღუმელებს ფლობთ? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
სტანდარტული ღუმელი (ე.წ. ფეჩი)	19.0	63.3
ე.წ. „სვანური ღუმელი“	1.0	1.0
თანამედროვე ენერგოეფექტური ღუმელი	8.2	3.7
არ ვფლობ ღუმელს	71.8	32.1
რა ტიპის საწვავს/ნედლეულს იყენებთ თქვენი ღუმელისთვის? (%)	ფოთი (N=60)	ხობი (N=132)
შეშა	35.0	83.0
გაზი	65.0	20.8
თხილის ნაჭუჭი	1.7	5.4
რა დანიშნულებით/მიზნით იყენებს თქვენი ოჯახის ღუმელს? (%)	ფოთი (N=60)	ხობი (N=132)
გათბობის მიზნით	55.0	94.9
საკვების მომზადების მიზნით	83.3	77.0
წყლის ან სხვა სითხეების გაცხელების მიზნით	1.7	38.8
საყოფაცხოვრებო ნივთების გამრობის მიზნით	-	19.9

სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს არც მზის წყალგამაცხელებელი (ფოთი - 97.9%, ხობი - 98.9%) და არც ელექტროენერჯის მისაღებად საჭირო მზის პანელები (ფოთი - 100%, ხობი - 100%).

რაც შეეხება ბინის/სახლის განათებას, როგორც ფოთის (73.3%), ისე ხობის (69.1%) მაცხოვრებელთა უმრავლესობა დიოდურ ნათურებს (LED) იყენებს, შემდგომ პოზიციას კი ვარვარის ნათურები იკავებს: ფოთი - 47.2%, ხობი - 55.5%. მუნიციპალიტეტებს შორის თითქმის თანაბარია მათი წილი, ვინც ფლუროსცენტრული კომპაქტური ნათურით სარგებლობს: ფოთი - 17.9%, ხობი - 18.4% (იხ. ცხრილი #3.11).


ცხრილი #3.11

რა ტიპის ნათურებს იყენებთ ბინის/სახლის განათებისათვის? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ვარვარის ნათურა	47.2	55.5
ფლუროსცენტრული კომპაქტური ნათურა	17.9	18.4
დიოდური ნათურა - LED	73.3	69.1
ჰალოგენის ნათურა - Halogen	8.7	1.6
მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	0.9

ხობის მუნიციპალიტეტში (41.1%), ფოთთან (39%) შედარებით, უფრო მაღალია მუშა მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანის მფლობელ ოჯახთა წილი. ორივე სამიზნე ლოკაციაზე ღომინანტური 1 ავტომანქანის ფლობა: ფოთი - 88%, ხობი - 89.5%. ფოთში მაცხოვრებელთა 12%-ს 2 მანქანა ჰყავს, მსგავსი გამოცდილებით კი ხობში მაცხოვრებელთა 7.8% ხასიათდება. ხაზგასასმელია ისიც, რომ ხობის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 2.6%-ს 3 მანქანა აქვს. ფოთში ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება ოჯახის თვიურ დანახარჯებს საწვავზე, ფოთში გამოკითხულთა 19%-ს გაუჭირდა კონკრეტული თანხის დასახელება ან უარი განაცხადა პასუხზე; ხობის მუნიციპალიტეტში კი ამ კატეგორიის მაჩვენებელი 22%-ს უტოლდება. მათ შორის, ვინც კონკრეტული თანხა მიუთითა, გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, 151-200 ლარის ხარჯი აქვთ: ფოთი - 35.9%, ხობი - 30.2%. ამასთან, ორივე სამიზნე ლოკაციაზე შედარებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა ოჯახის ყოველთვიური დანახარჯი საწვავზე 251-300 ლარის ფარგლებში მერყეობს: ფოთი - 20.5%, ხობი - 22% (იხ. დიაგრამა #3.3).

დიაგრამა #3.3



დამატებით, კვლევის ფარგლებში შეფასდა ოჯახის საშუალო თვიური დანახარჯები ტრანსპორტზე/გადაადგილებაზე, თუმცა, მასში არ იგულისხმებოდა საწვავის ხარჯი საკუთარი


კერძო მანქანისთვის. ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 33.3%-ს გაუჭირდა კონკრეტული თანხის დასახლება ან პასუხზე უარი განაცხადა, ხოლო კი აღნიშნული მაჩვენებელი 34.6%-ს გაუტოლდა. დასახელებულ პასუხებს შორის გამოიკვეთა, რომ თუკი ფოთის მაცხოვრებელთა მეხუთედის (20%) ოჯახს ტრანსპორტზე თვის განმავლობაში 21-30 ლარის დანახარჯი აქვს, ხოლო შემთხვევაში ხარჯი, ძირითადად, 11-20 ლარის (17.8%) ან 41-50 ლარის (17.9%) შუალედში მერყეობს. მუნიციპალიტეტებს შორის განსხვავება ყველაზე კარგად ჩანს უკიდურეს შემთხვევებში: თუკი ხობში გამოკითხულთა 15.7% მიუთითებს, რომ მის ოჯახს თვიურად ტრანსპორტზე/გადაადგილებაზე დანახარჯი არ აქვს (0 ლარი), ამ პოზიციას ფოთის მაცხოვრებელთა მხოლოდ 4.6% იზიარებს. მეორე მხრივ, ფოთში (12.3%), ხობთან შედარებით (6.4%), დაახლოებით 2-ჯერ მეტია მათი წილი, ვისი ოჯახის გადაადგილების თვიური ხარჯიც 81-100 ლარს უტოლდება (იხ. ცხრილი #3.12).

ცხრილი #3.12

რამდენს შეადგენს საშუალოდ თვეში ოჯახის დანახარჯები ტრანსპორტზე/გადაადგილებაზე? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
0 ლარი	4.6	15.7
1-10 ლარი	6.9	6.2
11-20 ლარი	18.5	17.8
21-30 ლარი	20.0	13.8
31-40 ლარი	6.2	7.1
41-50 ლარი	14.6	17.9
51-60 ლარი	6.2	6.2
61-70 ლარი	1.5	0.8
71-80 ლარი	3.8	1.6
81-100 ლარი	12.3	6.4
100 ლარზე მეტი	5.4	6.4

ორივე სამიზნე ლოკაციაზე გამოკითხულთა უმრავლესობის მითითებით, მათი ოჯახის წევრებს აუცილებელი საჭიროებებისთვის (მაგალითად, სკოლაში, ბაღში, სამსახურში სასიარულოდ, სამედიცინო დახმარების მისაღებად და ა.შ.) ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემები თითქმის არ ექმნებათ: ფოთი - 83.6%, ხობი - 65.6%. მეორე მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტში შედარებით დიდია მათი წილი, ვინც პრობლემების იშვიათად, თვეში ერთხელ მაინც, წარმოქმნაზე მიუთითებს: ხობი - 14.7%, ფოთი - 8.7% (იხ. დიაგრამა #3.4).

დიაგრამა #3.4



ფოთში განსაკუთრებით მაღალია იმ შინამეურნეობების წილი (97.9%), რომელთათვისაც **სასმელი წყლის მთავარი წყარო** კომლის საცხოვრებელში გაყვანილი მილსადენიდან გამომავალი წყალია.

ხობშიც აღნიშნული რესურსია დომინანტური (60.7%), თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ყოველი მეხუთე (20.1%) ოჯახი სასმელად ჭის წყალზე მიერთებულ მილიდან გამომავალ წყალს იყენებს. მსგავსი პრაქტიკა კი ფოთში მხოლოდ 1%-ს ახასიათებს. ხობის მუნიციპალიტეტში ასევე ხშირია დაცული წით სარგებლობა (17.9%), ფოთში კი ასეთი მხოლოდ 1 შემთხვევა (0.5%) დაფიქსირდა (იხ. ცხრილი #3.13).

ცხრილი #3.13

რა არის თქვენი შინამეურნეობისთვის სასმელი წყლის მთავარი წყარო? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
წყალი მილსადენიდან (მილსადენი გაყვანილია კომლის საცხოვრებელში)	97.9	60.7
წყალი მილსადენიდან (მილსადენი გაყვანილია ეზოში/ნაკვეთზე)	1.0	5.8
წყალი მილსადენიდან (საზოგადო მოხმარების მილსადენზე მიერთებული ონკანი)	1.0	10.5
ჭის წყალზე მიერთებული მილი	1.0	20.1
დაცული ჭა	0.5	17.9
დაუცველი ჭა	0.5	1.6
ცისტერნა	-	0.5

კვლევის ფარგლებში დამატებით შეფასდა თუ, ძირითადად, ვინ არის ოჯახში პასუხისმგებელი სხვადასხვა საქმიანობის (სასმელი/არასასმელი წყლის შეგროვება, შეშის ან სხვა საწვავის შეგროვება, კომუნალური გადასახადების მართვა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა, საკვები პროდუქტების შეძენა, საჭმლის მომზადება) წარმართვაზე. მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ქვემოთ წარმოდგენილი საქმიანობები გაანალიზებულ იქნა ასაკისა და სქესის ჭრილში, რათა დადგენილიყო, ძირითადად, რა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები იღებენ ამა თუ იმ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ კი, გაანალიზებულიყო ამა თუ იმ ოჯახურ საქმიანობას ოჯახის ქალი წევრები უფრო ხშირად ასრულებენ, თუ კაცები.

გამოვლინდა, რომ ასაკობრივი ჯგუფების დონეზე აქტივობებს შორის განსხვავებები, ძირითადად არ იკვეთება - თითოეულ განხილულ საქმიანობას, როგორც წესი, 30 წლის ან მეტი ასაკის პირები ასრულებენ; სქესის მხრივ კი, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსხვავებული გამოცდილებები დაფიქსირდა.

კონკრეტულად, **სასმელი წყლის შეგროვებაზე** უმეტესწილად პასუხისმგებელი არიან ა) 30 წლის ან მეტი ასაკის პირები (ფოთი - 48.2%, ხობი - 45.1%), ბ) კაცები (ფოთი - 26.8%, ხობი - 22.8%). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ შედარებით მაღალია მათი წილი, რომელთა ოჯახშიც სპეციფიკურად არავის ევალდება ამ საქმიანობის შესრულება - ოჯახის ზრდასრული წევრები აგროვებენ სასმელ წყალს (ფოთი - 23.7%, ხობი - 34.6%).

არასასმელი წყლის შეგროვებაც, ძირითადად, ოჯახის 30 წლის ან მეტი ასაკის პირებს ევალდებათ: ფოთი - 46.7%, ხობი - 43.2%. ამ შემთხვევაშიც ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში კაცების ჩართულობის წილი (ფოთი - 26.8%, ხობი - 22.2%) შედარებით მაღალია ვიდრე ქალების (ფოთი - 20.6%, ხობი - 21%).

შეშის ან სხვა საწვავის/ნედლეულის შეგროვებაც, ძირითადად, 30 წლის ან მეტი ასაკის პირებს ევალდებათ და ამასთან, მაჩვენებელი ხობში შედარებით მაღალია, ვიდრე ფოთში: ფოთი - 32.3%, ხობი - 59.3%. სქესის ჭილში განხილვა ცხადყოფს, რომ აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებლები, ძირითადად, კაცები არიან: ფოთი - 21.4%, ხობი - 44.4%. ფოთის მუნიციპალიტეტში, მაცხოვრებელთა სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შედარებით მაღალია, მათი წილი, ვისაც შეშის ან სხვა საწვავის შეგროვება საერთოდ არ ეხება: ფოთი - 32.3%, ხობი - 13.6%.

მართალია, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მესამედზე მეტი მიუთითებს, რომ **კომუნალური გადასახდელების მართვა** სპეციფიკურად არავის ევალუა (ფოთი - 36.6%, ხობი - 31.3%), თუმცა, ასაკობრივ ჭრილში სხვაობა თვალსაჩინოა - უმრავლესობა, ვინც კომუნალურ გადასახდელებს იხდის 30 წლის ან მეტი ასაკისაა: ფოთი - 62.6%, ხობი - 66.3%. სქესის ჭრილში კი ამ საქმიანობის განმარტვებულ პირებს შორის ქალები ჭარბობენ: ფოთი - 32.9%, ხობი - 40.5%.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე პასუხისმგებლობასაც, უმრავლეს შემთხვევაში, 30 წლის ან მეტი ასაკის პირები იღებენ: ფოთი - 54.2%, ხობი - 53.7%. სქესის ჭრილში გაანალიზება კი მუნიციპალიტეტების დონეზე განსხვავებულ პრაქტიკებს გამოკვეთს - თუკი, ფოთში გამოკითხულთა 28.2%-ის შეფასებით, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე პასუხისმგებლები ოჯახის ქალი წევრები არიან, ხობში დომინანტურია პოზიცია, რომ ამ საქმიანობას ოჯახის კაცი წევრები ასრულებენ (29.6%).

რაც შეეხება **საკვები პროდუქტების შეძენისა** (ფოთი - 66.2%, ხობი - 60.5%) და **საჭმლის მომზადების** (ფოთი - 86.8%, ხობი - 92%) პრაქტიკებს, როგორც სხვა აქტივობებს, ამათაც, ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში, ძირითადად, ოჯახის 30 წლის ან მეტი ასაკის წევრები ასრულებენ. სქესის ჭრილშიც ცალსახად დომინანტურია ოჯახის ქალი წევრების წილი - საკვები პროდუქტების შეძენა: ფოთი - 46.5%, ხობი - 43.2%, საჭმლის მომზადება: ფოთი - 73.2%, ხობი - 81.5%.

შეიძლება ითქვას, რომ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც მეტად ასოცირდება ფიზიკურ გარჯასთან, ოჯახის კაცი წევრები უფრო ხშირად ასრულებენ, ვიდრე ქალები; ხოლო ე.წ. დიასახლის საქმიანობები, კვლავ ქალებისთვის დამახასიათებლად რჩება (იხ. ცხრილი #3.14).

ცხრილი #3.14

ვინ არის თქვენს ოჯახში ძირითადად პასუხისმგებელი შემდეგი საქმიანობების წარმართვაზე? (%)		სქესის მიხედვით		ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით		სპეციფიკურად არავინ / ოჯახის ზრდასრული წევრები	არ ეხება	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
		ქალი	კაცი	18-29 წლის	30 წლის ან მეტის				
სასმელი წყლის შეგროვება/ უზრუნველყოფა	ფოთი (N=195)	21.9	26.8	0.4	48.2	23.7	27.2	0.4	-
	ხობი (N=195)	22.2	22.8	-	45.1	34.6	20.4	-	-
არასასმელი წყლის შეგროვება/ უზრუნველყოფა	ფოთი (N=195)	20.6	26.8	0.4	46.7	22.5	29.5	0.4	0.4
	ხობი (N=195)	21.0	22.2	-	43.2	27.8	28.4	0.6	-
შემის ან სხვა საწვავის/ნედლეულის შეგროვება	ფოთი (N=195)	11.4	21.4	0.4	32.3	14.8	32.3	14.4	5.7
	ხობი (N=195)	14.8	44.4	-	59.3	23.5	13.6	3.7	-
კომუნალური გადასახდელების მართვა/გადახდა	ფოთი (N=195)	32.9	30.7	0.9	62.6	36.6	-	-	-
	ხობი (N=195)	40.5	27.0	1.2	66.3	31.3	1.2	-	-
საყოფაცხოვრებო ტექნიკის (გაზი, მაცივარი, სარეცხი მანქანა და სხვ.) შეძენა	ფოთი (N=195)	26.4	28.2	0.4	54.2	34.8	10.1	0.4	-
	ხობი (N=195)	29.6	24.7	0.6	53.7	37.7	8.0	-	-
საკვები პროდუქტების შეძენა	ფოთი (N=195)	46.5	20.2	0.4	66.2	33.3	-	-	-
	ხობი (N=195)	43.2	17.9	0.6	60.5	38.9	-	-	-

ვინ არის თქვენს ოჯახში ძირითადად პასუხისმგებელი შემდეგი საქმიანობების წარმართვაზე? (%)	სქესის მიხედვით		ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით		სპეციფიკურად არავინ / ოჯახის ურდასრული წევრები	არ ეხება	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე	
	ქალი	კაცი	18-29 წლის	30 წლის ან მეტის					
საჭმლის მომზადება	ფოთი (N=195)	73.2	14.0	0.4	86.8	12.8	-	-	-
	ხობი (N=195)	81.5	11.1	0.6	92.0	7.4	-	-	-

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში საინტერესო იყო იმის გაგება, თუ, ძირითადად, ენერჯის რომელ წყაროებს მოიხმარენ ხანდაზმულები. ფოთისა და ხობის ხანდაზმულები ენერგომოხმარების საკითხებს პირდაპირ უკავშირებენ თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. გაზისა და დენის მაღალი ტარიფები ქმნის საჭიროებას რესურსების დაზოგვის, რაც ზოგჯერ ცხოვრების წესის შეცვლასაც იწვევს. მაგალითად, ადრე დაძინება, ოთახების ზონალური გათბობა, გათბობის დროის შემცირება. ამავდროულად, ხანდაზმულთა ნაწილისთვის ენერგორესურსების დაფარვა დამოკიდებულია შვილების ფინანსურ მხარდაჭერაზე.

ორივე მუნიციპალიტეტში ენერჯის ძირითადი წყაროებია ბუნებრივი აირი და ელექტროენერჯია, ხოლო ხობში, სადაც გაზომომარაგება ყველა სოფელს არ ფარავს, მოსახლეობის ნაწილი კვლავ შემას იყენებს გათბობისა და საჭმლის მომზადების მიზნით.

„გაზი არ არის ჩვენს სოფელში, შემის ღუმელი მაქვს და შემას ვხმარობ, საჭმელსაც ვაშალებთ და სახლსაც ვათბობთ.“ (64 წლის კაცი. ხობი).

იმის მიუხედავად, რომ ხანდაზმულ მოსახლეობას ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა უმეტესად უზრუნველყოფილი აქვს, ენერჯის სიძვირე და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები (გაზის ქსელის არქონა ზოგ სოფლებში, ასევე, საცხოვრებელ სახლებში ცენტრალური გათბობის სისტემის არ ქონა) აჩენს ეკონომიკური მოწყვლადობის ნიშნებს. ამის გათვალისწინებით, ზამთარში ხანდაზმულები ცდილობენ თბილი პირობების შენარჩუნებას, თუმცა, ხშირად იძულებული არიან გამოიყენონ მხოლოდ ერთი ოთახი ან ენერგორესურსები მოიხმარონ შემცირებული მოცულობით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა ცივ საძინებლებში ძილის ჩვევის არსებობა, უმეტესობა მაინც ცდილობს საცხოვრებელი პირობების ოპტიმალურ ტემპერატურაზე შენარჩუნებას, განსაკუთრებით ბავშვების ყოლის ან ჯანმრთელობის პრობლემების ქონის გამო.

„სადაც ვიმყოფებით, მარტო იმ ოთახში ვთბებით. როცა გათბება, ვუკლებ და მერე ისევ ვრთავ, რომ არ გავცივდე და წამლებზე მეტი არ დავხარჯო.“ (72 წლის ქალი. ფოთი)

ხანდაზმულთა აზრით, ცივ გარემოში ყოფნამ შესაძლოა გამოიწვიოს ბრონქიტი, ფილტვების ანთება ან გულსისხლძარღვთა პრობლემები, ამიტომ გათბობა აღიქმება როგორც აუცილებელი, თუმცა ფინანსურად არასაკმარისად ხელმისაწვდომი. ხობში მცხოვრებთა ნაწილი უფრო მოქნილ მიდგომას ირჩევს, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის ტიპის დასახლებებია, ზოგი იყენებს

შემის ღუმელს, ზოგი კი გაზის გამათბობელს, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია რესურსებზე და ოჯახურ პირობებზე. რესურსების დაზოგვა გავლენას ახდენს ცხოვრების წესის ცვლილებაზე.

„ზამთარში მეტია გაზის მოხმარება, მაგრამ რომ არ გაგვითიშონ, ეკონომიურად მოვიხმარ. ადრე ვწვებით, დილით გვიან ვდგებით, რომ გაზი და დენი დავზოგოთ.“(60 წლის კაცი, ფოთი)

ზაფხულში სიცხესთან გამკლავება დამოკიდებულია ოჯახის ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ზაფხულის პერიოდში ფოთის ხანდაზმულები ძირითადად იყენებენ კონდიციონერებს ან ვენტილატორებს. რესპონდენტების ნაწილი ცდილობს ელექტროენერჯის ეკონომიურ მოხმარებას და კონდიციონერების მხოლოდ მაღალი ტემპერატურის დროს გამოყენებას. რესპონდენტების მიერ სიცხე აღიქმება როგორც საერთო დისკომფორტი, თუმცა ზოგიერთისთვის (განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა ან წნევის მქონე პაციენტებისთვის) სერიოზულ ჯანმრთელობის რისკსაც წარმოადგენს.

„ცხელა, ჰაერი არ მყოფნის, წნევა მუშაობს, ვრთავ კონდიციონერს, თორემ სული მეხუთება.“(72 წლის ქალი, ფოთი)

ხობის შემთხვევაში მდგომარეობა უფრო განსხვავებულია. ყველა ოჯახს არ აქვს კონდიციონერი, რის გამოც სიცხისგან თავდაცვის ძირითადი სტრატეგიებია ჩრდილში ყოფნა, სითხის ხშირი მიღება და გარეთ მუშაობის თავიდან არიდება.

რესპონდენტების შეფასებით, საზოგადოებრივი ობიექტები, მათ შორის სკოლები და ადმინისტრაციული შენობები, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ გაგრილების სათანადო პირობებს, რაც განსაკუთრებით აზიანებს ხანდაზმული თანამშრომლების ჯანმრთელობას.

4. ინდივიდუალური ქცევები და განწყობები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი, როგორც ფოთის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტში, უმეტესად, ეკოლოგიური ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პოზიტიური ქცევითი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი:

ა) ბუნებრივი რესურსების (ელექტრო ენერჯია, ბუნებრივი აირი და ა.შ.) დაზოგვის მიზნით „ხშირად+ თითქმის ყოველთვის“ აქრობს სინათლეს ოთახში ოთახიდან გასვლისას (ფოთი - 85.7%; ხობი - 90.4%), ცივ ამინდებში იცვამს თბილ ტანსაცმელს ნაცვლად გამათბობლის ჩართვისას (ფოთი - 50.6%; ხობი - 53.8%), ტექნიკის ყიდვისას ითვალისწინებს და უპირატესობას ანიჭებს ენერჯის დამზოგავი მოწყობილობების შეძენას (ფოთი - 41.1%, ხობი - 41.9%); აქვე, აღსანიშნავია, რომ ზამთარში საძიებელ ოთახებს თითქმის არასდროს ან იშვიათად ათბობს ფოთში გამოკითხულთა 45.5%, ხობში კი 56.4%.

ბ) საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და გამონაბოლქვით გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით „ხშირად+ თითქმის ყოველთვის“ თან ატარებს საკუთარ ჩანთას, როდესაც მიდის პროდუქტების საყიდლად (ფოთი - 47.9%; ხობი - 45.1%), როდესაც შესაძლებელია მანქანის/ტაქსის ნაცვლად იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს (ფოთი - 44.9%, ხობი - 57.6%), ახლო დისტანციაზე გადაადგილება ქვეითად ან ველოსიპედით (ფოთი - 36.6%; ხობი - 45.2%), ახალი ნივთების ყიდვასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს დაზიანებული ნივთების შეკეთებას (ფოთი -

53.1%, ხობი - 60.2%). ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობა ურნების სიმცირის გამო „თითქმის არასდროს+იშვიათად“ ყრის ნაგავს/ნარჩენებს ქუჩებში/გარემოში (ფოთი - 60.4%, ხობი - 61.6%).

გ) გარდა ქცევითი პრაქტიკებისა, კვლევა აჩვენებს, რომ ფოთისა და ხობის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკოლოგიური კეთილდღეობის/გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეცნობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ (ფოთი - 40.6%, ხობი - 43.3%) და ასევე, გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე ესაუბრება/ინფორმაციას უზიარებს მეგობრებს/ახლობლებს (ფოთი - 45.3%, ხობი - 50.2%).

აღსანიშნავია, რომ დადებით ტენდენციებთან ერთად გამოიკვეთა ნეგატიური ქცევითი პრაქტიკები და დამოკიდებულებებიც, რაც სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით არც თუ ისე იშვიათია. მაგალითად, ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავსი ტიპის ნარჩენებს მათი თავიდან მოშორების მიზნით „ხშირად+თითქმის ყოველთვის“ წვავს ფოთის მოსახლეობის მესამედზე მეტი (36%), ხობში კი 42.4%. ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში დაბალია ისეთთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ავტომობილის შექენისას/გამოყენებისას მათთვის „ხშირად+თითქმის ყოველთვის“ მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების რისკების შემცირების კუთხით (ფოთი - 23.4%, ხობი - 25.4%). აქვე, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ისეთ ქმედებებს, რომლებიც ბუნებრივი რესურსების დაზოგვას უწყობს ხელს (მაგ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ელექტროენერჯის მოხმარების შემცირება), „ხშირად+თითქმის ყოველთვის“ უფრო მეტად საკუთარი ბიუჯეტის დაზოგვის საბაბით ახორციელებს, ვიდრე გარემოზე ზრუნვის მიზნით (ფოთი - 57.7%; ხობი - 53.2%) (იხ. ცხრილი #4.1).

ცხრილი #4.1

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჯნოს 3/6	უარი პასუხზე	არ ეხება
ვთიშავ სინათლეს ოთახში, როდესაც გავდივარ ოთახიდან	ფოთი (N=195)	0.9	2.4	10.6	25.7	60	0.3	-	-
	ხობი (N=195)	0.4	3.5	5.7	28.2	62.2	-	-	-
ვიცვამ მეტად თბილ ტანსაცმელს, როდესაც ცივა, გამათბობლის ჩართვის ან სახლის სათანადოდ გათბობის მაგივრად	ფოთი (N=195)	8.9	18.3	22.2	28.3	22.4	-	-	-
	ხობი (N=195)	7.8	11.6	26.6	27.8	26	0.3		
ზამთარში საძინებელ ოთახს (ოთახებს) ვათბობ	ფოთი (N=195)	26.4	19.1	17.8	18.2	16.5	2.1	-	-
	ხობი (N=195)	35.3	21.1	19.3	15.3	8	1	-	-
ძაბვის ხშირი ცვალეუბადობის გამო, მიფუჭდება საყოფაცხოვრებო ტექნიკა	ფოთი (N=195)	36.3	21.5	19.2	13.9	8.6	0.6	-	-
	ხობი (N=195)	38.8	26.7	15.9	9.5	6.2	2.9	-	-

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს პ/გ	უარი პასუხზე	არ ეხება
ისეთ ქმედებებს, რომელიც ზოგავს ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ან ელექტროენერჯის დაზოგვა), ვასრულებ იმიტომ, რომ დავზოგო საკუთარი ბიუჯეტი და ამ დროს ნაკლებად ვფიქრობ გარემოზე	ფოთი (N=195)	5.5	8.9	26.9	25.6	32.1	1	-	-
	ხობი (N=195)	6.8	9.2	29.2	21	32.3	1.6	-	-
მიმაქვს ჩემი საკუთარი ჩანთა, როდესაც პროლუქტების საყიდლად მივდივარ	ფოთი (N=195)	23.8	20.1	30.4	17.5	7.9	0.3	-	-
	ხობი (N=195)	24.2	17.9	26.3	18.8	12	0.8	-	-
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის/ტაქსის ნაცვლად, როდესაც შესაძლებელია	ფოთი (N=195)	8	15.4	30.2	24	21	1.4	-	-
	ხობი (N=195)	9.4	10.5	20.8	40.2	17.4	1.7	-	-
ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავსი ტიპის ნარჩენს ვწვავ მათი თავიდან მოშორების მიზნით	ფოთი (N=195)	25.1	10.3	19.5	17.6	18.4	1.4	2.4	5.3
	ხობი (N=195)	11.1	12.6	25.9	21.4	21	8		
ფეხით ან ველოსიპედით მივდივარ დანიშნულების ადგილამდე, რომელიც არის ახლო დისტანციაზე	ფოთი (N=195)	8.6	14	37.3	22.2	14.4	1.8	1	0.7
	ხობი (N=195)	4.3	20.7	29.3	26.7	18.5	0.6	-	-
ურნების სიმცირის გამო, იძულებული ვარ ნარჩენები დავყარო ქუჩაში/გარემოში	ფოთი (N=195)	47	13.4	21.7	12.1	4.6	0.9	-	0.3
	ხობი (N=195)	38	23.6	15.8	14.8	7.7	-	-	-
მირჩევნია შევაკეთო დაზიანებული ნივთები, ვიდრე ვიყიდო ახალი	ფოთი (N=195)	4.8	13.8	26.8	21.6	31.5	1.5	-	-
	ხობი (N=195)	5.6	10	21.6	19.8	40.4	2.6	-	-
ვკითხულობ ინფორმაციას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ	ფოთი (N=195)	13.6	27.1	38	14.8	4.9	1.7	-	-
	ხობი (N=195)	18.6	24.7	27.7	18.3	10.1	0.6	-	-
ვესაუბრები ჩემს მეგობრებს/ახლობლებს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე	ფოთი (N=195)	13.3	32	29.9	15.8	7.5	1.4	-	-
	ხობი (N=195)	17.7	32.4	21.9	14.2	12.8	0.9	-	-
ავტომობილის შეძენისას/გამოყენებისას ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების კუთხით.	ფოთი (N=195)	8.8	20	29.7	16.7	6.7	2.2	9.6	6.4
	ხობი (N=195)	2.9	20.6	34.9	13.8	11.6	5	4.8	6.4
ტექნიკის ყიდვისას ვითვალისწინებ და უპირატესობას ვანიჭებ ენერჯის დამზოგავი მოწყობილობების შეძენას	ფოთი (N=195)	5.2	16.1	35.6	26.1	14.9	0.9	1.3	-
	ხობი (N=195)	0.8	19.4	35.9	26.7	15.2	1.9	-	-

ასაკის ქრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ **ფოთში** 30 წლის ან უფროსი ასაკის (31.4%) მოსახლეობაში ახალგაზრდებთან (43.8%) შედარებით უფრო დაბალია ისეთთა წილი, რომლებიც ზამთარში საძინებელ ოთახს „თითქმის ყოველთვის+ხშირად“ ათბობენ. ამასთან, კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებსა და 30+ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ჯგუფებში თანაბარია/თითქმის თანაბარია ისეთი დადებითი პრაქტიკის გამზიარებული რესპონდენტების წილი, რომლებიც „ხშირად+თითქმის ყოველთვის“ ა) იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს მანქანის/ტაქსის ნაცვლად (18-29 წლის - 41.3%; 30+ წლის - 46.2%), ბ) ავტომობილის შექენისას/გამოყენებისას მნიშვნელობას ანიჭებენ მის გამართულობას ჰაერის დაბინძურების კუთხით (18-29 წლის - 23.8%; 30+ წლის 23.8%) და გ) „თითქმის არასდროს+იშვიათად“ წვავენ ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავს ნარჩენებს მათი თავიდან მოშორების მიზნით (18-29 წლის - 31.7%; 30+ წლის 36.9%). საგულისხმოა, რომ 30+ წლის ადამიანებს შორის უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც „თითქმის არასდროს+იშვიათად“ საუბრობენ გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე/საკითხებზე მეგობრებთან/ახლობლებთან (18-29 წლის - 28.6%; 30+ წლის 52.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$). დამატებით, საერთო შერჩევაში ასაკის ქრილის სტატისტიკური სანდოობიდან გამომდინარე, შეიძლება განხილულ იქნას შედეგი, რომ ახალგაზრდებში (18-29 წლის) შედარებით მაღალია მათი წილი, ვინც ხშირად ან თითქმის ყოველთვის ფეხით/ველოსიპედით მიდის მოკლე დისტანციაზე დანიშნულების ადგილას: 18-29 წლის - 46.8%, 30+ წლის - 32.7%. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში იკვეთება, რომ 30+ წლის რესპონდენტებს უფრო მეტად ახასიათებთ გარემოსდაცვითი აქტივობები, ანუ უფრო დიდია იმ გამოკითხულთა წილი, ვინც აღნიშნავს, რომ „ხშირად+თითქმის ყოველთვის“ ა) ურჩევნია შუაკეთოს დაზიანებული ნივთები, ვიდრე ახალი იყიდოს (18-29 წლის - 49.2%, 30+ წლის - 55.1%) და ბ) ტექნიკის ყიდვისას ითვალისწინებს და უპირატესობას ანიჭებს ენერჯის დამზოგავ მოწყობილობებს (18-29 წლის - 32.8%, 30+ წლის - 44%). აქვე, მართალია, ფოთში გამოკითხული ორივე სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა უმრავლესობა თითქმის არასდროს ან იშვიათად ყრის ნარჩენებს ქუჩაში/გარემოში, ურნების სიმცირის გამო, თუმცა აღსანიშნავია, რომ 30+ წლის რესპონდენტებში მაჩვენებელი უფრო მაღალია: 18-29 წლის - 51.6%, 30+ წლის - 63.8% (მონაცემები სანდოა მთელი შერჩევისთვის ასაკობრივ ქრილში) (იხ. ცხრილი #4.2).

ცხრილი #4.2

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ფოთი; ასაკის ქრილში) (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს პ/მ	უარი პასუხზე	არ ეხება
ზამთარში საძინებელ ოთახს (ოთახებს) ვათბობ ($\chi^2=11.558$)	18-29 წლის (N=35)	31.3	17.2	7.8	18.8	25	-	-	-
	30+ წლის (N=160)	24.5	19.5	21.4	18.2	13.2	3.1	-	-
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის/ტაქსის ნაცვლად, როდესაც შესაძლებელია ($\chi^2=27.368$)	18-29 წლის (N=35)	9.5	3.2	41.3	31.7	9.5	4.8	-	-
	30+ წლის (N=160)	7.6	20.3	25.9	20.9	25.3	-	-	-

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ფოთი; ასაკის ჭრილში) (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზომჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიწის 3/6	უარი პასუხზე	არ ეხება
ჩამოცვნილ ფოთლებს და მსგავსი ტიპის ნარჩენს ვწვავ მათი თავიდან მოშორების მიზნით ($\chi^2=22.901$)	18-29 წლის (N=35)	31.7	-	31.7	15.9	14.3	3.2	-	3.2
	30+ წლის (N=160)	22.5	14.4	15	18.1	20	0.6	3.1	6.3
ვესაუბრები ჩემს მეგობრებს/ახლობლებს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე ($\chi^2=22.165$)	18-29 წლის (N=35)	9.5	19	50.8	11.1	6.3	3.2	-	-
	30+ წლის (N=160)	15.2	37.3	21.5	17.7	7.6	0.6	-	-
ავტომობილის შეძენისას/გამოყენებისას ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების კუთხით ($\chi^2=15.201$)	18-29 წლის (N=35)	11.1	11.1	44.4	19	4.8	-	11.1	3.2
	30+ წლის (N=160)	8.1	23.1	23.8	16.3	7.5	3.1	8.1	7.5
ფეხით ან ველოსიპედით მივდივარ დანიშნულების ადგილამდე, რომელიც არის ახლო დისტანციაზე	18-29 წლის (N=35)	11.3	11.3	27.4	29.0	17.7	-	3.2	-
	30+ წლის (N=160)	7.5	15.1	40.9	19.5	13.2	2.5	-	1.3
ურნების სიმცირის გამო, იძულებული ვარ ნარჩენები დავყარო ქუჩაში/გარემოში	18-29 წლის (N=35)	37.5	14.1	28.1	18.8	1.6	-	-	-
	30+ წლის (N=160)	50.6	13.1	19.4	9.4	5.6	1.3	-	0.6
მირჩევნია შევაკეთო დაზიანებული ნივთები, ვიდრე ვიყიდო ახალი	18-29 წლის (N=35)	9.5	9.5	31.7	23.8	25.4	-	-	-
	30+ წლის (N=160)	2.5	15.2	25.3	20.9	34.2	1.9	-	-
ტექნიკის ყიდვისას ვითვალისწინებ და უპირატესობას ვანიჭებ ენერჯის დამზოგავი მოწყობილობების შეძენას	18-29 წლის (N=35)	9.4	17.2	35.9	21.9	10.9	-	4.7	-
	30+ წლის (N=160)	3.8	15.7	35.2	27.7	16.4	1.3	-	-

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, **ხობის** მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის განწყობებისა და დამოკიდებულებების დიფერენცირება ცხადყოფს, რომ გარემოს და ჰაერის დაბინძურების შემცირებისკენ მიმართული ისეთი ქმედებები და განწყობები, როგორებიცაა „თითქმის ყოველთვის+ხშირად“ ა) მანქანის ან ტაქსის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება (18-29 წლის - 75%; 30+ წლის - 52%), ბ) მოკლე დისტანციებზე ველოსიპედით ან ქვეითად გადაადგილება (18-29 წლის - 55.8%; 30+ წლის - 41.5%), გ) მეგობრებთან/ახლობლებთან გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი (18-29 წლის - 39.5%, 30+ წლის - 22%), დ) ტექნიკის ყიდვისას ენერჯის დამზოგავი მოწყობილობებისთვის უპირატესობის მინიჭება (18-29 წლის - 44.2%, 30+ წლის

- 41.1%) უფრო მეტად ახალგაზრდებს ახასიათებთ, ვიდრე 30+ ასაკის ადამიანებს ((ა) და (ბ) დებულებების განხილვისას აღწერილი მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მუნიციპალიტეტის დონეზე ასაკობრივი ჭრილისთვის: $p < 0.05$, ხოლო (გ) და (დ) დებულებების შეფასების შედეგები ეფუძნება საერთო შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას). მეორე მხრივ, არის აქტივობები, სადაც 30+ წლის ადამიანები უფრო ხშირად გვევლინებიან გარემოზე მზრუნველებად. მაგალითად, იკვთება, რომ 18-29 წლის პირებში უფრო ხშირია ჩამოცვენილი ფოთლების და მსგავსი ტიპის ნარჩენების დაწვის პრაქტიკა, მათი თავიდან მოშორების მიზნით, რაც გარემოსდაცვითი მიმართულებით გამართლებული ქმედება არ არის: 18-29 წლის - 44.2%, 30+ წლის - 41.6%. ამასთან, 18-29 წლის ასაკის რესპონდენტების 29.5% მიუთითებს, რომ ურნების სიმცირის გამო, იძულებული ხდება ნარჩენი ქუჩაში/გარემოში დაყაროს. მსგავსი ქმედებებით კი 30+ წლის გამოკითხულთა მხოლოდ 20.2% ხასიათდება. გარემოზე მზრუნველობის გამოხატულებაა ისიც, რომ 30+ წლის რესპონდენტთა მეოთხედზე მეტისთვის (28.5%) ავტომობილის შეძენისას მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების კუთხით (წარმოდგენილი დებულებების სტატისტიკური სანდოობა ეფუძნება საერთო შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სანდოობას) (იხ. ცხრილი #4.3).

ცხრილი #4.3

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ხობი; ასაკის ჭრილში) (%)	თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს 3/6	უარი პასუხზე	არ ეხება
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის/ტაქსის ნაცვლად, როდესაც შესაძლებელია ($\chi^2=20.982$)	18-29 წლის (N=25)	6.8	9.1	9.1	68.2	6.8	-	-
	30+ წლის (N=170)	10.4	10.4	24.8	30.4	21.6	2.4	-
ფეხით ან ველოსიპედით მივდივარ დანიშნულების ადგილამდე, რომელიც არის ახლო დისტანციაზე ($\chi^2=16.586$)	18-29 წლის (N=25)	-	2.3	41.9	32.6	23.3	-	-
	30+ წლის (N=170)	5.7	26.8	25.2	24.4	17.1	0.8	-
ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავსი ტიპის ნარჩენს ვწვავ მათი თავიდან მოშორების მიზნით	18-29 წლის (N=25)	7.0	9.3	32.6	34.9	9.3	7.0	-
	30+ წლის (N=170)	12.8	13.6	24.0	16.8	24.8	8.0	-
ურნების სიმცირის გამო, იძულებული ვარ ნარჩენები დაყარო ქუჩაში/გარემოში	18-29 წლის (N=25)	25.0	22.7	22.7	22.7	6.8	-	-
	30+ წლის (N=170)	42.7	24.2	12.9	12.1	8.1	-	-
მირჩევნია შევაკეთო დაზიანებული ნივთები, ვიდრე ვიყიდო ახალი	18-29 წლის (N=25)	9.3	9.3	20.9	23.3	37.2	-	-
	30+ წლის (N=170)	4.0	10.5	21.8	18.5	41.9	3.2	-
ვესაუბრები ჩემს მეგობრებს/ახლობლებს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე	18-29 წლის (N=25)	11.6	30.2	18.6	18.6	20.9	-	-
	30+ წლის (N=170)	20.3	33.3	23.6	12.2	9.8	0.8	-

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ზობი; ასაკის ჭრილში) (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს პ/გ	უარი პასუხზე	არ ეხება
ავტომობილის შეძენისას/გამოყენებისას ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების კუთხით	18-29 წლის (N=25)	2.3	18.6	46.5	4.7	14.0	7.0	7.0	-
	30+ წლის (N=170)	3.3	21.1	30.9	17.1	11.4	4.1	4.1	8.1
ტექნიკის ყიდვისას ვითვალისწინებ და უპირატესობას ვანიჭებ ენერჯის დამზოგავი მოწყობილობების შეძენას	18-29 წლის (N=25)	2.3	18.6	34.9	27.9	16.3	-	-	-
	30+ წლის (N=170)	0.8	19.4	36.3	26.6	14.5	2.4	-	-

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

ფოთში გამოკითხულთა სქესის ჭრილში საკითხის ანალიზის მიხედვით, ბუნებრივი რესურსების დაზოგვისა და გარემოს დაბინძურების შემცირებისკენ მიმართული ქმედებების განხორციელების ტენდენციები შემდეგნაირია: „თითქმის ყოველთვის+ხშირად“ - ა) ცივ ამინდში გამათბობლის ჩართვის ნაცვლად თბილი ტანსაცმლის ჩაცმა უფრო მეტად კაცებს (62.4%) ახასიათებთ, ვიდრე ქალებს (41.3%). ბ) მანქანის/ტაქსის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უფრო მეტად ქალთა ჯგუფშია (47.1%) გავრცელებული, ვიდრე მამაკაცების სემენტში (42.6%). გ) ჰაერის დაბინძურების კუთხით ავტომობილის გამართულობა კაცებისთვის (31.7%) უფრო მეტად არის მნიშვნელოვანი, ვიდრე ქალებისთვის (16.7%). ბოლო ორ დებულებასთან მიმართებით მსგავსი შედეგები შესაძლოა უკავშირდებოდეს მანქანის ფლობის განსხვავებულ გამოცდილებას სქესის ჭრილში. სავარაუდოა, რომ რეგიონებში ქალებს უფრო იშვიათად აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ მანქანა და საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. ასევე, შესაძლოა მანქანა ოჯახის კაცი უფროსის მფლობელობაში იყოს და შესაბამისად, ძირითადად, თავად მოიხმარდეს და არა ოჯახის ქალი წევრი.

აღსანიშნავია, რომ იმ ქალების წილი, რომლებიც „თითქმის არასდროს+იშვიათად“ წვავენ ჩამოცვენილ ფოთლებს და მსგავს ნარჩენებს თავიდან მოშორების მიზნით დაახლოებით 12%-ული ერთეულით აღემატება ანალოგიური გამოცდილების მქონე კაცების პროცენტულ რაოდენობას. უმნიშვნელო სხვაობა ვლინდება იმ ქალებისა (62%) და კაცების (58.4) პროცენტულ მაჩვენებლებს შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ურნების სიმცირის გამო „თითქმის არასდროს+იშვიათად“ ყრიან ნარჩენებს ქუჩაში.

ზემოთქმულთან ერთად, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქალების 61.7% და კაცების 53.5% ისეთ ქმედებებს, რომელიც ზოგავს ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ან ელექტროენერჯის დაზოგვა), ასრულებს იმიტომ, რომ დაზოგოს საკუთარი ბიუჯეტი და ამ დროს ნაკლებად ფიქრობენ გარემოზე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა; $p < 0.05$) (იხ. ცხრილი #4.4).

ცხრილი #4.4

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ფოთი, სქესის წრილი) (%)		თითქმის არასდროს	იმვითად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს პ/მ	უარი პასუხზე	არ ეხება
ვიცვამ მეტად თბილ ტანსაცმელს, როდესაც ცივა, გამათბობლის ჩართვის ან სახლის სათანადოდ გათბობის მაგივრად ($\chi^2=20.739$)	ქალი (N=123)	6.6	19	33.1	24	17.4	-	-	-
	კაცი (N=72)	10.9	17.8	8.9	33.7	28.7	-	-	-
ისეთ ქმედებებს, რომელიც ზოგავს ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ან ელექტროენერჯის დაზოგვა), ვასრულებ იმიტომ, რომ დავზოგო საკუთარი ბიუჯეტი და ამ დროს ნაკლებად ვფიქრობ გარემოზე ($\chi^2=16.326$)	ქალი (N=123)	7.5	9.2	20.8	20	41.7	0.8	-	-
	კაცი (N=72)	3	8.9	33.7	32.7	20.8	1	-	-
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის/ტაქსის ნაცვლად, როდესაც შესაძლებელია ($\chi^2=24.604$)	ქალი (N=123)	11.6	8.3	33.1	30.6	16.5	-	-	-
	კაცი (N=72)	4	23.8	26.7	15.8	26.7	3	-	-
ჩამოცვნილ ფოთლებს და მსგავსი ტიპის ნარჩენს ვწვავ მათი თავიდან მოშორების მიზნით ($\chi^2=18.969$)	ქალი (N=123)	33.6	7.6	20.2	12.6	16.8	2.5	3.4	3.4
	კაცი (N=72)	15.7	13.7	18.6	23.5	19.6	-	1	7.8
ურნების სიმცირის გამო, იძულებული ვარ ნარჩენები დავყარო ქუჩაში/გარემოში ($\chi^2=13.116$)	ქალი (N=123)	52.9	9.1	24	7.4	4.1	1.7	-	0.8
	კაცი (N=72)	40.6	17.8	18.8	17.8	5	-	-	-
ავტომობილის შეძენისას/გამოყენებისას ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი გამართულობა ჰაერის დაბინძურების კუთხით ($\chi^2=18.148$)	ქალი (N=123)	6.7	20	35	9.2	7.5	0.8	11.7	9.2
	კაცი (N=72)	11.9	19.8	22.8	25.7	5.9	4	6.9	3

ხობში ქალებისა და კაცების ქვევით თავისებურებებში შესამჩნევი სხვაობები იკვეთება. კერძოდ, როდესაც კაცების 39.3% აცხადებს, რომ ისეთ ქმედებებს, რომელიც ზოგავს ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ან ელექტროენერჯის დაზოგვა) „თითქმის ყოველთვის+ხშირად“ საკუთარი ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით ახორციელებენ და ნაკლებად ფიქრობენ გარემოზე, ქალების ჯგუფში ანალოგიური პოზიციის მქონეთა წილი 66.7%-ს უტოლდება. თუმცა, ეკოლოგიისთვის სასიკეთო ცალკეული ქვევითი პრაქტიკები უფრო მეტად ქალებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე კაცებისთვის. მაგალითად, „თითქმის ყოველთვის+ხშირად“ ა) მანქანის/ტაქსის ნაცვლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების პრაქტიკას ქალები (69.4%) უფრო მეტად მიმართავენ, ვიდრე კაცები (45.8%), ბ) ახლის ყიდვის ნაცვლად დაზიანებული ნივთების

შეკეთებას ქალები (73%) უფრო მეტად ემხრობიან, ვიდრე კაცები (45.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა; $p < 0.05$) (იხ. ცხრილი #4.5).

ცხრილი #4.5

თუ შეგიძლიათ დაასახელოთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ პირადად თქვენ თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას? (ხობი, სქესის ჭრილი) (%)		თითქმის არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად	თითქმის ყოველთვის	მიჭირს 3/8	უარი პასუხზე	არ ეხება
ძაბვის ხშირი ცვალებადობის გამო, მიფუჭდება საყოფაცხოვრებო ტექნიკა ($\chi^2=11.311$)	ქალი (N=114)	46.4	23.8	11.9	6	7.1	4.8	-	-
	კაცი (N=81)	31	29.8	20.2	13.1	6	-	-	-
ისეთ ქმედებებს, რომელიც ზოგავს ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ან ელექტროენერჯის დაზოგვა), ვასრულებ იმიტომ, რომ დავზოგო საკუთარი ბიუჯეტი და ამ დროს ნაკლებად ვფიქრობ გარემოზე ($\chi^2=20.947$)	ქალი (N=114)	9.5	7.1	16.7	29.8	36.9	-	-	-
	კაცი (N=81)	4.8	11.9	41.7	11.9	27.4	2.4	-	-
ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის/ტაქსის ნაცვლად, როდესაც შესაძლებელია ($\chi^2=14.635$)	ქალი (N=114)	9.4	9.4	9.4	48.2	21.2	2.4	-	-
	კაცი (N=81)	9.6	12	31.3	32.5	13.3	1.2	-	-
მირჩევნია შევაკეთო დაზიანებული ნივთები, ვიდრე ვიყიდო ახალი ($\chi^2=14.270$)	ქალი (N=114)	4.7	9.4	11.8	27.1	45.9	-	-	-
	კაცი (N=81)	7.1	10.7	31	13.1	34.5	-	-	-

გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებმა დაასახელეს, თუ რა სიხშირით იყენებენ მობილობისთვის/გადაადგილებისთვის ამა თუ იმ საშუალებას (მაგ. კრძო მანქანა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ველოსიპედი, ფეხით გადაადგილება).

კვლევის შედეგების მიხედვით **ფოთის მუნიციპალიტეტში** რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 23% დღეში ერთხელ მაინც იყენებს კრძო მანქანას, როგორც მძღოლი ან მგზავრი, რასაც რამდენადმე ჩამოუვარდება შედარებით დაბალი ინტენსივობით გამოყენების პრაქტიკის მქონე რესპონდენტთა წილი. რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (18.6%) იყენებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ, მცირედით ნაკლები - 17.9% კი კვირაში 5-ჯერ ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველდღე. ფოთში გამოკითხულთა 31.8% არასდროს გადაადგილდება ველოსიპედით. იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც საშუალოდ 20 წუთის სავალზე ფეხით გადაადგილდებიან ყველაზე მაღალია მათი წილი, რომლებიც ამ მეთოდს ექვს თვეში რამდენიმეჯერ მიმართავენ (17.5%), რასაც მცირედით ჩამორჩება ისეთთა წილი, რომლებიც კვირაში 3-4-ჯერ (16.3%) და კვირაში 5 ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველდღე (15.6%) მოძრაობენ ქვეითად.

რაც შეეხება **ხობის მუნიციპალიტეტში** გამოკითხულთა მობილობის საშუალებებს, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კერძო მანქანის გამოყენებას დღეში ერთხელ მაინც 15.5% მიმართავს, 13.6% კი თვეში რამდენჯერმე. 12.8%-მა აღნიშნა, რომ არასდროს არ იყენებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტით გამოკითხულთა 23.6% გადაადგილება კვირაში 3 ან 4-ჯერ, 15.6% კი თვეში რამდენჯერმე. რაც შეეხება ველოსიპედით გადაადგილების პრაქტიკას, ფოთის მუნიციპალიტეტის მსგავსად, ხობში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი არასდროს იყენებს მობილობის ამ საშუალებას (29.4%). მხოლოდ 14%-მა აღნიშნა, რომ დღეში ერთხელ მაინც მოძრაობს ველოსიპედით. ქვეითად გადაადგილების გამოცდილების მქონე რესპონდენტთა შორის ჭარბობს მათი წილი, რომლებიც კვირაში 5 ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველდღე გადაადგილებიან ფეხით (18.9%), რასაც მოსდევს მათი წილი, რომლებიც კვირაში 3 ან 4-ჯერ (16.9%) გადაადგილებიან ქვეითად (იხ. ცხრილი #4.6).

ცხრილი #4.6

გთხოვთ, დაასახელოთ, რამდენად ხშირად იყენებთ თითოეულს მობილობისათვის/გადაადგილებისთვის? (%)	კერძო მანქანას - როგორც მძღოლი, ან მგზავრი	საზოგადოებრივი ტრანსპორტს	ველოსიპედს	ფეხით გადაადგილებას, საშუალოდ 20 წუთის სავალზე?
ფოთი (N=195)				
დღეში ერთხელ მაინც	23	11.2	6.8	14.7
კვირაში 5 ან მეტჯერ, მაგრამ არა ყოველდღე	8.3	17.9	8.3	15.6
კვირაში 3 ან 4-ჯერ	10	11.8	6.3	16.3
ერთხელ ან ორჯერ კვირაში	12.1	18.6	5.4	14.2
თვეში რამდენიმეჯერ	5.6	11.7	4.6	7.4
სამ თვეში რამდენიმეჯერ	5.5	4.4	4	4.2
ექვს თვეში რამდენიმეჯერ	9.1	10.4	11.7	17.5
წელიწადში რამდენიმეჯერ	12.2	8.5	7.2	6
არასოდეს	9.1	4.1	31.8	2.7
მიჭირს პასუხის გაცემა	5.1	1.4	9.1	1.4
უარი პასუხზე	-	-	6,8	-
ხობი (N=195)				
დღეში ერთხელ მაინც	15.5	5.5	14	13.5
რესპონდენტების დაკვირვებით, ხშირია ექსტრემალური ტემპერატურები, რომლებიც ერთბაშად იცვლება სიცხიდან ქარიან და წვიმიან ამინდად. ბოლო წლებში ქალაქში გაუსაძლისი სიცხეები ფიქსირდება, რაც ცხოვრების ხარისხზე და სამუშაო პირობებზე ნეგატიურად აისახება. ქალაქის ტენიანი ჰავა კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას, ხოლო ხშირი და ინტენსიური წვიმები იწვევს ქუჩების დატბორვას და კანალიზაციის გაუმართავად მუშაობას.

ასევე, აღინიშნა, რომ ფოთში სანაპირო ზოლი შეიცვალა და ზღვამ უკან დაიხია, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში შეშფოთებას იწვევს. მონაწილეთა თქმით, ძლიერი წვიმების და ქარების მატება იწვევს სანაპიროს ეროზიას და ინფრასტრუქტურის დაზიანებას.

„წვიმამ იმატა, იფიტება სანაპირო. ზუსტად ვიცი, სად იყო ზღვა და სად არის ახლა ნაპირი. ეს უკვე თვალსაჩინოა.“ (54 წლის დევნილი ქალი. ფოთი)

კლიმატური დისბალანსი, მონაწილეთა თქმით, განსაკუთრებით მოქმედებს ხანდაზმულთა და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანების ჯანმრთელობაზე. მაგალითად, წნევის მატება სიცხის დროს და საერთო სისუსტე ტენიანობის პირობებში.

„წნევიანი ადამიანები სიცხეში ცუდად გრძნობენ თავს, ქარია, ტენიანობა, ჰაერი მძიმეა, ამას ვსუნთქავთ ჩვენ.“ (77 წლის დევნილი ქალი. ფოთი)

ხობის ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა კლიმატის ცვლილება მჭიდროდ დაუკავშირეს გარემოსდაცვით ფაქტორებსა და ადამიანური საქმიანობის გავლენას, განსაკუთრებით - ტყის ჭრას და ენერგორესურსების დეფიციტს. მათი თქმით, გაზის მაღალი ტარიფები და ზოგიერთ სოფელში გაზომომარაგების არქონა მოსახლეობას აიძულებს შეშის მოხმარებას, რაც იწვევს ტყის განადგურებას, ჰაერის დაბინძურებას და ბიომრავალფეროვნების შემცირებას.

„ტყის ჭრა მეგონა შემცირებული იყო, მაგრამ წელს რადიკალური მდგომარეობაა. ჰაერი ჭუჭყიანია, კვამლია იმიტომ, რომ ტყეში ნარჩენებს წვავენ. ცუდი სიტუაცია.“ (34 წლის დევნილი ქალი. ხობი)

გარდა ეკოლოგიური შედეგებისა, მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს კლიმატის ცვლილების პირდაპირ ზემოქმედებაზე სოფლის მეურნეობაზე. მონაწილეთა შეფასებით, არსებული ტენდენციის მიხედვით, მოსავლიანობა მცირდება, ნაყოფი ნაადრევად ცვივა, ხეხილი ავადდება და მავნებლები (ფაროსანა) ვრცელდება. რესპონდენტების თქმით, ზოგიერთ სოფელში მანდარინისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მოსავლის ციკლი შეიცვალა. კერძოდ, ნაყოფი ადრე მწიფდება და მალევე ფუჭდება.

„კლიმატი შეიცვალა, გლობალური დათბობა მიმდინარეობს და ეს ჩვენს მოსავალზე აისახება ცუდად. წელს მოსავალი ნაადრევად მოვიდა. ხილი ივლისში უკვე ჩამოცვნილი იყო, რაც ადრე აგვისტოს ბოლოს უნდა ყოფილიყო.“ (29 წლის დევნილი კაცი. ხობი)

მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს წყლის რესურსების შემცირება. კერძოდ, მდინარეებისა და ჭების დაშრობა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც სარწყავ სისტემებს, ისე სასმელი წყლის მარაგს. რესპონდენტების შეფასებით, ეს პროცესები არის კლიმატის გლობალური დათბობის შედეგი, რომელიც უკვე ადგილობრივ დონეზეც აშკარად იგრძნობა.

„ზაფხულში წყლის მარაგი იკარგება. ეს ძალიან საშიში და ამბულელებელია. მივდივართ გლობალური დათბობისკენ.“ (29 წლის დევნილი ქალი. ხობი)

ორივე მუნიციპალიტეტში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კლიმატის ცვლილება ზრდის ყოველდღიურ დისკომფორტს, ზიანს აყენებს ფიზიკურ ჯანმრთელობას და ამცირებს სამუშაო

პროდუქტიულობას. სიცხისა და ტენიანობის ფონზე ქალაქში გადაადგილება, ფიზიკური შრომა ან გარე სამუშაო აქტივობები რთულდება. გარემოს დაბინძურება და ტყის ჭრა კი აუარესებს ჰაერის ხარისხს და იწვევს სუნთქვით პრობლემებს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილე **შშმ პირები**, როგორც ფოთში, ისე ხობში, იზიარებენ დევნილების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კლიმატის ცვლილება ბოლო წლებში აშკარად შესამჩნევი გახდა და მნიშვნელოვნად აისახება როგორც გარემოზე, ისე მათ ჯანმრთელობასა და ყოველდღიურ ყოფაზე. შშმ პირებმა აღნიშნეს, რომ წლების წინ ამინდი ისეთი ცვალებადი არ იყო, როგორც ახლა არის და ეს ცვლილება ყველაზე მეტად ნესტისა და ტენიანობის მატებაში გამოიხატება. ტენიანი ჰავა ბევრი შშმ პირისთვის პირდაპირ უკავშირდება ჯანმრთელობის გაუარესებას. ხშირია სახსრების ტკივილი, ალერგიული რეაქციები და წნევის მატება.

„მე სახსრები მტკივდება მაღალი ტემპერატურის გამო, აქ უფრო მეტად ზამთარი გვიჭირს. ჰაერი არ მყოფნის, ძვალი თითქოს მიტყდება.“ (43 წლის შშმ ქალი. ფოთი)

„ბავშვებში ალერგიებია გაზაფხულზე და შემოდგომაზე. როცა გამოვიკვლიეთ, ექიმმა თქვა, რომ ეს იმ ადგილიდან არის განპირობებული, სადაც ვცხოვრობთ.“ (32 წლის შშმ არასრულწლოვნის მშობელი. ფოთი)

გაუარესებული ჯანმრთელობის გარდა, კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს შშმ პირების საერთო მდგომარეობაზე. ზაფხულში ხანგრძლივი სიცხეები ართულებს გადაადგილებას, ხოლო ზამთარში ხშირი ნალექები და ქარიშხლები ზრდის დაძაბულობას და ქმნის სტრესულ გარემოს. აღინიშნა მოსალოდნელი წყალდიდობების შიში, გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო.

გარდა უშუალო ფიზიკური გავლენისა, კლიმატის ცვლილება ქმნის დამატებით ფინანსურ და სოციალური სტრესს შშმ პირებისთვის. ხშირია სამედიცინო მომსახურების საჭიროება, წამლებზე გაზრდილი ხარჯი და არასაკმარისი ადაპტაციის შესაძლებლობა საცხოვრებელ გარემოში.

ფოთისა და ხობის **ხანდაზმულთა** დაკვირვებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით იმეორებს დევნილებისა და შშმ პირების დაკვირვებებს, რომელთა თანახმადაც კლიმატის ცვლილება უკვე აშკარად აისახება მათ გარემოსა და ცხოვრებაზე. ფოთში ცვლილებები უფრო მეტად უკავშირდება სეზონურობის დაკარგვას, წვიმების სიხშირესა და ბუნებრივი ციკლის დარღვევას, ხოლო ხობში - სიცხის მატებას, გვალვებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირებას. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „კლიმატის ცვლილება არის ნამდვილად. ბუნება ისე იცვლება, დილით შეიძლება სიცივე იყოს და საღამოს სიცხე.“

ზოგიერთმა ხანდაზმულმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით საძოვრები, იცვლება. კერძოდ, ბალახის ხარისხი გაუარესდა და ნიადაგი ნაკლებად ნაყოფიერია. მათივე თქმით, სოფლის მეურნეობის პროდუქტები აღარ არის ისეთივე ხარისხიანი, როგორც წლების წინ იყო.

ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ხანდაზმულები აცხადებენ, რომ ტემპერატურის რყევები და მაგნიტური დღეები მოქმედებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით წნევის მატებისა და დაღლილობის კუთხით. ზოგიერთმა მათგანმა ყურადღება გაამახვილა გლობალურ

და რეგიონულ პროცესებზე, რომლებიც, მათი აზრით, ეკოლოგიის მდგომარეობაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

„რუსეთისა და უკრაინის ომმა შეცვალა შავი ზღვისპირეთის მდგომარეობა. ამინდის პროგნოზიც კი აღარ ემთხვევა ხოლმე. თითქმის ყოველ ეზოში მოსავალი ან შემცირდა, ან გახმა ყველაფერი.“ (63 წლის კაცი; ფოთი)

მონაწილეთა ნაწილმა ცვლილებები დააკავშირა ტექნოლოგიური ანძების ზემოქმედებასთან, რაც მათი აზრით, მოქმედებს გარემოზე, მოსავლიანობაზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზეც.

„მე ვაბრალებ ანძებს. როგორც ჩანს, მოქმედების რადიუსები ახმობს მოსავალს და ადამიანებზეც მოქმედებს, იწვევს წნევის ცვალებადობას.“ (63 წლის კაცი; ფოთი)

ხობის ხანდაზმულებმა აღნიშნეს, რომ გარემო საგრძნობლად გამრა და შეიცვალა ეკოსისტემური ბალანსი. კერძოდ, არხებში აღარ არის წყალი, შემცირდა თევზის რაოდენობაც, ხოლო მდინარეები და ნაკადულები ზოგ ადგილას მთლიანად დაშრა. მონაწილეთა აზრით, ეს ყველაფერი გლობალური დათბობის შედეგია, რომელიც ნელ-ნელა უკვე ადგილობრივ დონეზეც შესამჩნევად აისახება.

სამივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩართულობა გარემოს დაცვით საკითხებში, როგორებიცაა ტყის აღდგენა, გამწვანება და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ბუნებრივი ბალანსი ნაწილობრივ მაინც აღდგეს და მომავალ თაობებს უფრო სტაბილური გარემო დაუტოვოს.

ქცევა ბუნებრივი კატასტროფების დროს

ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ დევნილების, შშმ პირებისა და ხანდაზმულების ბუნებრივი კატასტროფებისადმი დამოკიდებულება და მათი ქცევა ძირითადად დაფუძნებულია თვითდაცვაზე და გამოცდილებაზე. რესპონდენტებს არ აქვთ ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფის დროს. ამრიგად, ჯგუფების ქცევა კრიზისულ სიტუაციაში უფრო რეაქტიულია, ვიდრე პრევენციული და ელოდებიან მოვლენების განვითარებას და მხოლოდ შემდეგ იღებენ ზომებს, რაც ზრდის როგორც მათ, ისე მთლიანად თემის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების წინაშე.

ფოთში მცხოვრები დევნილების უმეტესობა აღნიშნავს, რომ წყალდიდობის შემთხვევაში შინ დარჩენას ან მაღალი ადგილის შერჩევას ამჯობინებს. ასეთ დროს რესპონდენტები მიმართავენ თვითდაცვას და ოჯახის წევრების, განსაკუთრებით ბავშვებისა და ხანდაზმულების უსაფრთხოებაზე ზრუნვას.

„როცა ქარია ან წყალდიდობაა, ბავშვები და მოხუცები უნდა მოვარიდოთ და სახლში დავრჩეთ, თუ რამე აუცილებელი არ არის.“ (29 წლის დევნილი ქალი; ფიფი)

ხობის მუნიციპალიტეტში დევნილთა ჯგუფმა გაიხსენა ბოლო წლებში მომხდარი სტიქიური მოვლენები. მათ შორის ძლიერი წყალდიდობა, ქარიშხალი და დიდთოვლობა, რომელმაც

ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა ერთი ნაწილის შეფასებით, მსგავსი კატასტროფები ხობში ხშირი არ არის და მოსახლეობა მათ მიმართ გარკვეულად ადაპტირებულია.

დევნილთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ინფორმაციის მიღება ძირითადად ხდება სოციალურ ქსელებისა და არაოფიციალური არხების საშუალებით. დევნილების ნაწილი ინფორმაციის მისაღებად მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ძირითადად იღებს ამინდის პროგნოზების, სოციალური ქსელებისა და 112-ის შეტყობინებების მეშვეობით.

„აღბათ 112-ში დავრეკავ, რომ მოსახლეობის გაყვანა მოხდეს. მთავარია, ჯანმრთელობა დავიცვათ.“ (25 წლის დევნილი ქალი; ხობი)

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე **შშმ პირებმა** აღნიშნეს, რომ ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში მათთვის ყველაზე რთულია გადაადგილება და უსაფრთხო ადგილის პოვნა. მონაწილეთა შეფასებით, ფოთის გარკვეულ უბნებში ხშირია დატბორვა, ხოლო ძლიერი ქარის დროს ზიანდება შენობების სახურავები და ელექტროენერჯის სისტემა.

დევნილების მსგავსად, შშმ პირებიც ძირითადად ინფორმაციის მიღებას ტელევიზიისა და სოციალური ქსელების საშუალებით ახერხებენ. მათ იციან, რომ საჭიროა შინ დარჩენა და საფრთხის თავიდან არიდება, თუმცა ზოგადად აღნიშნეს, რომ ამ თემაზე სპეციალური ტრენინგი ან ინსტრუქცია არ მიუღიათ.

ფოთისა და ხობის **ხანდაზმული** მოსახლეობა მიიჩნევს, რომ რეგიონი შედარებით დაცულია მასშტაბური კატასტროფებისგან, თუმცა აღნიშნეს, რომ ძლიერი ქარები და წყალდიდობები გარკვეულ საფრთხეს მაინც ქმნის. მათი თქმით, ბოლო წლებში ასეთი შემთხვევები იშვიათია, ხოლო მეწყერ საშიში ზონები ნაკლებად არის მუნიციპალიტეტებში.

ხანდაზმულები, სხვა ჯგუფების მსგავსად, ინფორმაციას მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ამინდის პროგნოზების ან სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით იღებენ. ხანდაზმულების ნაწილმა არ იცის სტიქიური უბედურების დროს კონკრეტულად ვის უნდა მიმართონ.

„ინფორმირებულები არ ვართ. თუ რამე მოხდა, ჩვენი გონებით უნდა მოვიფიქროთ.“ (72 წლის ქალი. ფოთი)

ამის გათვალისწინებით, გამოიკვეთა ცნობიერების ამაღლების და ინფორმაციის გავრცელების საჭიროება უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაცვის შესახებ.

6. განათლება და გადაწყვეტილებებში ჩართულობა

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ როგორც ფოთის, ასევე, ხობის მუნიციპალიტეტში, ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც სწავლების სხვადასხვა საფეხურზე გარემოსდაცვითი განათლების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონიათ, რამდენადმე აჭარბებს საპირისპირო გამოცდილების მქონეთა პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნული სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საუნივერსიტეტო განათლების, ტექნიკურ-პროფესიული განათლებისა და არაფორმალური განათლების შემთხვევებში. გარემოსდაცვით საკითხებზე ცოდნის მიღების შესაძლებლობის არსებობის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება სკოლამდელი (ფოთი

- 20.8%; ხობი - 26.4%) და სასკოლო (ფოთი - 36%; ხობი - 42.7%) განათლების საფეხურზე (იხ. ცხრილი #6.1).

ცხრილი #6.1

თუ გქონიათ გარემოსდაცვითი განათლების მიღების გამოცდილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე? (%)		მქონია	არ მქონია	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
სკოლამდელი განათლება	ფოთი (N=195)	20.8	78.8	0.4	-
	ხობი (N=195)	26.4	73.6	-	-
სასკოლო განათლება	ფოთი (N=195)	36	63.6	0.4	-
	ხობი (N=195)	42.7	57.3	-	-
საუნივერსიტეტო განათლება	ფოთი (N=195)	8	91.2	0.8	-
	ხობი (N=195)	6.9	92.5	0.5	-
ტექნიკურ-პროფესიული განათლება	ფოთი (N=195)	7.2	88.9	1.6	2.2
	ხობი (N=195)	8	91.5	0.4	-
არაფორმალური განათლება (არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები)	ფოთი (N=195)	1.8	93.1	3.4	1.7
	ხობი (N=195)	0.5	98.6	0.2	0.7

ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზის მიხედვით, **ფოთში** არაფორმალური განათლების საფეხურზე გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნის/ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის არსებობის შესახებ ორივე სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ძალზე მცირე რაოდენობა მიუთითებს. ახალგაზრდების 85.7%-ს და 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა 96.2%-ს არაფორმალური განათლების მიღების ფარგლებში ასეთი შესაძლებლობა არ ჰქონია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$). რაც შეეხება სასკოლო განათლებას, ორივე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაცია არც ამ საფეხურზე არ მიუღია: 18-29 წლის - 52.4%, 30+ წლის - 67.9% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მთელ შერჩევაში ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #6.2).

ცხრილი #6.2

თუ გქონიათ გარემოსდაცვითი განათლების მიღების გამოცდილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)		მქონია	არ მქონია	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
არაფორმალური განათლება (არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები) ($\chi^2=11.218$)	18-29 წლის (N=35)	1.6	85.7	7.9	4.8
	30+ წლის (N=160)	1.9	96.2	1.3	0.6
სასკოლო განათლება	18-29 წლის (N=35)	47.6	52.4	-	-
	30+ წლის (N=160)	31.4	67.9	0.6	-

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

ხობის მუნიციპალიტეტში გამოკითხული **ახალგაზრდების** 43.2%-მა სკოლამდელი განათლების საფეხურზე გარემოსდაცვითი განათლების მიღების შესაძლებლობის არსებობაზე მიუთითა, ანალოგიურ გამოცდილებაზე 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა 20.8% საუბრობს. რაც შეეხება იმ რესპონდენტთა წილს კვლევაში, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ეკოლოგიურ საკითხებზე განათლების მიღების შესაძლებლობა სასკოლო განათლების ეტაპზე ჰქონდათ, ორივე სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში იზრდება (18-29 წლის - 62.8%; 30+ წლის - 35.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$). მეორე მხრივ, ორივე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია არაფორმალური განათლების საფეხურზე, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში: 18-29 წლის - 100%, 30+ წლის - 98.4% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მთლიანი შერჩევის ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #6.3).


ცხრილი #6.3

თუ გქონიათ გარემოსდაცვითი განათლების მიღების გამოცდილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე? (ხობი, ასაკის ჭრილი) (%)		მქონია	არ მქონია	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
სკოლამდელი განათლება ($\chi^2=8.345$)	18-29 წლის (N=25)	43.2	56.8	-	-
	30+ წლის (N=170)	20.8	79.2	-	-
სასკოლო განათლება ($\chi^2=9.741$)	18-29 წლის (N=25)	62.8	37.2	-	-
	30+ წლის (N=170)	35.5	64.5	-	-
არაფორმალური განათლება (არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები)	18-29 წლის (N=25)	-	100	-	-
	30+ წლის (N=170)	0.8	98.4	-	0.8

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მიღების დომინანტურ წყაროდ ორივე მუნიციპალიტეტში ტელევიზია (ფოთი - 63.4%, ხობი - 74.7%) და ინტერნეტი (ფოთი - 61.7%; ხობი - 53.9%) იკვეთება (იხ. დიაგრამა #6.1)

დიაგრამა #6.1



ასაკის ჭრილში საკითხის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მეტად ინტერნეტს (86.7) იყენებენ, ვიდრე ტელევიზიას (50.5%), 30 წლის ან მეტი ასაკის პირებისთვის კი წამყვან საინფორმაციო საშუალებად ტელევიზია იკვეთება (68.5%), რასაც მოსდევს ინტერნეტი (51.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=34.849$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.4).

ცხრილი #6.4

გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად ძირითადად რა წყაროებს იყენებთ? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
ტელევიზია	50.5	68.5
ინტერნეტი	86.7	51.8
ნაცნობები/მეგობრები	3	9.4
მიჭირს პასუხის გაცემა	0.9	4.2
უარი პასუხზე	-	1.1

ხობის მუნიციპალიტეტში 18-29 წლის მაცხოვრებლებისთვის თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან წყაროებად გამოიკვეთა ინტერნეტი (77.2%) და ტელევიზია (76.2%), 30 წლის ან მეტი ასაკის მოსახლეობისთვის კი დომინანტურ წყაროდ ტელევიზია რჩება (74.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=20.869$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.5).

ცხრილი #6.5

გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად ძირითადად რა წყაროებს იყენებთ? (სობი, ასაკის ქრილი) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
ტელევიზია	76.2	74.2
ინტერნეტი	77.2	45.8
სახელმძღვანელოები	-	0.2
ნაცნობები/მეგობრები	-	7.1
სპეციალური ჟურნალ-გაზეთები, გამოცემები	-	0.2
მიჭირს პასუხის გაცემა	-	3.7
უარი პასუხზე	-	-

ფოტო და სობში გამოკითხული მოსახლეობის იმ ნაწილს შორის, რომლებიც გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ტელევიზიასა და ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებენ მცირე სხვაობაა (ტელევიზია: ფოთი - 45.5%, სობი - 40.7%; ინტერნეტი: ფოთი - 58.8%; სობი - 50.5%) (იხ. ცხრილი #6.6).

ცხრილი #6.6

რა სიხშირით იყენებთ თქვენ მიერ დასახელებულ წყაროებს გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად? (%)		ყოველდღიურად	კვირაში რამდენჯერმე	თვეში რამდენჯერმე	სამ თვეში რამდენჯერმე	ექვს თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვიათად	მიჭირს პ/ბ
ტელევიზია	ფოთი (N=138)	45.5	8.3	0.9	7.1	0.9	34.4	3
	სობი (N=152)	40.7	8.4	3	7.9	7.8	28.8	3.3
ინტერნეტი	ფოთი (N=101)	58.8	15	0.5	8	2.3	12.1	3.3
	სობი (N=81)	50.5	27.6	0.5	3.9	15	1.5	1
სახელმძღვანელოები	ფოთი (N=1)	-	-	-	-	-	-	-
	სობი (N=1)	-	100	-	-	-	-	-
ნაცნობები, მეგობრები	ფოთი (N=18)	33	38.1	25.3	-	-	3.7	-
	სობი (N=16)	-	53.3	5.6	5.1	-	30.4	5.6
სპეციალური ჟურნალ-გაზეთები, გამოცემები	ფოთი (N=0)	-	-	-	-	-	-	-
	სობი (N=1)	-	-	-	-	-	-	100

ასაკის ქრილში საკითხის ანალიზის მიხედვით, **ფოთში** გამოკითხული იმ ახალგაზრდებისა და 30+ წლის ასაკის რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი, როლებმაც ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ წყაროდ ინტერნეტი დაასახელეს, აღნიშნულს ყოველდღიურად იყენებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$) (იხ. ცხრილი #6.7).

ცხრილი #6.7

რა სიხშირით იყენებთ თქვენ მიერ დასახელებულ წყაროებს გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)		ყოველდღიურად	კვირაში რამდენჯერმე	თვეში რამდენჯერმე	სამ თვეში რამდენჯერმე	უკეს თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვიათად	მიჭირს 3/6
ინტერნეტი ($\chi^2=17.836$)	18-29 წლის (N=27)	47.3 (N=13)	10.9 (N=3)	1.8 (N=1)	14.5 (N=3)	-	21.8 (N=6)	3.6 (N=1)
	30+ წლის (N=74)	66.7 (N=51)	17.3 (N=14)	-	3.7 (N=1)	3.7 (N=3)	6.2 (N=4)	2.5 (N=1)
ნაცნობები, მეგობრები ($\chi^2=8.686$)	18-29 წლის (N=2)	50 (N=1)	-	-	-	-	50 (N=1)	-
	30+ წლის (N=16)	28.6 (N=4)	42.9 (N=7)	28.6 (N=5)	-	-	-	-

სობის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ის **ახალგაზრდა** რესპონდენტები, რომლებიც ტელევიზიას ყოველდღიურ რეჟიმში იყენებენ გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად 60.6%-ს უტოლდება, 30+ წლის რესპონდენტების ჯგუფში კი 33.3%-ს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=19.039$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.8).

ცხრილი #6.8

რა სიხშირით იყენებთ თქვენ მიერ დასახელებულ წყაროებს გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად? (სობი, ასაკის ჭრილი) (%)		ყოველდღიურად	კვირაში რამდენჯერმე	თვეში რამდენჯერმე	სამ თვეში რამდენჯერმე	უკეს თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვიათად	მიჭირს 3/6
ტელევიზია	18-29 წლის (N=21)	60.6	12.1	-	3	-	15.2	9.1
	30+ წლის (N=131)	33.3	7.5	4.3	9.7	9.7	34.4	1.1

ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ის **ქალები** (51.4%) და **კაცები** (68.3%), რომლებიც კლიმატის ცვლილების/გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ინტერნეტს იყენებენ, ორივე სამიზნე ჯგუფში უმრავლესობას წარმოადგენენ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=22.089$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.9).

ცხრილი #6.9

რა სიხშირით იყენებთ თქვენ მიერ დასახელებულ წყაროებს გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად? (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)		ყოველდღიურად	კვირაში რამდენჯერმე	თვეში რამდენჯერმე	სამ თვეში რამდენჯერმე	უკეს თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვიათად	მიჭირს პ/ბ
ინტერნეტი	ქალი (N=91)	51.4	9.7	1.4	6.9	4.2	20.8	5.6
	კაცი (N=47)	68.3	20.6	-	9.5	-	1.6	-

კვლევის ფარგლებში ფოთსა და ხობში გამოკითხულმა პირებმა შეაფასეს პირადად მათი ცოდნის/ცნობიერების დონე გარემოსდაცვით/კლიმატის ცვლილების საკითხებთან მიმართებით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ორივე მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია ისეთ რესპონდენტთა ჯამური წილი, რომელთა ინფორმირებულობის დონე ეკოლოგიურ საკითხებთან მიმართებით მწირია ან საერთოდ არ ფლობენ აღნიშნულის შესახებ ცოდნას. მაგალითად, ორივე მუნიციპალიტეტში 80%-ზე მაღალია მათი წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ „საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას+მწირ ინფორმაციას ფლობენ“ შემდეგ საკითხებთან მიმართებით: ამოწურვადი რესურსების გამოყენება (ფოთი - 82.8%, ხობი - 81.6%), კლიმატის ცვლილებების საპასუხო მოქმედებები - (ფოთი - 82.4%, ხობი - 82.5%), გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლებები (ფოთი - 85.4%, ხობი - 85.1%), კლიმატის ცვლილებების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება (ფოთი - 82.1%, ხობი - 83.8%), ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები ენერგოკომპანიების გარდა (ფოთი - 84.5%, ხობი - 83.8%). როგორც ფოთში, ასევე ხობში ინფორმირებული (“საკმარისი ინფორმაცია მაქვს+ბევრი ინფორმაცია მაქვს”) რესპონდენტების ყველაზე მაღალი წილი შემდეგ გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით დაფიქსირდა: ბუნების დაცვა-შენარჩუნება (ფოთი - 22.6%; ხობი - 22.2%), ჰაერის დაბინძურება (ფოთი - 24.8%; ხობი - 23.2%), საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები (წყალდიდობები, მეწყერები და სხვ.) (ფოთი - 28.6%; ხობი - 21.3%), საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (ფოთი - 18.9%; ხობი - 20.2%) (იხ. ცხრილი #6.10).

ცხრილი #6.10

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (%)		საერთოდ არ ვფლობ ინფორმაციას	მწირი ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
ბუნების დაცვა-შენარჩუნება	ფოთი (N=195)	31.9	44.6	22.5	1	-	-
	ხობი (N=195)	36.5	41.1	21.4	0.8	-	0.3
ამოწურვადი რესურსების (გაზი, ელ. ენერჯია, წყალი) გამოყენება	ფოთი (N=195)	33.7	49.1	15	2.2	-	-
	ხობი (N=195)	32.9	48.7	17.3	0.8	-	0.3
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა	ფოთი (N=195)	31.7	48.5	18.8	1	-	-
	ხობი (N=195)	36	43.8	19.1	1.1	-	-
ჰაერის დაბინძურება	ფოთი (N=195)	32.6	42.6	22.1	2.7	-	-

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (%)		საერთოდ არ ფლობ ინფორმაციას	მწირ ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
	ხობი (N=195)	35.8	41	21.8	1.4	-	-
თქვენს საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები (წყალდიდობები, მეწყერები და სხვ.)	ფოთი (N=195)	32.2	39.2	27.2	1.4	-	-
	ხობი (N=195)	36	42.7	18.6	2.7	-	-
კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებები (როგორ მოიქცენ ბუნებრივი კატასტროფების დროს)	ფოთი (N=195)	46.5	36	14.7	2.8	-	-
	ხობი (N=195)	51	31.6	15.6	1.6	-	0.3
გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლებები	ფოთი (N=195)	48.4	37.1	14	0.6	-	-
	ხობი (N=195)	51	34.1	14.4	0.5	-	-
კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება	ფოთი (N=195)	43	39.1	14.8	3.1	-	-
	ხობი (N=195)	48.9	34.9	14.2	1.8	-	0.2
ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები ენერგოკომპანიების (ენერგო-პრო, სოკარ გაზი) გარდა (მაგ. სემეკი, ენერგომომბუღსმენი)	ფოთი (N=195)	50.1	34.4	14.5	1	-	-
	ხობი (N=195)	53.6	30.2	13.8	2.3	-	-

კვლევის შედეგების მიხედვით, **ფოთში** გამოკითხული **ახალგაზრდების 71.9%** და **30 წლის ან მეტი ასაკის** რესპონდენტთა 83.6% საერთოდ არ ფლობს ან მწირ ინფორმაციას ფლობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხის შესახებ. ამასთან, 18-29 წლის რესპონდენტთა 59.4% ინფორმაციის არქონაზე/სიმწირზე მიუთითებს ისეთ საკითხთან მიმართებით, როგორცაა საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები. აღნიშნულთან დაკავშირებით 30+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა შორის კიდევ უფრო დაბალია ინფორმირებულობის დონე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=19.039$; $p<0.05$). ორივე სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი საერთოდ არ ფლობს ცოდნას ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა ა) კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებები (18-29 წლის - 47.6%, 30+ წლის - 45.9%) და ბ) ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები, ენერგოკომპანიების გარდა (18-29 წლის - 49.2%, 30+ წლის - 50.3%). დამატებით, 30 წლის ან მეტი ასაკის კატეგორიაში მოქცეულ რესპონდენტთა 47.8% მწირ ცოდნას ფლობს ჰაერის დაბინძურების შესახებ, ხოლო 18-29 წლის ახალგაზრდების მესამედზე მეტი (38.1%) აღნიშნულის შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული. როგორც 18-29 წლის (42.2%), ისე 30 წლის ან მეტი ასაკის (52.2%) რესპონდენტთა ძირითად ნაწილს ამოწურვადი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია აქვს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #6.11).

ცხრილი #6.11

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)		საერთოდ არ ვფლობ ინფორმაციას	მწირი ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა ($\chi^2=9.484$)	18-29 წლის (N=35)	37.5	34.4	28.1	-	-	-
	30+ წლის (N=160)	29.6	54.1	15.1	1.3	-	-
თქვენს საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები (წყალდიდობები, მეწყერები და სხვ.) ($\chi^2=9.744$)	18-29 წლის (N=35)	31.3	28.1	40.6	-	-	-
	30+ წლის (N=160)	32.7	43.4	22	1.9	-	-
ამოწურავდი რესურსების (გაზი, ელ. ენერჯია, წყალი) გამოყენება	18-29 წლის (N=35)	32.8	42.2	23.4	1.6	-	-
	30+ წლის (N=160)	34.0	52.2	11.3	2.5	-	-
ჰაერის დაბინძურება	18-29 წლის (N=35)	38.1	30.2	27.0	4.8	-	-
	30+ წლის (N=160)	30.2	47.8	20.1	1.9	-	-
კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებები (როგორ მოიქცენ ბუნებრივი კატასტროფების დროს)	18-29 წლის (N=35)	47.6	28.6	19.0	4.8	-	-
	30+ წლის (N=160)	45.9	39.0	13.2	1.9	-	-
ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები, ენერგოკომპანიების (ენერგო-პრო, სოკარ გაზი) გარდა (მაგ. სემეკი, ენერგომომბუღსმენი)	18-29 წლის (N=35)	49.2	27.0	23.8	-	-	-
	30+ წლის (N=160)	50.3	37.1	11.3	1.3	-	-

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

ხობში ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალია ისეთ რესპონდენტთა ჯამური წილი, რომლებიც საერთოდ არ ფლობენ ან მწირ ინფორმაციას ფლობენ იმის შესახებ თუ ა) რა საპასუხო მოქმედებები უნდა განახორციელონ კლიმატის ცვლილების პირობებში (18-29 წლის - 64.3%; 30+ წლის - 86.3%). თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 18-29 წლის რესპონდენტთა სეგმენტში უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც საკმარის+ბევრ ინფორმაციას ფლობენ დასახელებული საკითხის შესახებ (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p<0.05$). ამასთან, ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალია მათი წილი, ვინც საერთოდ არაა ინფორმირებული ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორების შესახებ: 18-29 წლის - 45.5%, 30+ წლის - 56.5%. რესპონდენტები მწირი ცოდნით გამოირჩევიან ამოწურავდი რესურსების გამოყენებასა (18-29 წლის

- 40.9%, 30+ წლის - 52%) და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან (18-29 წლის - 39.5%, 30+ წლის - 45.2%) დაკავშირებით. 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ძირითად ნაწილს მწირი ინფორმაცია აქვს ჰაერის დაბინძურებისა (46%) და საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეების (46.4%) შესახებ, ხოლო 18-29 წლის პირები, ამ მხრივ, სრული არაინფორმირებულობით ხასიათდებიან: ჰაერის დაბინძურება - 46.5%, საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები - 39.5% (სტატისტიკური სანდოობა აღებულია მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #6.12).

ცხრილი #6.12

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (ხობი, ასაკის ჭრილი) (%)		საერთოდ არ ვფლობ ინფორმაციას	მწირი ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებები (როგორ მოიქცენ ბუნებრივი კატასტროფების დროს) ($\chi^2=11.218$)	18-29 წლის (N=25)	48.8	20.9	30.2	-	-	-
	30+ წლის (N=170)	51.6	35.5	10.5	2.4	-	-
ამოწურავდი რესურსების (გაზი, ელ. ენერჯია, წყალი) გამოყენება	18-29 წლის (N=25)	29.5	40.9	29.5	-	-	-
	30+ წლის (N=170)	34.1	52.0	13.0	0.8	-	-
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა	18-29 წლის (N=25)	30.2	39.5	30.2	-	-	-
	30+ წლის (N=170)	37.9	45.2	15.3	1.6	-	-
ჰაერის დაბინძურება	18-29 წლის (N=25)	46.5	25.6	27.9	-	-	-
	30+ წლის (N=170)	32.3	46.0	20.2	1.6	-	-
თქვენს საცხოვრებელ არეალში კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები (წყალდიდობები, მეწყერები და სხვ.)	18-29 წლის (N=25)	39.5	32.6	27.9	-	-	-
	30+ წლის (N=170)	34.4	46.4	15.2	4.0	-	-
ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები, ენერგოკომპანიების (ენერგოპრო, სოკარ გაზი) გარდა (მაგ. სემევი, ენერგომბუდსმენი)	18-29 წლის (N=25)	45.5	29.5	25.0	-	-	-
	30+ წლის (N=170)	56.5	30.6	9.7	3.2	-	-

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

სქესის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ფოთში გამოკითხული ქალების და კაცების დიდი ნაწილის ინფორმირებულობის/ცოდნის დონე ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა -

ამოწურავდი რესურსების გამოყენება და კლიმატის ცვლილებების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება - დაბალია. თუმცა, აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით ინფორმირებული კაცების წილი უფრო მაღალია, ვიდრე ქალების (“საკმარისი ინფორმაცია მაქვს+ბევრი ინფორმაცია მაქვს”):

- “ამოწურავდი რესურსების (გაზი, ელ. ენერჯია, წყალი) გამოყენება” - ქალი - 12.4%; კაცი - 23.6%;
- “კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება” - ქალი - 11.7%; კაცი - 25.2%;

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$) (იხ. ცხრილი #6.13).

ცხრილი #6.13

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)		საერთოდ არ ვფლობ ინფორმაციას	მწირი ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
ამოწურავდი რესურსების (გაზი, ელ. ენერჯია, წყალი) გამოყენება ($\chi^2=18.455$)	ქალი (N=123)	24.8	62	10.7	2.5	-	-
	კაცი (N=72)	44.6	33.7	19.8	2	-	-
კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება ($\chi^2=10.418$)	ქალი (N=123)	41	45.9	9	4.1	-	-
	კაცი (N=72)	45.5	30.7	21.8	2	-	-


ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება **ხობის** მუნიციპალიტეტშიც, რესპონდენტთა **სქესის** ჭრილში საკითხის ანალიზისას. კერძოდ, ამა თუ იმ გარემოსდაცვითი საკითხის მიმართ არაინფორმირებულთა წილი მაღალია, როგორც ქალების, ასევე, კაცების სეგმენტში, თუმცა ცოდნის დონე კაცებში უფრო მაღალია. კერძოდ, საკმარისი+ბევრი ინფორმაციის მქონე რესპონდენტთა წილი სქესის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ა) კლიმატის ცვლილებების საპასუხო მოქმედებები: ქალი 10.3%; კაცი - 24.7%; ბ) გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლებები: ქალი - 7%; კაცი - 23.5%; დ) კლიმატის ცვლილებების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება: ქალი - 9.3%; კაცი - 23.5%; ე) ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები ენერგოკომპანიების (ენერგო-პრო, სოკარ გაზი) გარდა (მაგ. სემეკი, ენერგომბუდსმენი): ქალი - 9.3%; კაცი - 23.5%;) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $p < 0.05$) (იხ. ცხრილი #6.14).

ცხრილი #6.14

როგორ შეაფასებდით პირადად თქვენი ცოდნის/ცნობიერების დონეს გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების მიმართ? (ხობი, სქესის ჭრილი) (%)		საერთოდ არ ვფლობ ინფორმაციას	მწირი ინფორმაცია მაქვს	საკმარისი ინფორმაცია მაქვს	ბევრი ინფორმაცია მაქვს	მიჭირს პასუხის გაცემა	უარი პასუხზე
კლიმატის ცვლილების საპასუხო მოქმედებები (როგორ მოიქცენ ბუნებრივი კატასტროფების დროს) ($\chi^2=9.627$)	ქალი (N=114)	52.9	35.3	8.2	3.5	-	-
	კაცი (N=81)	49.4	27.7	22.9	-	-	-
გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლებები ($\chi^2=7.915$)	ქალი (N=114)	53.6	38.1	7.1	1.2	-	-
	კაცი (N=81)	47.6	31	21.4	-	-	-
კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგები და მათთან შეგუება/გამკლავება ($\chi^2=9.879$)	ქალი (N=114)	50	39.3	7.1	3.6	-	-
	კაცი (N=81)	47.6	31	21.4	-	-	-
ენერგომომარაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი აქტორები ენერგოკომპანიების (ენერგო-პრო, სოკარ გაზი) გარდა (მაგ. სემეკი, ენერგომომბუდსმენი) ($\chi^2=9.827$)	ქალი (N=114)	55.3	32.9	7.1	4.7	-	-
	კაცი (N=81)	50.6	28.9	20.5	-	-	-

გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო ცოდნის/ცნობიერების გაღრმავების მსურველი რესპონდენტების წილი ფოთში 41.3%-ს უტოლდება, ხობში კი 49.3%-ს (იხ. დიაგრამა #6.2).

დიაგრამა #6.2



ხობის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, გამოკითხულთა **ასაკის** ჭრილში საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების შესახებ ცნობიერების/ცოდნის ამაღლების მოტივაცია უფრო მეტად ახალგაზრდებს (63.6%) აქვთ, ვიდრე 30 წლის ან მეტი ასაკის (44.4%) რესპონდენტებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=10.356$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.15).

ცხრილი #6.15

ისურვებდით თუ არა თქვენი ცოდნის / ცნობიერების გაღრმავებას გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო? (ხობი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
დიახ	63.6	44.4
არა	18.2	43.5
არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	18.2	10.5
უარი პასუხზე	-	1.6

გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო ცოდნის გაღრმავების ოპტიმალურ ვარიანტებად ფოთში (86.9%) და ხობში (77.9%) გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი გარემოსდაცვით საკითხებზე სატელევიზიო გადაცემების ჩვენებას ასახელებს (იხ. ცხრილი #6.16).

ცხრილი #6.16

ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელი იქნებოდა თქვენთვის მისაღები გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო თქვენი ცოდნის გაღრმავებისთვის (%)	ფოთი (N=83)	ხობი (N=103)
სატელევიზიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	86.9	77.9
რადიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	-	0.9
სტატიები პრესაში გარემოსდაცვით საკითხებზე	10.2	14.3
სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა გარემოსდაცვით საკითხებზე	1	0.5
ერთჯერადი ტრენინგი / სამუშაო შეხვედრა გარემოსდაცვით საკითხებზე	7.8	6.1
პერიოდული ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები გარემოსდაცვით საკითხებზე	11.6	1.9
პრაქტიკული აქტივობები / ველზე გასვლები ბუნების მრავალფეროვნების უკეთ გასაცნობად	0.6	3.8
საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა	-	0.3
კონფერენციებზე/სემინარებზე დასწრება	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	4.8	6.4
უარი პასუხზე	-	2

სქესის ჭრილში საკითხის ანალიზის თანახმად, **ფოთის** მუნიციპალიტეტში გამოკითხული ქალებისა და კაცების ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას/ცოდნის გაღრმავებას ყველაზე უკეთ სატელევიზიო გადაცემებით შეძლებენ (ქალი - 90.5%; კაცი - 83.2%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=14.377$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.17).

ცხრილი #6.17

ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელი იქნებოდა თქვენთვის მისაღები გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო თქვენი ცოდნის გაღრმავებისთვის, (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=50)	კაცი (N=33)
სატელევიზიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	90.5	83.2
რადიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	-	-
სტატიები პრესაში გარემოსდაცვით საკითხებზე	9.1	11.2
სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა გარემოსდაცვით საკითხებზე	1.9	-
ერთჯერადი ტრენინგი / სამუშაო შეხვედრა გარემოსდაცვით საკითხებზე	15.4	-
პერიოდული ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები გარემოსდაცვით საკითხებზე	9.7	13.5

ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელი იქნებოდა თქვენთვის მისაღები გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო თქვენი ცოდნის გადრმავებისთვის, (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=50)	კაცი (N=33)
პრაქტიკული აქტივობები / ველზე გასვლები ბუნების მრავალფეროვნების უკეთ გასაცნობად	1.1	-
საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა	-	-
კონფერენციებზე/სემინარებზე დასწრება	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	2.3	7.3
უარი პასუხზე	-	-

ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება **ხობის** მუნიციპალიტეტში. კერძოდ, როგორც ქალების, ასევე, კაცების კოჰორტაში გარემოსდაცვით საკითხებზე ცოდნის მიღების ყველაზე ეფექტიან წყაროდ ტელევიზია გამოიკვეთა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუკი ქალების სეგმენტში ტელევიზია აბსოლუტური უმრავლესობისთვის პირველი რიგის წყაროა (94.8%), კაცების ჯგუფში სატელევიზიო არხები მხოლოდ 62.7%-იანი წილით დომინირებს, რასაც მეორე ოპტიმალურ წყაროდ მოსდევს პრესაში გამოქვეყნებული სტატიები (18.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=36.728$ $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.18).

ცხრილი #6.18

ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელი იქნებოდა თქვენთვის მისაღები გარემოსდაცვითი/კლიმატის ცვლილების საკითხების გარშემო თქვენი ცოდნის გადრმავებისთვის, (ხობი, სქესი ჭრილი) (%)	ქალი (N=57)	კაცი (N=46)
სატელევიზიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	94.8	62.7
რადიო გადაცემები გარემოსდაცვით საკითხებზე	-	1.6
სტატიები პრესაში გარემოსდაცვით საკითხებზე	9.1	18.9
სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა გარემოსდაცვით საკითხებზე	-	0.9
ერთჯერადი ტრენინგი / სამუშაო შეხვედრა გარემოსდაცვით საკითხებზე	12.9	-
პერიოდული ტრენინგები / სამუშაო შეხვედრები გარემოსდაცვით საკითხებზე	1.3	2.5
პრაქტიკული აქტივობები / ველზე გასვლები ბუნების მრავალფეროვნების უკეთ გასაცნობად	2.5	5
საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა	0.6	-
კონფერენციებზე/სემინარებზე დასწრება	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	-	-
უარი პასუხზე	-	-

ფოთსა და ხობში გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (არც თავად და არც მათი ოჯახის წევრს) გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ქვემოთ ჩამოთვლილ არცერთ დონეზე (იხ. ცხრილი #6.19).

ცხრილი #6.19

მიგიდიათ თუ არა მონაწილეობა თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში სხვადასხვა დონეზე? (%)	მიმიდია	არ მიმიდია	უარი პასუხზე	
სამეზობლოში/თემში	ფოთი (N=195)	8.2	91.8	-
	ხობი(N=195)	4.7	95.3	-
ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე	ფოთი (N=195)	4	96	-

მივიდიათ თუ არა მონაწილეობა თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში სხვადასხვა დონეზე? (%)	მივიდიათ	არ მივიდიათ	უარი პასუხზე	
	სობი(N=195)	3.3	96.4	0.2
ცენტრალური ხელისუფლების დონეზე	ფოთი (N=195)	1.9	98.1	-
	სობი(N=195)	2.5	96.9	0.6
არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე	ფოთი (N=195)	3.2	95.9	0.8
	სობი(N=195)	2.5	97.3	0.2

მონაწილეობის არმიღების წამყვან მიზეზად ორივე მუნიციპალიტეტში დასახელდა მონაწილეობის მიღების წესების/პროცედურების შესახებ ინფორმაციის არქონა (ფოთი - 61.7%; სობი - 60%), რასაც მოსდევს სურვილის/ინტერესის არქონა (ფოთი - 25.8%; სობი - 25.5%) და დროის უქონლობა (ფოთი - 22.4%), სობი - 19.7%) (იხ. ცხრილი #6.20).

ცხრილი #6.20

რა იყო იმის მიზეზი, რომ არ მივიდიათ მონაწილეობა? (%)	ფოთი (N=83)	სობი (N=192)
სურვილის/ინტერესის არქონა	25.8	25.5
ინფორმაციის არქონა, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაწილეობის მიღება	61.7	60
დროის უქონლობა	22.4	19.7
ჩართვა არავითარ ხელშესახებ შედეგს არ მოიტანდა	1.1	1.3
ეს არ არის კერძო მოქალაქის ფუნქცია	2.1	0.2
ინფორმაციის არქონა, თუ ტარდებოდა ტენდერი	1.3	2.3
სხვა	0.3	0.4
მიჭირს პასუხის გაცემა	10.5	5.3
უარი პასუხზე	0.3	0.3

ფოთში გამოკითხული იმ ახალგაზრდებისა და 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ჯგუფებში, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება არც თავად და არც მათი ოჯახის წევრ(ებ)ს არ გააჩნიათ, აღნიშნულის მადეტერმინირებულ ძირითად ფაქტორად მონაწილეობის მიღების წესებზე ინფორმაციის არქონა გამოკვეთეს (18-29 წლის - 55.5%; 30+ წლის - 64.3%), რასაც მოსდევს სურვილის/ინტერესის არქონა (18-29 წლის - 21.3%; 30+ წლის - 27.6%). კაცების სეგმენტში მესამე რიგის ფაქტორად დროის უქონლობა დაფიქსირდა (26.3%). ქალთა შემთხვევაში კი დაახლოებით მეოთხედ ნაწილს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (24.8%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=33.017$ $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.21).

ცხრილი #6.21

რა იყო იმის მიზეზი, რომ არ მივიდიათ მონაწილეობა? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=35)	30+ წლის (N=158)
სურვილის/ინტერესის არქონა	21.3	27.6
ინფორმაციის არქონა, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაწილეობის მიღება	55.5	64.3
დროის უქონლობა	12.9	26.3
ჩართვა არავითარ ხელშესახებ შედეგს არ მოიტანდა	-	1.5
ეს არ არის კერძო მოქალაქის ფუნქცია	2	2.1
ინფორმაციის არქონა, თუ ტარდებოდა ტენდერი	-	1.9
სხვა	0.9	-

რა იყო იმის მიზეზი, რომ არ მიგიღიათ მონაწილეობა? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=35)	30+ წლის (N=158)
მიჭირს პასუხის გაცემა	24.8	4.6
უარი პასუხზე	-	0.4

ხობში, ფოთის მუნიციპალიტეტის მსგავსად, ახალგაზრდებისა და 30+ ასაკის რესპონდენტთა ჯგუფში, გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის არმიღების წამყვან მიზეზად ინფორმაციის არქონა დაფიქსირდა (18-29 წლის - 67.3%; 30+ წლის - 57.5%), მეორე ფაქტორად კი სურვილის/ინტერესის არქონა (18-29 წლის - 19.1%; 30+ წლის - 27.7%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=17.023$ $p<0.05$) (იხ. ცხრილი #6.22).

ცხრილი #6.22

რა იყო იმის მიზეზი, რომ არ მიგიღიათ მონაწილეობა? (ხობი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=24)	30+ წლის (N=168)
სურვილის/ინტერესის არქონა	19.1	27.7
ინფორმაციის არქონა, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაწილეობის მიღება	67.3	57.5
დროის უქონლობა	4.6	24.9
ჩართვა არავითარ ხელშესახებ შედეგს არ მოიტანდა	-	1.7
ეს არ არის კერძო მოქალაქის ფუნქცია	-	0.2
ინფორმაციის არქონა, თუ ტარდებოდა ტენდერი	-	3.1
სხვა	1.5	-
მიჭირს პასუხის გაცემა	8.6	4.2
უარი პასუხზე	-	0.4

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტებს გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება სხვადასხვა არხით სურთ. ესენია ონლაინ მედია, სოციალური ქსელები, სატელევიზიო გადაცემები, ბუკლეტები, ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები და შეხვედრები. ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ინფორმაციის გავრცელება პოსტფაქტუმ არ უნდა ხდებოდეს - მოსახლეობის აზრი უნდა ისმოდეს პროექტების დაგეგმვამდე, რათა ცვლილებები უკეთესად მოერგოს ადგილობრივ რეალობას.

რესპონდენტთა ერთი ნაწილის აზრით, მწვანე ტრანზიციის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს სახელმწიფოსა და თვითმმართველობების უფრო აქტიურ როლს, რისთვისაც საჭიროა საინფორმაციო კამპანიები, სადაც მოქალაქეები გაეცნობიან მწვანე ეკონომიკის სარგებელს, წარმატებულ მაგალითებს სხვა ქვეყნებიდან და შესაძლო პროფესიულ გზებს ამ სფეროში. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ განათლების სისტემაშიც, სკოლისა და კოლეჯის საფეხურებზე, უნდა იყოს ინტეგრირებული საგანი ან კურსი, რომელიც ახალგაზრდებში გააღრმავებს ცოდნას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ და მოამზადებს მათ მომავალი პროფესიებისთვის.

ფოთში მცხოვრები **დევენილების** შეფასებით, მწვანე ტრანზიციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტს. მაგალითად, როგორ შეიძლება მოქალაქეებმა

მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესებში, რა განათლება ან უნარები სჭირდებათ, და სად შეუძლიათ ამ შესაძლებლობების მოძიება.

„მინდა ვიცოდე, რა მიმართულებით შეიძლება დაინერგოს მწვანე ტრანზიციის მანქანებზე და პანელზე მსმენია, მაგრამ შეიძლება სხვა მიმართულებებიც იყოს, რაც სხვა ქვეყნებშია დანერგილი და ჩვენც შეგვიძლია გადმოვიტანოთ და განვავითაროთ.“ (24 წლის დევნილი ქალი; ფოთი)

განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა გადამზადებისა და პროფესიული ტრენინგებისადმი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა ახალი ცოდნის საფუძველზე დასაქმების.

„მინდა მქონდეს გადამზადების საშუალება, რომ შეეძლოს ნებისმიერ ადამიანს მიღება ამ ცოდნის და სამსახურის დაწყება.“ (31 წლის დევნილი კაცი; ფოთი)

სობელი დევნილები იზიარებენ ფოთელების მოსაზრებას და მიიჩნევენ, რომ სწორად მიწოდებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის მოტივაციას, მათ ჩართულობას და ადგილობრივ დონეზე მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობების დანახვას. აგრეთვე, აღინიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ხელს შეუწყობდა ნდობის გაზრდასა და პროცესების უკეთ გაგებას.

„მათი მაგალითების ჩვენება, როგორ დაიწყეს და როგორ გაუმკლავდნენ, კარგი იქნებოდა. ხალხმა უნდა ნახოს, რომ ეს შესაძლებელია.“ (29 წლის დევნილი ქალი. ფოთი)

ფოთის დევნილების ფოკუს ჯგუფში განსაკუთრებით ხაზი გაესვა ონლაინ შეხვედრებისა და დისტანციური ფორმატის მნიშვნელობას, რაც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მარტივად ჩაერთონ პროცესებში. ასევე აღინიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა და სამოქალაქო სექტორი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ინფორმაციის გავრცელებაში.

სობელმა დევნილებმა აღნიშნეს, რომ უშუალო კომუნიკაცია და გასვლითი შეხვედრები ინფორმაციის გავრცელების ყველაზე შედეგიანი ფორმაა. რამდენიმე მონაწილემ გამოხატა უნდობლობა მედია საშუალებების მიმართ და აღნიშნა, რომ სჯობს ინფორმაცია პირადად გადამზადებული სპეციალისტებისგან მიიღონ.

„მე არ ვენდობი მედიასაშუალებებს. ყოველთვის მართალი არ არის, ამიტომ მირჩევნია უშუალოდ ადამიანთან საუბარი.“ (54 წლის დევნილი ქალი. ფოთი)

მშპ პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ თემი ზოგადად არაინფორმირებულია სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ და ეს, მათ შორის, მწვანე ტრანზიციასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხება.

„ეს (მწვანე ტრანზიციის) პირველად მესმის დღეს, თქვენგან გავიგე. საინტერესოც არის და დასაფიქრებელიც.“ (43 წლის მშპ ქალი; ფოთი)

მწვანე ტრანზიციასთან დაკავშირებით შშმ პირებს აინტერესებთ სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის რა შესაძლებლობები არსებობს, როგორ შეიძლება მათი ჩართვა მწვანე ეკონომიკაში და რა საქმიანობებს მოიცავს, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მათი დასაქმება.

შშმ პირებში ინფორმაციის მიღების მთავარ არხად დასახელდა სოციალური ქსელები, რაც ყველაზე ხელმისაწვდომ და ყოველდღიურ წყაროს წარმოადგენს. მონაწილეები სოციალურ მედიას იყენებენ როგორც ახალი ამბების გასაგებად, ისე გარემოსდაცვითი ინიციატივების გასაცნობად. მონაწილეებში გამოიკვეთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინფორმაციის მისაღებად უფრო მნიშვნელოვანია ციფრული სივრცე, სადაც ინფორმაცია სწრაფად და მრავალფეროვნად ვრცელდება. თუმცა აღიარებენ იმასაც, რომ ონლაინ სივრცეში არსებული ინფორმაცია ყოველთვის ზუსტი არ არის.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მხოლოდ ინფორმაციის გავრცელება არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადამიანი ან ჯგუფი, ვინც განმარტავს ცვლილებების არსს და უპასუხებს მოქალაქეთა შეკითხვებს. უკუკავშირი განიხილება როგორც ინფორმაციის გამყარების აუცილებელი ელემენტი.

„ინფორმაცია კი გავრცელდება სოციალური ქსელით, მაგრამ უკუკავშირი ყველაზე მნიშვნელოვანია. როცა კითხვა მიჩნდება, ტელევიზია ვერ მიპასუხებს.“ (24 წლის შშმ ქალი)

ორივე მუნიციპალიტეტში შშმ პირებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდება მოითხოვს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობას. რესპონდენტების შეფასებით, საჭირო არის ტრენინგები, თემის შეხვედრები და სპეციალისტების ვიზიტები, სადაც მოსახლეობას, მათ შორის შშმ პირებს ექნებათ საშუალება უშუალოდ დასვან კითხვები და მიიღონ ამომწურავი პასუხები.

სხვა ჯგუფების მსგავსად, ფოთის და ხობის **ხანდაზმულთა** ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მწვანე ტრანზიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებ ხელმისაწვდომობას და საკითხების შესახებ დაბალ ცნობიერებას. ხანდაზმულებს აინტერესებთ სარგებელი, რომლის მომტანი არის მწვანე ტრანზიციის.

„მინტერესებს რატომ არის უკეთესი, რა შედეგები მოაქვს და ასე შემდეგ. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ შემდეგ შევაფასოთ კარგია თუ არა.“ (77 წლის ქალი. ფოთი)

ხანდაზმულები ინფორმაციის მიღებას ამჯობინებენ ტრადიციული მედია საშუალებებით, როგორებიცაა ტელევიზია და რადიო.

მონაწილეთა შეფასებით, ქალაქში არ არსებობს ისეთი საინფორმაციო სივრცე ან ბიურო, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ მივიდნენ და მიიღონ კონსულტაცია გარემოსდაცვით საკითხებზე. ეს გამოწვევად მიიჩნევა, რადგან ხანდაზმულები ნაკლებად სარგებლობენ ციფრული ტექნოლოგიებით, ხოლო ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არ არსებობს.


ხანდაზმულების აზრით, ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს მარტივი, გასაგები და პრაქტიკულ ფორმატში. ხანდაზმულები, დანარჩენი ჯგუფების მსგავსად, მიიჩნევენ, რომ

ინფორმაციის მისაწოდებლად საჭიროა საკონსულტაციო და საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება, სადაც გამოცდილი სპეციალისტები მიაწვდიან ინფორმაციას და გაუზიარებენ პრაქტიკულ გამოცდილებას ადგილობრივ მოსახლეობას.

7. მწვანე ეკონომიკა


ტერმინის "მწვანე ეკონომიკა" შესახებ ფოთსა (85.3%) და ხობში (82.1%) გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას არაფერი სმენია (იხ. დიაგრამა #7.1).

დიაგრამა #7.1




სქესის ჭრილში საკითხის ანალიზი ცხადყოფს, რომ **ფოთში** გამოკითხული ქალების 90.1%-ს არაფერი სმენია ტერმინის "მწვანე ეკონომიკა" შესახებ, კაცების სეგმენტში ასეთთა წილი შედარებით დაბალია - 79.4%. რაც შეეხება ისეთ რესპონდენტთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც ამ ტერმინის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ, ქალების ჯგუფში 9.9%-ია, რასაც ორჯერ აღემატება ინფორმაციის მქონე კაცების წილი - 20.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=4.998$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.2).

დიაგრამა #7.2




საპირისპირო ტენდენცია ვლინდება **ხობის** მუნიციპალიტეტში. კერძოდ, ქალები (26.2%) უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას ტერმინის "მწვანე ეკონომიკა" შესახებ, ვიდრე კაცები (8.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=9.173$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.3).

დიაგრამა #7.3




გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში დაახლოებით 85%-ს უტოლდება მათი წილი, რომელთაც არ სმენიათ ტერმინი "მწვანე სამუშაო ადგილები" (იხ. დიაგრამა #7.4).

დიაგრამა #7.4



ხოზში გამოკითხულთა სქესის ჭრილში საკითხის ანალიზის თანახმად, ქალები უფრო მეტად არიან ინფორმირებული ტერმინის "მწვანე სამუშაო ადგილები" მნიშვნელობის/შინაარსის შესახებ, ვიდრე კაცები (ქალი - 21.2%; კაცი - 7.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=6.681$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.5).

დიაგრამა #7.5



გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებმა დაასახელეს, რომელი ეკონომიკური სექტორებია ყველაზე პერსპექტიული მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების თვალსაზრისით. სტატისტიკური მონაცემების თანხმად, ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში პოზიციონირებს მდგრადი სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სექტორი (ფოთი - 33%; ხობი - 48.5%), რასაც მოსდევს ნარჩენების გადამუშავება (ფოთი - 31.4%; ხობი - 32.9%). ასევე, პრიორიტეტულ ეკონომიკურ სფეროებად გამოიყო მდგრადი ტურიზმი/ეკოტურიზმი, მდგრადი ტრანსპორტი/ლოგისტიკა და განახლებადი ენერჯია. (იხ. ცხრილი #7.1).

ცხრილი #7.1

რომელი სექტორებია საქართველოში ყველაზე პერსპექტიული მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების თვალსაზრისით? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	15.3	23.4
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	33	48.5
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	21.4	23.1
ნარჩენების გადამუშავება	31.4	32.9
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	20.3	2.6
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	4.1	3.5
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	2.3	4.3
სხვა	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	22.1	15.6
უარი პასუხზე	-	0.3

ხობში გამოკითხულთა სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ ქალები მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების კუთხით ყველაზე პერსპექტიულ ეკონომიკურ სექტორად მდგრად სოფლის მეურნეობას/თევზჭერას ასახელებენ (78.6%), მეორე და მესამე მნიშვნელოვან დარგებად კი ნარჩენების მართვასა (33.9%) და მდგრად ტურიზმს/ეკოტურიზმს (23%). პერსპექტიულობის თვალსაზრისით პირველი რიგის სექტორად კაცების ჯგუფშიც სოფლის მეურნეობის/თევზჭერის დარგი პოზიციონირებს (46.8%), რასაც მოსდევს განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა (35.6%), ნარჩენების გადამუშავება (32%) და მდგრადი ტურიზმი/ეკოტურიზმი (23.1%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=19.346$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.2).

ცხრილი #7.2

რომელი სექტორებია საქართველოში ყველაზე პერსპექტიული მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების თვალსაზრისით? (ხობი, ასაკის ჭრილი) (%)	ქალი (N=114)	კაცი (N=81)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	11.4	35.6
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	50.2	46.8
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	23	23.1
ნარჩენების გადამუშავება	33.9	32
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	3.6	1.6
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	4.1	2.8
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	4.3	4.2
სხვა	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	21.4	9.7
უარი პასუხზე	0.5	-

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ფოთისა და ხობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ ტერმინის „მწვანე ტრანზიციის“ შესახებ მონაწილეებს არ სმენიათ და, შესაბამისად, არც მისი მნიშვნელობა იციან. თუმცა, ასოციაციურად რესპონდენტებმა „მწვანე ტრანზიციის“ დაუკავშირეს სუფთა ჰაერს, წყალს, ნარჩენების მართვას, ენერგოეფექტიანობას და ადგილობრივი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. მოდერატორის მიერ „მწვანე ტრანზიციის“ ცნების განმარტების შემდეგ, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა გაიგეს მეტი მწვანე ტრანზიციის ეკოლოგიური და სოციალური ღირებულებისა და პოტენციალის შესახებ და დადებითად განეწყვნენ. თუმცა, ფოკუს ჯგუფებში დომინირებდა სკეპტიციზმი მწვანე ტრანზიციის განხორციელების რეალურობის შესახებ.

რესპონდენტების შეფასებით, მწვანე ტრანზიციის მიზნების მისაღწევად საჭიროა ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. მონაწილეთა ერთ ნაწილში არსებობს მსგავს ინიციატივებში ჩართვის სურვილი, თუმცა მათი აქტიურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე, განათლებაზე და სახელმწიფო პოლიტიკაზე.

ფოკუს ჯგუფების შედეგები აჩვენებს, რომ მწვანე ტრანზიციის, როგორც ახალი მიმართულება, ამ ეტაპზე აღიქმება იდეალად. თუმცა, განხორციელების შემთხვევაში, ის შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური განახლების საფუძვლად.

როგორც აღინიშნა, რესპონდენტებს, მათ შორის **დევნილებს**, „მწვანე ტრანზიციის“ შესახებ არ ჰქონდათ გაგებული. თუმცა რესპონდენტები ხედავენ პირდაპირ კავშირს ეკოლოგიურად ჯანსაღ გარემოსა და ცხოვრების ხარისხს შორის. მათთვის მწვანე ტრანზიციის ნიშნავს სისუფთავეს, მოწესრიგებულ ურბანულ სივრცესა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. მაგალითად, როგორებიცაა მზის ენერჯის გამოყენება და ნარჩენების გადამუშავების სისტემების შექმნა.

„მწვანე ტრანზიციის ძალიან კარგი იდეაა, რადგან ეკოლოგიას დაიცავს და სუფთა გარემოსთან მიგვიყვანს. თუ მონდომება იქნება, ამის გაკეთება შეიძლება, უბრალოდ, რამდენად რეალურია ამ ეტაპზე, არ ვიცი.“ (54 წლის დევნილი ქალი; ფოთი)

დევნილები იაზრებენ, რომ მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, როგორებიცაა მზის პანელები ან ელექტრო სატრანსპორტო სისტემა, მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერჯის ხარჯს და შექმნის უფრო ჯანსაღ გარემოს. მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა განსაკუთრებით აქტუალურია ფოთში, სადაც ინდუსტრიული საწარმოებიდან გამომავალი დაბინძურება მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ამრიგად, დევნილები ხაზს უსვამენ ეკოლოგიური კონტროლის აუცილებლობას და სარგებელს, რაც სუფთა ენერჯიაზე გადასვლა მუნიციპალიტეტისთვის მოიტანს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მწვანე ტრანზიციის ერთ-ერთ მთავარი უპირატესობა არის ენერგოეფექტიანობის გამოყენების შედეგად ხარჯების შემცირება. რესპონდენტებისთვის ეს პირდაპირ აისახება ოჯახის ბიუჯეტზე. კერძოდ, ნაკლები ენერგომომხმარება, სუფთა სასმელი წყალი, მოწესრიგებული კანალიზაცია და ჯანმრთელი გარემო აღიქმება როგორც სოციალური კეთილდღეობის ზრდის ფაქტორი.

მიუხედავად მწვანე ტრანზიციის იდეის მოწონებისა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სკეპტიკური არიან განხორციელების მიმართ და მკაფიოდ გამოყვეს ძირითადი სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის მწვანე ტრანზიციის განხორციელებას.

პირველ რიგში დასახელდა ფინანსური ხელმისაწვდომობა - ტექნოლოგიების (მზის პანელები, ქარის სადგურები, ელექტრო სატრანსპორტო სისტემა) მაღალი ღირებულება, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებად მიიჩნევა. ხობში სეზონურ შემოსავლებზე დამოკიდებული ოჯახები ფინანსურად მიუწვდომლად აღიქვამენ მაღალი ტექნოლოგიების შეძენას.

„მზის პანელების დამონტაჟება ძალიან კარგია, მაგრამ ეს თანხასთან არის დაკავშირებული. მოსახლეობა ვერ შეძლებს, რადგან სეზონურ შემოსავალზეა დამოკიდებული.“ (30 წლის დევნილი კაცი. ხობი)

მეორე სირთულე უკავშირდება ინფრასტრუქტურულ მოუმზადებლობას. მაგალითად, აღინიშნა, რომ არ არსებობს ელექტრომანქანების დამუხტავი სადგურები, ნაგვის სეპარაციისა და გადამუშავების სისტემა არასრულყოფილია, ხოლო ინდუსტრიული ობიექტები კვლავ გარემოს დაბინძურების წყაროდ რჩება.

კიდევ ერთი სირთულე შეეხება მოსახლეობის უნარებისა და განათლების დეფიციტის. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მწვანე ტრანზიციის წარმატებისთვის აუცილებელია პროფესიული განათლების გაძლიერება, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

„კვალიფიცირებული კადრები უნდა იყოს. პროგრამები და კურსები უნდა ისწავლონ ადგილობრივებმა, და მერე მარტივი იქნება განხორციელება. თუ ეს ტენდენცია წამოვა, შედეგზე უკეთესი იქნება.“ (31 წლის დევნილი კაცი. ფოთი)

რესპონდენტები ეჭვს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გააჩნია სახელმწიფოს ნება, რომ განახორციელოს მწვანე ტრანზიცია საქართველოში.

„არგად ჟღერს, მაგრამ ფოთში ეს მომდევნო 100 წელი წარმოუდგენელია. ქალაქი, სადაც ამდენი ფული კეთდება და ელემენტარულად თევზის ქარხანაზე ფილტრი არ დააყენეს, იქ გარემოზე ზრუნვა ცოტა არარეალურია ახლო მომავალში.“ (54 წლის დევნილი ქალი. ფოთი)

დევნილებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა რამდენიმე მცირე მასშტაბის ინიციატივა გარემოსდაცვითი მიმართულებით. მაგალითად, ფოთში დაიწყო სანაპიროს რეგულარული წმენდა, სკოლებში დაიდგა სპეციალური ყუთები ელექტრონული ნარჩენების შესაგროვებლად, ხოლო LED განათებები, ენერჯის დაზოგვის მიზნით, აქტიურად გამოყენება.

დევნილების მსგავსად, მწვანე ტრანზიცია სიახლე იყო **შშმ პირებისთვისაც**. ცნების მნიშვნელობის გაცნობის შემდეგ, ორივე მუნიციპალიტეტის შშმ პირებმა მოიწონეს მისი იდეა.

აღსანიშნავია, რომ „მწვანე ტრანზიციის“ შპმ პირებისთვის არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ შესაძლებელია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების მომცემი გახდეს. კერძოდ, მწვანე პოლიტიკებით მოხდება კლიმატურ სტრესზე ადაპტაცია, გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხელი შეეწყობა შპმ პირების დამოუკიდებელ ცხოვრებასა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

დევენილების მსგავსად, შპმ პირებიც მიესალმებიან მზის ენერჯის გამოყენებას, გამწვანებას, ნარჩენების მართვასა და ეკოლოგიური ტრანსპორტის დანერგვას. შპმ პირებში პრიორიტეტად დასახელდა სკვერების მოწყობა, ბინებთან ახლოს მცირე ბაღების/სარეკრეაციო სივრცეების შექმნა, დამცავი გამწვანების ზოლების მოწყობა და საზოგადოებრივი შენობების ხელმისაწვდომობა.

„აუცილებელია ეს ყველაფერი [მწვანე ტრანზიციის] გაკეთდეს კლიმატის ცვლილებისთვის, პატივი უნდა სცენ ადამიანებმა ბუნებას. მცენარეები და ხეები უნდა დაირგოს, მზის პანელები უნდა დამონტაჟდეს, ფოთში ყველაზე მეტად არის დაბინძურებული გარემო და აუცილებელია ამით მაინც დავიზღვიოთ თავი.“ (43 წლის შპმ ქალი; ფოთი)

მეორე მხრივ, შპმ პირებში თვალსაჩინო იყო სკეპტიციზმი მწვანე პროექტების განხორციელების რეალისტურობასთან დაკავშირებით. შპმ პირებმა გაიმეორეს ის სირთულები, რაც დევენილებმა დაასახელეს ფოკუს ჯგუფების დროს. ესენია მწვანე მიმართულებით უნარებისა და განათლების დეფიციტი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში, ფინანსური სიძვირე და ხელისუფლებაში ნების არარსებობა.

შპმ პირები შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, გამოთქვამენ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართვის მზადყოფნას. მათი შეფასებით, სასურველია მცირე გრანტების გაცემა და ტექნიკური მხარდაჭერა. რესპონდენტებს აქვთ პრაქტიკული და გასაგები საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით ინფორმაციის მიღების სურვილი. კერძოდ, რა ზემოქმედება აქვს თითოეულ ტექნოლოგიას ჯანმრთელობაზე და კლიმატზე; როგორ იწარმოება ენერჯია, როგორ იკლებს გადასახადები, რა არის უსაფრთხოების სტანდარტები, როგორ აისახება მწვანე ტრანზიციის სხვადასხვა ჯგუფებზე, მათ შორის შპმ პირებზე და ა.შ.

სხვა ჯგუფების მსგავსად, **ხანდაზმულებმა** ტერმინის - „მწვანე ტრანზიციის“ - შინაარსი არ იციან, თუმცა ხანდაზმულებმა ტერმინის მნიშვნელობა ასოციაციურად დაუკავშირეს ბუნების დაცვას, განახლებადი ენერჯის გამოყენებას და დაბინძურების შემცირებას. მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მათთვის ორმაგ სარგებელს მოიტანდა, როგორც ეკონომიკური, ისე ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.

„მზის პანელები მზისგანაც დაიცავდა, გადახურებასაც შეამცირებდა, ელექტროენერჯიას მოგვცემდა, გაზი აღარ დაგჭირდებოდა და გათბობასაც მოაწყობდი ამაზე. ყველაფერს დაზოგავდი, მაგრამ ჩვენს შემოსავალთან შედარებით ამის გაკეთება ძვირია.“ (63 წლის კაცი. ფოთი)


რესპონდენტებმა მწვანე ტრანზიციის მიდგომა მოიწონეს იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ფოთში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი სანიტარული

და საფილტრაციო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრე, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა), ხობში სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები, მოუვლელი ტყე და შეშის მოხმარება საჭიროებს ყურადღებას. სხვა ჯგუფების მსგავსად, ხანდაზმულებში არის განცდა, რომ მწვანე ტრანზიციის განხორციელება ამ ეტაპზე რეალისტური არ არის. თუმცა, რესპონდენტებს სურთ მტი ინფორმაციის მიღება მწვანე ტრანზიციის შესახებ, რომ გასაგები გახდეს მისი განხორციელების რეალისტურობა.

„სიმათლე რომ გითხრათ, არ მსმენია მწვანე ტრანზიციის შესახებ, მაგრამ ალბათ ბუნების დაცვასთან არის დაკავშირებული. რაც თქვით, ეს გადასარევი რაღაც არის, ნაკლებ შემას მოვიხმართ, მაგრამ ჩვენისთანა ხალხი ამას ვერ გაუმკლავდება“ (63 წლის კაცი. ხობი)


ფოთსა (94.2%) და ხობში (95.2%) გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის გამოცდილება აჩვენებს, რომ მათ ან მათი ოჯახის რომელიმე წევრს არ ჰქონია ისეთი დასაქმების გამოცდილება, რომელიც შეიძლება „მწვანე სამუშაოდ“ ჩაითვალოს (იხ. დიაგრამა #7.6).

დიაგრამა #7.6



ხობში გამოკითხულთა **ასაკის** ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდა რესპონდენტებს ან მათ ოჯახის წევრებს უფრო მეტად აქვთ მწვანე სამუშაო ადგილებზე დასაქმების გამოცდილება, ვიდრე 30+ ასაკის რესპონდენტებს/მათ ოჯახის წევრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სამიზნე ჯგუფში ძალიან მაღალია ასეთი გამოცდილების არმქონეთა წილი (18-29 წლის - 86.4%; 30+ წლის - 98.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=10.352$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.7).

დიაგრამა #7.7



კვლევის შედეგების მიხედვით ფოთსა და ხობში გამოკითხულთა დიდ ნაწილს სანაცნობო წრეში (თემი, სამეზობლო, სანათესაო) არ ჰყავს ქალი, რომელიც დასაქმებულია ისეთ სამსახურში, რომელიც შეიძლება “მწვანე სამუშაოდ ჩაითვალოს” (ფოთი - 83.7%; ხობი - 90.8%) (იხ. ცხრილი #7.3).

ცხრილი #7.3

იცნობთ თუ არა თქვენ გარშემო (თემში, სამეზობლოში, სანათესაოში) ისეთ სამუშაოზე დასაქმებულ ქალებს, რომელიც შეიძლება „მწვანე სამუშაოდ“ ჩაითვალოს? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
დიახ, ბევრს (≥ 10-ზე)	-	-
დიახ, რამდენიმეს (< 10-ზე)	3.1	0.6
მხოლოდ 1-2-ს	12.8	7.4
არ ვიცი	83.7	90.8
მიჭირს პასუხის გაცემა	0.4	1.2
უარი პასუხზე	-	-

ზემოთქმულის მსგავსი ტენდენცია მეორდება სანაცნობო წრეში “მწვანე სამუშაოზე” დასაქმებული კაცების ყოლა/არყოლის საკითხის შეფასების ფარგლებში. კერძოდ, ფოთში გამოკითხულთა 84.6% და ხობში - 87.7% აცხადებს, რომ მსგავსი ტიპის სამსახურში დასაქმებული პირი, კერძოდ კაცი, არ ჰყავთ სამეზობლოში/თემში/სანაცნობოში (იხ. ცხრილი #7.4).

ცხრილი #7.4

იცნობთ თუ არა თქვენ გარშემო (თემში, სამეზობლოში, სანათესაოში) ისეთ სამუშაოზე დასაქმებულ კაცებს, რომელიც შეიძლება „მწვანე სამუშაოდ“ ჩაითვალოს? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
დიახ, ბევრს (≥ 10-ზე)	-	-
დიახ, რამდენიმეს (< 10-ზე)	3.5	1.2
მხოლოდ 1-2-ს	11	9.9
არ ვიცი	84.6	87.7
მიჭირს პასუხის გაცემა	0.9	1.2
უარი პასუხზე	-	-

ფოთში გამოკითხული **ქალების** აბსოლუტური უმრავლესობა (91.7%) თემში/სანათესაოში სამეზობლოში არ იცნობს ისეთ კაცებს, რომლებიც მწვანე სამუშაო ადგილებზე დასაქმებულებად

შეიძლება ჩაითვალოს; ასეთთა წილი კაცების ჯგუფში 76.2%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=12.281$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.5).

ცხრილი #7.5

იცნობთ თუ არა თქვენ გარშემო (თემში, სამეზობლოში, სანათესაოში) ისეთ სამუშაოზე დასაქმებულ კაცებს, რომელიც შეიძლება „მწვანე სამუშაოდ“ ჩაითვალოს? (ფოთი, სქესის ქრილი) (%)	ქალი (N=123)	კაცი (N=72)
დიახ, ბევრს (≥ 10 -ზე)	-	-
დიახ, რამდენიმეს (< 10-ზე)	3.3	4
მხოლოდ 1-2-ს	5	17.8
არ ვიცნობ	91.7	76.2
მიჭირს პასუხის გაცემა	-	2
უარი პასუხზე	-	-

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოკითხულ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის პოზიციის გათვალისწინებით „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებაში ხელისშემშლელი პირველი რიგის ფაქტორი შესაბამისი განათლების ნაკლებობაა (ფოთი - 44.2%; ხობი - 48.1%), მეორე რიგის მიზეზად კი „მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა გამოიკვეთა (ფოთი - 21.6%; ხობი - 26.8%) (იხ. ცხრილი #7.6).

ცხრილი #7.6

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
შესაბამისი განათლების ნაკლებობა	44.2	48.1
საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა	5.7	9.1
კულტურული სტერეოტიპები (მაგ., „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“)	3.1	2.3
„მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა	21.6	26.8
საგანმანათლებლო რესურსებზე (ტრენინგები და სხვ.) დაბალი ხელმისაწვდომობა	5	5.3
„მწვანე“ სამუშაო ადგილების მიმართ დაბალი ინტერესი	8.4	4.4
უინიციატივობა/სიზარმაცე	6.2	8
სხვა	-	-
ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს	16	9.3
მიჭირს პასუხის გაცემა	14.9	19
უარი პასუხზე	3	0.3

რესპონდენტთა ასაკის მიხედვით, ფოთში გამოკითხულთა შეფასებების დიფერენცირება აჩვენებს, რომ ახალგაზრდების 35.3% აზრით, „მწვანე სამუშაოებზე“ დასაქმების კუთხით შემაფერხებელ მიზეზებს შორის წამყვანი შესაბამისი განათლების ნაკლებობაა, რასაც 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ჯგუფში კი 47.8% იზიარებს. ამ უკანასკნელთა ჯგუფში მეორე რიგის მიზეზად „მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა დასახელდა (24.8%). ახალგაზრდების 25.2%-ს შეკითხვაზე პასუხის დაფიქსირება გაუჭირდა, 14.3%-მა აღნიშნა, რომ ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს, რასაც 30+ ასაკის რესპონდენტთა 16.6% იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=32.481$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.7).

ცხრილი #7.7

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (ფოთი, ასაკის ქრილი) (%)	18-29 წლის (N=35)	30+ წლის (N=160)
შესაბამისი განათლების ნაკლებობა	35.3	47.8
საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა	7.8	4.8
კულტურული სტერეოტიპები (მაგ., „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“)	7.1	1.5

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (ფოთი, ასაკის ქრილი) (%)	18-29 წლის (N=35)	30+ წლის (N=160)
„მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა	13.6	24.8
საგანმანათლებლო რესურსებზე (ტრენინგები და სხვ.) დაბალი ხელმისაწვდომობა	7.3	4.1
„მწვანე“ სამუშაო ადგილების მიმართ დაბალი ინტერესი	-	11.7
უნიციტივობა/სიზარმაცე	3.6	7.3
სხვა	-	-
ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს	14.3	16.6
მიჭირს პასუხის გაცემა	25.2	10.7
უარი პასუხზე	-	4.2

„მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმების ხელისშემშლელ რიგით პირველ ფაქტორად, როგორც 18-29 წლის (51.9%), ასევე, 30 წლის ან უფროსი ასაკის (46.8%) რესპონდენტთა მიერ - შესაბამისი განათლების ნაკლებობა სახელდება **ხობშიც**. ახალგაზრდების ჯგუფში მეორე და მესამე მიზეზად საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა (20.6%) და უნიციტივობა/სიზარმაცე (15.8%) დასახელდა, 17.4%-ს კი გაუჭირდა შეკითხვაზე პასუხის გაცემა. 30+ ასაკის რესპონდენტთაგან ყოველი მესამე მიუთითებს „მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობაზე (34.5%). ამავე ჯგუფში 19.6%-ს გაუჭირდა შეკითხვაზე პასუხის გაცემა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=37.221$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.8).

ცხრილი #7.8

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (ხობი, ასაკის ქრილი) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
შესაბამისი განათლების ნაკლებობა	51.9	35.5
საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა	20.6	3.8
კულტურული სტერეოტიპები (მაგ., „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“)	5.9	0.8
„მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა	5.2	26.1
საგანმანათლებლო რესურსებზე (ტრენინგები და სხვ.) დაბალი ხელმისაწვდომობა	3.2	4.6
„მწვანე“ სამუშაო ადგილების მიმართ დაბალი ინტერესი	7.5	2.5
უნიციტივობა/სიზარმაცე	15.5	4.1
სხვა	-	-
ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს	7.7	9.8
მიჭირს პასუხის გაცემა	17.4	19.6
უარი პასუხზე	-	0.4

ფოთში გამოკითხულ რესპონდენტთა **სქესის** ქრილში საკითხის ანალიზის მიხედვით, იმ კაცებისა და ქალების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის, რომლებიც „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმების შემაფერხებელ ფაქტორად შესაბამისი განათლების ნაკლებობას ასახელებენ უმნიშვნელო სხვაობა ვლინდება (ქალი - 46.8%; კაცი - 41.2%). ამასთან, მეორე რიგის მიზეზად „მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობას ასახელებს ქალების 26.6% და კაცების 15.6%. ქალების ჯგუფში 15% მიიჩნევს, რომ „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმების კუთხით ხელისშემშლელი ფაქტორი არ არსებობს, რასაც ეთანხმება კაცების 17.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=25.470$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.9).

ცხრილი #7.9

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (ფოთი, სქესის ქრილი) (%)	ქალი (N=123)	კაცი (N=72)
შესაბამისი განათლების ნაკლებობა	46.8	41.2
საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა	8.5	2.3
კულტურული სტერეოტიპები (მაგ., „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“)	4.2	1.8
„მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა	26.6	15.6
საგანმანათლებლო რესურსებზე (ტრენინგები და სხვ.) დაბალი ხელმისაწვდომობა	5.3	4.6
„მწვანე“ სამუშაო ადგილების მიმართ დაბალი ინტერესი	5.8	11.4
უინიციატივობა/სიზარმაცე	3.4	9.6
სხვა	-	-
ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს	15	17.1
მიჭირს პასუხის გაცემა	13.2	16.8
უარი პასუხზე	-	6.5

ხობში, ფოთის მუნიციპალიტეტის მსგავსად, როგორც ქალების, ასევე კაცების სეგმენტში რესპონდენტთა აზრით, “მწვანე” სამუშაო ადგილებზე დასაქმებას ყველაზე მეტად შესაბამისი განათლების ნაკლებობა ართულებს (ქალი - 51%; კაცი - 45.2%). ამასთან, მეორე საკვანძო ფაქტორად “მწვანე” სამუშაო ადგილების ნაკლებობა ფიქსირდება (ქალი - 29%; კაცი - 24.6%). უნდა აღინიშნოს, რომ ბარიერების დასახელება გაუჭირდა ქალების 19.3%-ს და კაცების 18.7%-ს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=22.892$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.10).

ცხრილი #7.10

თქვენი აზრით, რა უშლით ხელს ადამიანებს „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმდნენ? (ხობი, სქესის ქრილი) (%)	ქალი (N=114)	კაცი (N=81)
შესაბამისი განათლების ნაკლებობა	51	45.2
საოჯახო საქმეებით გადატვირთულობა	14.6	3.4
კულტურული სტერეოტიპები (მაგ., „ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს“)	4.6	-
„მწვანე“ სამუშაო ადგილების ნაკლებობა	29	24.6
საგანმანათლებლო რესურსებზე (ტრენინგები და სხვ.) დაბალი ხელმისაწვდომობა	4	6.7
„მწვანე“ სამუშაო ადგილების მიმართ დაბალი ინტერესი	8.4	0.4
უინიციატივობა/სიზარმაცე	4.5	11.6
სხვა	-	-
ხელის შემშლელი ფაქტორები არ არსებობს	6.7	11.8
მიჭირს პასუხის გაცემა	19.3	18.7
უარი პასუხზე	0.5	-

„მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმების ხელისშემშლელ ფაქტორებად დასახელებული მიზეზები, ორივე სამიზნე გეოგრაფიულ ერთეულში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის შეფასებით, თანაბრად უშლის ხელს როგორც ქალებს, ასევე, კაცებს რომ დასაქმდნენ “მწვანე” სამუშაო ადგილებზე (იხ. ცხრილი #7.11).

). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალებისთვის მწვანე სამუშაო ადგილებზე დასაქმება დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც გამოწვეულია შრომის ბაზარზე არსებული ჰორიზონტალური სეგრეგაციით. ბოლო წლების მონაცემებით, მსოფლიოში ქალები განახლებადი ენერჯის სფეროში მომუშავე სამუშაო ძალის მხოლოდ 32%-ს შეადგენენ და წყალმომარაგების

კომპანიებში მენეჯერების მხოლოდ 23%-ს წარმოადგენენ.⁷ ამავედროულად, ქალები უფრო მეტად კლიმატის ცვლილების მიმართ დაუცველ სექტორებში არიან კონცენტრირებულნი. დადგენილია, რომ ქალები გლობალური სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძალის 48%-ს შეადგენენ და გლობალურ თევზის გადამუშავების სექტორში 85%-ით დომინირებენ, თუმცა მათი წვლილი ხშირად არასტაბილური და დაბალანაზღაურებადია. კლიმატის ცვლილების ზემოქმედების სამომავლო გაუარესების გამო, ამ სექტორების პროდუქტიული პოტენციალი შემცირდება, რაც ქალი მშრომელების ხელფასს კიდევ უფრო შეამცირებს.⁸ აღნიშნული კი მიუთითებს ქალების დამატებით მოწყვლადობაზე და „მწვანე“ სამუშაოებისთვის ქალების მომზადებისა და გადამზადების მიზნობრივი პროგრამების საჭიროებაზე, რათა მათ შეძლონ კონკურენციის გაწევა.

⁷ The World Bank (2022). Green jobs for women can combat the climate crisis and boost equality.

ხელმისაწვდომია: <https://blogs.worldbank.org/en/climatechange/green-jobs-women-can-combat-climate-crisis-and-boost-equality>

⁸ იქვე

ცხრილი #7.11

როგორ ფიქრობთ, ის ფაქტორები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის, კაცებისთვის, თუ ორივესთვის თანაბრად? (%)	ფოთი (N=129)	სობი (N=130)
უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის	9.7	15
უფრო მეტად დამაბრკოლებელია კაცებისთვის	2	4.3
თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის	80.2	73.9
მიჭირს პასუხის გაცემა	8	6.8
უარი პასუხზე	-	-

ასაკის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ, **ფოთში** გამოკითხული ორივე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა გამოკვეთილი უმრავლესობის აზრით, „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები თანაბრად დამაბრკოლებელია, როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის: 18-29 წლის - 84.2%, 30+ წლის - 79.6%) (სტატისტიკური სანდოობა გათვალისწინებულია მთლიანი შერჩევის ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #7.12).

ცხრილი #7.12

როგორ ფიქრობთ, ის ფაქტორები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის, კაცებისთვის, თუ ორივესთვის თანაბრად? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=20)	30+ წლის (N=109)
უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის	7.9	10.2
უფრო მეტად დამაბრკოლებელია კაცებისთვის	2.6	1.9
თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის	84.2	79.6
მიჭირს პასუხის გაცემა	5.3	8.3
უარი პასუხზე	-	-

მედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

სობშიც, ფოთის მუნიციპალიტეტის მსგავსად, ორივე სამიზნე ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ყველაზე დიდი ნაწილის აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები თანაბრად უშლის ხელს კაცებისა და ქალების დასაქმებას „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე (18-29 წლის - 65.6%; 30+ წლის - 77.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=15.012$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.13).

ცხრილი #7.13

როგორ ფიქრობთ, ის ფაქტორები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის, კაცებისთვის, თუ ორივესთვის თანაბრად? (სობი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=19)	30+ წლის (N=111)
უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის	15.6	14.8
უფრო მეტად დამაბრკოლებელია კაცებისთვის	15.6	-
თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის	65.6	77.3
მიჭირს პასუხის გაცემა	3.1	8
უარი პასუხზე	-	-

ფოთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ქალებისა და კაცების სემენტიში რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ზემოთ განხილულ მიზეზებს, თანაბრად ხელისშემშლელად მიიჩნეს „მწვანე სამუშაო ადგილებზე დასაქმებლად, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის (ქალი - 75%; კაცი - 88.1%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=8.212$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.14).

ცხრილი #7.14

როგორ ფიქრობთ, ის ფაქტორები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის, კაცებისთვის, თუ ორივესთვის თანაბრად? (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=85)	კაცი (N=44)
უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის	14.8	1.7
უფრო მეტად დამაბრკოლებელია კაცებისთვის	1.1	3.4
თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის	75	88.1
მიჭირს პასუხის გაცემა	9.1	6.8
უარი პასუხზე	-	-

სქესის ჭრილში საკითხის ანალიზი ანალოგიურ ტენდენციას ავლენს **ხობის** მუნიციპალიტეტშიც. კერძოდ, ქალებისა (66.1%) და კაცების (82.8%) დიდი ნაწილი აცხადებს, რომ დასახელებული ფაქტორები თანაბრად დამაბრკოლებელია, როგორც ქალებისთვის, ასევე, კაცებისთვის. თუმცა, გამოკითხული ქალების 24.2% მიიჩნევს, რომ “მწვანე” სამუშაო ადგილებზე ქალების დასაქმებას უფრო მეტად უშლის ხელს ზემოთ დასახელებული ფაქტორები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=8.627$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.15).

ცხრილი #7.15

როგორ ფიქრობთ, ის ფაქტორები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის „მწვანე“ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის, კაცებისთვის, თუ ორივესთვის თანაბრად? (ხობი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=75)	კაცი (N=55)
უფრო მეტად დამაბრკოლებელია ქალებისთვის	24.2	5.2
უფრო მეტად დამაბრკოლებელია კაცებისთვის	3.2	5.2
თანაბრად დამაბრკოლებელია როგორც ქალებისთვის, ისე კაცებისთვის	66.1	82.8
მიჭირს პასუხის გაცემა	6.5	6.9
უარი პასუხზე	-	-

საქართველოში მწვანე სექტორში სამუშაო ადგილების გაჩენას (დასაქმებას) მომდევნო 5 წლის განმავლობაში “ძალიან პერსპექტიულად+უფრო პერსპექტიულად, ვიდრე არა” მიიჩნევს ფოთში გამოკითხულთა 71.4%, ხობში კი 67.5%. ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში შედარებით მცირეა ისეთთა წილი, რომლებიც საკითხს უპერსპექტივობის პრიზმიდან აფასებენ (იხ. ცხრილი #7.16).

ცხრილი #7.16

რამდენად პერსპექტიულად მიიჩნევთ საქართველოში მწვანე სექტორში სამუშაო ადგილების გაჩენას (დასაქმებას) მომდევნო 5 წლის განმავლობაში? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
ძალიან პერსპექტიულად	8	21.7
უფრო პერსპექტიულად, ვიდრე არა	63.4	45.8
უფრო უპერსპექტივოდ, ვიდრე კი	11.6	5.4
სრულიად უპერსპექტივოდ	2	0.7
მიჭირს პასუხის გაცემა	14.7	26.4
უარი პასუხზე	0.3	-

კვლევის ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოკითხულ პირთა დიდ ნაწილს გაუჭირდა დაესახელებინა, მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდნენ მათი ოჯახის წევრების დასაქმებას (საკუთარი თავის ჩათვლით)(ფოთი - 33.4%; ხობი - 26.9%). სასურველ/ოპტიმალურ სამუშაო ადგილად გამოიკვეთა მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა (ფოთი - 17.6%; ხობი - 26.9%) (იხ. ცხრილი #7.17).

ცხრილი #7.17

მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდით დასაქმებას თქვენი ოჯახის წევრებისთვის (საკუთარი თავის ჩათვლით)? (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	5.6	7.3
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	17.6	26.7
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	8.9	14.6
ნარჩენების გადამუშავება	10.4	16
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	13.3	2.6
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	3.5	2.8
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	2.9	0.7
სხვა	4.3	2.5
მიჭირს პასუხის გაცემა	33.4	26.9
უარი პასუხზე	-	-

ასაკის ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ **სობის** მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 25.6%-სთვის მწვანე სამუშაოებიდან სასურველ სექტორად იდენტიფიცირდება მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა, 18.6%-სთვის ნარჩენების გადამუშავება, 20.7%-სთვის კი მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი. იგივე სექტორები დომინირებს 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა ჯგუფში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=16.780$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.18).

ცხრილი #7.18

მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდით დასაქმებას თქვენი ოჯახის წევრებისთვის (საკუთარი თავის ჩათვლით)? (სობი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	7	7.3
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	25.6	27.6
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	14	14.6
ნარჩენების გადამუშავება	18.6	15.4
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	2.3	2.4
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	9.3	-
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	2.3	-
სხვა	-	3.3
მიჭირს პასუხის გაცემა	20.9	29.3
უარი პასუხზე	-	-

ფოთში გამოკითხულთა **სქესის** ჭრილში საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ქალებისა და კაცების დიდ ნაწილს გაუჭირდა ეპასუხა, მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდნენ მათი ოჯახის წევრების დასაქმებას (ქალი - 35%; კაცი - 31.7%). მდებარეობითი სქესის წარმომადგენელ რესპონდენტთაგან 12.5% ასეთად მდგრადი ტურიზმისა და ეკოტურიზმის სფეროს ასახელებს, რასაც მოსდევს მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა (11.7%) და ნარჩენების გადამუშავება (11.7%). რაც შეეხება კაცების ჯგუფს, მათ შემთხვევაში სხვა ეკონომიკურ სექტორებთან შედარებით უფრო დიდი პროცენტული წილით სარგებლობს მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა (24.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=16.843$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.19).

ცხრილი #7.19

მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდით დასაქმებას თქვენი ოჯახის წევრებისთვის (საკუთარი თავის ჩათვლით)? (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=123)	კაცი (N=72)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	6.7	4
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	11.7	24.8
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	12.5	5
ნარჩენების გადამუშავება	11.7	8.9

მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდით დასაქმებას თქვენი ოჯახის წევრებისთვის (საკუთარი თავის ჩათვლით)? (ფოთი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=123)	კაცი (N=72)
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	15	11.9
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	0.8	6.9
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	3.3	2
სხვა	3.3	5
მიჭირს პასუხის გაცემა	35	31.7
უარი პასუხზე	-	-

ხობის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ისეთი **ქალების** წილი, რომლებსაც გაუჭირდათ დაესახელებინათ სასურველი ეკონომიკური სექტორები “მწვანე” სამუშაოების შესასრულებლად - 37.3%-ს უტოლდება, **კაცების** ჯგუფში კი 16.9%-ს. ქალებმა თითქმის თანაბარმნიშვნელოვან სექტორებად გამოკვეთეს, ნარჩენების გადამუშავება, მდგრადი ტურიზმი/ეკოტურიზმი და მდგრადი სოფლის მეურნეობა/თევზჭერა. ეს უკანასკნელი წამყვან ეკონომიკურ სექტორად გამოიკვეთა კაცების ჯგუფში (34.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=22.503$; $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.20).

ცხრილი #7.20

მწვანე სამუშაოებიდან რომელ სექტორში ისურვებდით დასაქმებას თქვენი ოჯახის წევრებისთვის (საკუთარი თავის ჩათვლით)? (ხობი, სქესის ჭრილი) (%)	ქალი (N=114)	კაცი (N=81)
განახლებადი ენერჯია (ქარი, მზე და სხვ.) და ენერგოეფექტურობა	3.6	10.8
მდგრადი სოფლის მეურნეობა და თევზჭერა	18.1	34.9
მდგრადი ტურიზმი და ეკოტურიზმი	18.1	10.8
ნარჩენების გადამუშავება	19.3	13.3
მდგრადი ტრანსპორტი და ლოგისტიკა, (მათ შორის ნავსადგური)	2.4	3.6
მწვანე მეწარმეობა (ეკომეგობრული სერვისები, პროდუქტები, მასალები)	-	4.8
განათლება (უმაღლესი და პროფესიული განათლების სექტორი)	-	1.2
სხვა	1.2	3.6
მიჭირს პასუხის გაცემა	37.3	16.9
უარი პასუხზე	-	-

კვლევის შედეგების მიხედვით, სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად „მწვანე გრანტების“ ან შეღავათიანი სესხების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ფოთში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (49.4%) არჩევანს სახლის დათბუნებაზე შეაჩერებდა, რასაც მოსდევს მზის პანელების დამონტაჟება (40.3%), ხობის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტულ სურვილად გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა (41.3%), მეორე და მესამე რიგის საკითხებად კი მზის პანელების დამონტაჟება (40.2%) და სახლის დათბუნება (35%) (იხ. ცხრილი #7.21).

ცხრილი #7.21

თუკი თქვენი ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა „მწვანე გრანტები“ ან შეღავათიანი სესხები სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად, თქვენ რომელს აირჩევდით? (%)	ფოთი (N=195)	ხობი (N=195)
სახლის დათბუნება	49.4	35
მზის პანელების დამონტაჟება	40.3	40.2
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	11.6	41.3
ეკოტურიზმის განვითარება	10.3	7.1
ბიომეურნეობის გაშენება	4.9	4.8
„მწვანე სექტორში“ განათლების მიღება	1.3	3.5
არცერთი	1.2	0.7
მიჭირს პასუხის გაცემა	22.7	18.1
უარი პასუხზე	0.3	0.2

ფოთის მუნიციპალიტეტში, როგორც 18-29 წლის, ისე 30 წლის ან მეტი ასაკის პირთა ძირითადი ნაწილი, „მწვანე გრანტებსა“ თუ შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, სახლს დაათბუნებდა (18-29 წლის - 42.3%, 30+ წლის - 52.2%) ან მზის პანელებს დაამონტაჟებდა (18-29 წლის - 30.9%, 30+ წლის - 44%). მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ თუკი, 18-29 წლის ახალგაზრდების მეხუთედი (20.3%) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაზე შეაჩერებდა არჩევანს, მსგავს პოზიციას 30 წლის ან მეტი ასაკის პირთა მხოლოდ 8.1% იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მთლიანი შერჩევის ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #7.22).

ცხრილი #7.22

თუკი თქვენი ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა „მწვანე გრანტები“ ან შეღავათიანი სესხები სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად, თქვენ რომელს აირჩევდით? (ფოთი, ასაკის ჭრილი) (%)	18-29 წლის (N=35)	30+ წლის (N=160)
სახლის დათბუნება	42.3	52.2
მზის პანელების დამონტაჟება	30.9	44.0
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	20.3	8.1
ეკოტურიზმის განვითარება	13.7	9.0
ბიომეურნეობის გაშენება	2.4	5.9
„მწვანე სექტორში“ განათლების მიღება	0.9	1.5
არცერთი	-	1.7
მიჭირს პასუხის გაცემა	26.0	21.4
უარი პასუხზე	-	0.4

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

რაც შეეხება **ხობის მუნიციპალიტეტს**, სამიზნე ჯგუფებს შორის მსგავსი ტენდენცია იკვეთება - ორივე ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი „მწვანე გრანტებს“ ან შეღავათიან სესხებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, სახლის დათბუნებას (18-29 წლის - 28.5%, 30+ წლის - 37.2%), მზის პანელების დამონტაჟებას (18-29 წლის - 29.1%, 30+ წლის - 44.1%) ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას (18-29 წლის - 53.1%, 30+ წლის - 37.2%) მოახმარდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა მთლიანი შერჩევის ასაკობრივი ჭრილისთვის) (იხ. ცხრილი #7.23).

ცხრილი #7.23

თუკი თქვენი ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა „მწვანე გრანტები“ ან შეღავათიანი სესხები სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად, თქვენ რომელს აირჩევდით? (ხობი, ასაკის ჭრილში) (%)	18-29 წლის (N=25)	30+ წლის (N=170)
სახლის დათბუნება	28.5	37.2
მზის პანელების დამონტაჟება	29.1	44.1
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	53.1	37.2
ეკოტურიზმის განვითარება	6.2	7.4
ბიომეურნეობის გაშენება	1.4	6.0
„მწვანე სექტორში“ განათლების მიღება	-	4.8
არცერთი	-	1.0
მიჭირს პასუხის გაცემა	23.6	16.2

<p>თუკი თქვენი ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა „მწვანე გრანტები“ ან შეღავათიანი სესხები სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად, თქვენ რომელს აირჩევდით? (ხობი, ასაკის ჭრილში) (%)</p>	<p>18-29 წლის (N=25)</p>	<p>30+ წლის (N=170)</p>
<p>უარი პასუხზე</p>	-	0.2

შედეგები ეფუძნება მთლიან შერჩევაში ასაკობრივი ჭრილის სტატისტიკურ სანდოობას

ფოკუს ჯგუფების შედეგები

ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ ფოთის ინდუსტრიული სპეციფიკა და ხობის სოფლის მეურნეობის პროფილი ორივეგან ქმნის რეალურ პოტენციალს, თუ პარალელურად მოხდება დაფინანსება, გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა და განვითარდება ადამიანური კაპიტალი. „მწვანე სამუშაოები“ შეიძლება იქცეს არა მხოლოდ გარემოსდაცვით ინიციატივად, არამედ ადგილობრივი ეკონომიკის აღდგენის ბირთვად. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა აზრით, მწვანე ეკონომიკის განვითარება ფოთსა და ხობის მუნიციპალიტეტებში შეიძლება გახდეს დასაქმების ახალი წყარო. აღინიშნა ისეთი მიმართულებები, როგორცაა მზის პანელების მონტაჟი, ელექტრო მანქანების მომსახურება, ნარჩენების გადამუშავება და სანაპიროს მოვლა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტები აღნიშნული ინიციატივების განხორციელების მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

ფოთში მცხოვრები **დევნოლები** მიიჩნევენ, რომ მწვანე ტრანზიცია ქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით საერთო სიკეთეს მოიტანს. კერძოდ, ხელი შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, ტურისტული პოტენციალის ზრდას და ახალგაზრდების ადგილობრივად დასაქმებას. ერთ-ერთი დევნილის შეფასებით, მწვანე ეკონომიკის ამოქმედებით, შემცირდება ემიგრაციის მაჩვენებელი, რადგან ახალი ტიპის სამუშაო ადგილები ადგილობრივ ახალგაზრდებს ადგილზე დარჩენის მოტივაციას მისცემთ.

ხობში, სადაც სოფლის მეურნეობა დომინანტური ეკონომიკური სექტორია, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ორგანული წარმოებისა და ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ზოგიერთი მონაწილე მიიჩნევს, რომ ბუნებრივი რესურსების სწორი გამოყენება, მაგალითად ქარის ან წყლის ენერჯის ათვისება, შეიძლება გახდეს განვითარების ბერკეტი.

„ხობის პირობებშიც შესაძლებელია, რადგან გვაქვს ქარი და წყლის რესურსები. ეს ჩვენს სასიკეთოდ შეიძლება გამოვიყენოთ“ (25 წლის დევნილი ქალი)

ამავდროულად, მოსახლეობა ფიქრობს, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა, როგორც ფინანსური მხარდაჭერის, ისე ცოდნისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტებში არსებობს შიში იმისა, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შესაძლოა ძველი კადრებისთვის სამუშაო ადგილების დაკარგვა გამოიწვიოს - განსაკუთრებით, ხანდაზმულ და დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებში.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ მწვანე ტრანზიციის წარმატება დამოკიდებულია საზოგადოების ცნობიერებაზე და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. მონაწილეებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ გარემოს სისუფთავე იწყება ინდივიდის ქცევით - ნაგვის სწორად განთავსებით, ხეების დარგვითა და მოხალისეობრივ აქციებში მონაწილეობით. როგორც ხობში, ისე ფოთში დასუფთავების კამპანიებში ჩართულობა აღიქმება როგორც სამოქალაქო ვალდებულება. თუმცა, მოსახლეობა თვლის, რომ მსგავსი აქტივობები სისტემურ მხარდაჭერას საჭიროებს: პროექტების რეგულარულ ორგანიზებას, ახალგაზრდების მოზიდვასა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობას.

მშმ პირებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სამუშაო ადგილების გაჩენა, რომლებიც ეყრდნობა ცოდნასა და კოორდინაციას (პროექტის ასისტირება, მონიტორინგი, დოკუმენტაცია, დისტანციური ოპერაციები), რათა შეზღუდული შესაძლებლობა არ იქცეს ბარიერად.

ხობში განსაკუთრებული ინტერესი არსებობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, თუმცა თავად მშმ პირები ნაკლებად მოელიან, რომ შეძლებენ დასაქმებას სოფლის მეურნეობის სექტორში.

„თუ ეს მიმართულება [მწვანე ტრანზიციის] შემოვა, სათბურები და გოგირდის წყალი გვაქვს. შეიძლება განვითარდეს ორგანული მეურნეობა, მაგრამ ჯერ სპეციალისტი და რესურსი გვაკლია. ახლა ეს ცოტა ზღაპრით გვესახება. თან არ ვიცი მშმ პირები რამდენად ჩაერთვებიან“ (24 წლის მშმ ქალი; ხობი)

ხანდაზმულებისთვის მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის იდეა მისასალმებელია. რესპონდენტებმა კონკრეტული ეკონომიკური მიმართულებებიც დაასახლეს, სადაც შესაძლებელია მწვანე დასაქმება. ესენია: ორგანული წარმოება, ტყის აღდგენა, ეკოტურიზმი და პლასტიკის ან მაკულატურის გადამამუშავება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულები მწვანე სამუშაო ადგილების შექმნაზე საუბრისას დასაქმებულად საკუთარ თავს არ მოიაზრებენ იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტებში დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას და, ამდენად, მათთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების დასაქმება.

„იმედი არ მაქვს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის. სოფელი იცლება ახალგაზრდებისგან, ყველას უცხოეთში და თბილისში წასვლა უნდა. თუ არავინ დავრჩით, კატასტროფა იქნება.“ (72 წლის ქალი; ფოთი)

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, რადგან მწვანე დასაქმება სიახლეს წარმოადგენს, ასეთი შესაძლებლობის გასაჩენად აუცილებელია მხარდაჭერი მექანიზმების დანერგვა მცირე გრანტების გაცემით, თანადაფინანსების, ტექნიკა-ლოგისტიკის უზრუნველყოფით, ბაზარზე გასვლის მხარდაჭერით და ა.შ. ასევე, ორივე მუნიციპალიტეტის ხანდაზმულებთან ხშირად გაისმა აზრი, რომ მწვანე პოლიტიკების განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება.

დანართი

ბოლო 12 თვის განმავლობაში ცალკეული წყაროდან მიღებული ოჯახის შემოსავლის კატეგორიზირებული მონაცემები.

ხელფასი (ყველა - როგორც საჯარო, ისე კერძო - წყაროდან) (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	37.9	55.2
1-6000 ლარი	6.6	8.6
6001-12000 ლარი	18.5	12.9
12001-18000 ლარი	6.6	8.6
18001 ლარი ან მეტი	15.9	3.7
მიჭირს პასუხის გაცემა	6.6	5.5
უარი პასუხზე	7.9	5.5
შემოსავალი კერძო საქმიანობიდან/ბიზნესიდან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	80.6	78.9
1-5000 ლარი	6.2	5.0
5001-15000 ლარი	3.5	5.0
15001 ლარი ან მეტი	0.9	3.1
მიჭირს პასუხის გაცემა	8.8	5.6
უარი პასუხზე	-	2.5
პენსია (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	46.3	33.1
1-900 ლარი	10.1	12.9
901-5400 ლარი	30.4	28.2
5401-9600 ლარი	8.8	14.1
9601 ლარი ან მეტი	4.0	10.4
მიჭირს პასუხის გაცემა	-	1.2
უარი პასუხზე	0.4	-
ყველა ტიპის სოციალური დახმარება (უმწოთა, დეჰნაღა, შშმ პირთა და ა.შ. დახმარებები) (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	82.0	84.0
1-450 ლარი	0.9	2.5
451-990 ლარი	5.7	4.3
991-1760 ლარი	3.5	3.7
1761 ლარი ან მეტი	5.7	5.5
მიჭირს პასუხის გაცემა	2.2	-
შინაური ცხოველების, ფრინველებისა და მათი პროდუქციის (რძის, კვერცხის, ხორცის, ყველის, კარაქის, მატყლის და ა.შ.) გაყიდვიდან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	98.2	77.3
1-800 ლარი	0.9	6.1
801-2000 ლარი	-	5.5
2001 ლარი ან მეტი	0.4	2.5
მიჭირს პასუხის გაცემა	-	8.6
უარი პასუხზე	0.4	-
სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მათი გადამუშავების პროდუქტების (ღვინის, არყის, ზეთის, ფქვილის, ჩირის და ა.შ.) გაყიდვიდან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	99.1	78.4
1-300 ლარი	-	4.3
301-500 ლარი	-	6.8
501-1000 ლარი	-	3.7
1001 ლარი ან მეტი	0.4	1.9
მიჭირს პასუხის გაცემა	0.4	4.9

ქონების (ბინის, აგარაკის, მანქანის და ა.შ.) გაქირავებიდან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	99.5	99.6
1000 ლარი	-	0.4
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5	-
ქონების (ბინის, აგარაკის, მანქანის და ა.შ.) გაყიდვიდან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	99.5	99.5
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5	0.5
ფულადი დახმარება საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრებისგან/ ნათესავებისგან/არანათესავებისგან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	93.3	94.7
1000 ლარი	0.5	-
4000 ლარი	0.5	-
5000 ლარი	-	0.5
6000 ლარი	-	0.5
10000 ლარი	1.0	-
მიჭირს პასუხის გაცემა	3.6	4.2
უარი პასუხზე	1.0	-
ფულადი დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრებისგან/ ნათესავებისგან/არანათესავებისგან (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	88.2	89.6
1-10000 ლარი	5.7	3.1
10001 ლარი ან მეტი	0.9	1.2
მიჭირს პასუხის გაცემა	3.1	5.5
უარი პასუხზე	2.2	0.6
ოჯახის წევრების სხვა არარეგულარული ჯამური ფულადი შემოსავალი (სეზონური, ერთჯერადი და სხვ.) (%)	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
0 ლარი	99.0	95.9
500 ლარი	-	0.5
1000 ლარი	-	1.0
2800 ლარი	0.5	-
3000 ლარი	0.5	1.1
4000 ლარი	-	0.5
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5	1.1
ოჯახის წლიური ფულადი შემოსავალი	ფოთი (N=195)	სობი (N=195)
3120 ლარი ან ნაკლები	9.2	8.6
3121-6240 ლარი	13.2	14.2
6241-9360 ლარი	8.8	6.8
9361-12480 ლარი	8.8	13.0
12481-15600 ლარი	7.9	6.8
15601 ლარი ან მეტი	27.2	16.7
მიჭირს პასუხის გაცემა	15.8	25.9
უარი პასუხზე	9.2	8.0